ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№239 (298) 1-8 ოქტომბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ზურაბ ბიგვავა: “საგანელიძემ “ქართულ ოცნებაში” თავისი მმართველი გუნდის შექმნა მოინდომა”

“მემარჯვენეები, მრეწველები და ლეიბორისტები განთქმული არიან არჩევნების გაყიდვით”
როლანდ ხოჯანაშვილი

გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე, სამეგრელოში, **“ქართულმა ოცნებამ”** ვერ გაიმარჯვა. წაგების მიზეზებზე ჟურნალისტებს ესაუბრა ზურაბ ბიგვავა, რომელიც **“ქართული ოცნების”** მარტვილის შტაბს ხელმძღვანელობდა.

– ბატონო ზურაბ, თქვენ კარგად იცნობთ იმ სიტუაციას, რომელიც იყო 2012 წლის წინ, სამეგრელოში, საარჩევნო თვალსაზრისით, გაიხსენეთ ეს პერიოდი და ახსენით, რატომ ჰქონდა ცუდი რეზულტატები იქ “ქართულ ოცნებას”?

– ამას აქვს, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. სამეგრელოს დამონება და გადაგვარება სააკაშვილის რეჟიმიდან არ დაწყებულა. სამეგრელოს დამონება, გაუპატიურება, გადაწვა და დაჩოქება დაიწყო 1992 წლიდან მხედრიონის მიერ. ის, რაც ვერ გაანადგურა შევარდნაძის რეჟიმმა, მისი განადგურება გააგრძელა სააკაშვილმა ახალაიების, ქარდავების, კოდუების და გოროზიების ხელით... აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ აყვავებული სამეგრელო, რომელიც წარმოადგენდა სატრანზიტო-საკურორტო ზონას, გახდა ჩაკეტილი ჩიხი. სამეგრელოში არ მუშაობს არცერთი ფაბრიკა-ქარხანა. აქ ყველაზე დიდია უმუშევრობა სხვა რეგიონებთან შედარებით. სამეგრელო გახდა ახალაიების გუბერნია. მათ გავლენას კი იცავდა პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ბოლოს, თავდაცვის სამინისტრო, თავისი სამხედრო პოლიციით. ვინც ხმას ამოიღებდა, მას ელოდა უსასტიკესი განსაცდელი ოჯახის წევრებთან ერთად, სიცოცხლის დაკარგვაც კი. ამან გამოიწვია ის, რომ სამეგრელო დატოვა ყველამ, ვინც არ შეეგუა ამ რეჟიმების პარპაშს. სამეგრელოში დარჩნენ მხოლოდ მოხუცები, ბავშვები და ის ფენა, რომელსაც ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს დაეტოვებინა სახლ-კარი. უმეტესობა გადაიხვეწა რუსეთში, თურქეთში, ევროპაში და დანარჩენმა მიაშურა თავკომბალა თბილისს. საჯარო სამსახურში კი ასაქმებდნენ მხოლოდ იდეურად მხედრიონის, შევარდნაძის და ბოლოს **“ნაციონალების”** მხარდამჭერებს. ის ხალხი კი, ვინც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას უჭერდა მხარს და ეროვნული იდეების მიმდევრები არიან, უგულებელყოფილნი იყვნენ ყველა ხელისუფლების მიერ და უგულებელყოფილნი არიან დღესაც. ამას დაემატა ის, რომ **“ქართული ოცნების”** მიერ არ იყო სწორად შერჩეული მაჟორიტარობის კანდიდატები. მათ არ ჩაუტარებიათ არავითარი სოციოლოგიური კვლევა, ან პრაიმერიზი. **“ქართულმა ოცნებამ”** პირდაპირ თბილისიდან დანიშნა მაჟორიტარობის კანდიდატები თვალდახუჭულად. მათ რატომდაც ჰგონიათ, რომ თბილისიდან უკეთესად ჩანს ადგილობრივი პრობლემები და კეთილდღეობა. ბატონი ბიძინას ავტორიტეტი არ აღმოჩნდა საკმარისი არჩევნების მოსაგებად, ზუსტად ამ მიზეზების გამო. ამას, რა თქმა უნდა, დაემატა არჩევნების გაჟალბება, რომლის გამოძიებასაც გვპირდებოდა **“ქართული ოცნება”**, მაგრამ ეს დაპირება გადაჰყვა კოჰაბიტაციას.

– როცა მარტვილის “ქართული ოცნების” შტაბს ხელმძღვანელობდით, ბუნებრივია, საარჩევნო ოლქის ბევრ დეტალს აკვირდებოდით, მაშინ საოლქოს წარმომადგენელი 6 კომისიის წევრს ნიშნავდა არა ოლქი, იმდენად, არამედ მმართველი პარტია, ახლა გვაქვს სხვა მდგომარეობა?

– როცა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები იყო, მაშინ 13 კომისიის წევრიდან 2 იყო **“ქართული ოცნების”** დანარჩენი 11, ფაქტიურად, ნაციონალური მოძრაობის. ამ არჩევნების დროს დიდი როლი შეასრულა დამკვირვებლების ინსტიტუტმა და ვიდეო კამერების დამონტაჟებამ საარჩევნო უბნებზე. ეს იყო ერთ-ერთი შემაკავებელი ფაქტორი უფრო მასშტაბური გაყალბებისგან. დღეს კი საარჩევნო უბნებზე გვაქვს ასეთი მოცემულობა: 13 კომისიის წევრიდან 6 არის კოალიცია **“ქართული ოცნების”**, 1 – **“ნაციონალური მოძრაობის”** და 6 ნიშნავს ცესკო (საოლქო საარჩევნო კომისია). მარტვილის რაიონში ამ 6 წევრის დანიშვნა მოხდა **“ნაციონალებსა”** და **“ქართულ ოცნებას”** შორის გარიგებით (3-3 წევრი). გამოდის, რომ **“ოცნებას”** ჰყავს 9 წევრი და 4 **“ნაციონალებს”**. ეს კი ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია. წინააღმდეგი ვარ ყველანაირი საარჩევნო გარიგების, როგორც **“ნაციონალებთან”**, ასევე ნებისმიერ პარტიებს შორის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ისწავლოს ხელისუფლებამ არჩევნებისადმი პატივისცემა. თუ გინდათ, რომ ენდონ არჩევნებს და პატივი სცენ, ის არ უნდა გააყალბო.

– დავით საგანელიძეს ხშირად საყვედურობენ მედიასა და სოციალურ ქსელებში. თქვენც გაქვთ ალბათ მის მიმართ პრეტენზიები, სხვაგვარად საგანელიძის კრიტიკის საგანი ვერ გახდებოდით...

– როდესაც დავით საგანელიძემ დატოვა **“მემარჯვენეები”** და შემოუერთდა **“ქართულ ოცნებას”**, პირადად გამიხარდა. ჯერ ერთი, **“მემარჯვენეები” “ლეიბორისტებთან”** და **“მრეწველებთან”** ერთად განთქმული არიან არჩევნების გაყიდვით და თუ ამ კაცმა შეიგნო ის, რომ დროა, დატოვოს სავაჭრო-საზავო პარტია იმისდა მიუხედავად, რომ თვითონ იყო ერთ-ერთი ლიდერი, კარგის მეტი არაფერი მიგრძვნია მის მიმართ. საგანელიძემ მოახერხა ის, რომ ბიძინა ივანიშვილის კარზე ყოფილიყო ერთ-ერთი მისაღები ფიგურა და მას ივანიშვილმა ჩააბარა საარჩევნო შტაბი, ხოლო შემდგომ – უმრავლესობის ლიდერობა, რაშიც, როგორც, მე ვიცი, ბატონმა გია ხუხაშვილმაც ითამაშა დიდი როლი. რაში ვდებ მას ბრალს და რატომ საყვედურობენ სხვები? ბატონმა დავით საგანელიძემ, როგორც კი გაიმყარა პოზიციები **“ქართულ ოცნებაში”**, ის შეეცადა, სადაც კი მიუწვდებოდა ხელი, ყველგან დაეკომპლექტებინა თავისი კადრებით, დაწყებული **“მემარჯვენეებით”**, ნაცნობ-ნათესავებით და **“ნაციონალებითაც”** კი. მან გვერდზე გასწია ის ადამიანები, ვინც 1 ოქტომბრის გამარჯვება მოიტანა. ის ადამიანები, ვინც უანგაროდ თავიანთი ოჯახის ყოფნა-არყოფნის ფასად იბრძოდნენ ნაციონალების წინააღმდეგ, აღმოჩნდა ყველა ქუჩაში, ხოლო ადამიანები, ვინც მათ წინაღმდეგ იბრძოდნენ, ან სრულიად კომფორტულად გრძნობდნენ თავს **“ნაციონალებთან”**, დაასაქმეს. საგანელიძემ მოინდომა **“ქართულ ოცნებაში”** თავისი მმართველი გუნდის შექმნა, რომელიც მხოლოდ პირადად მას დაემორჩილებოდა. გამგებლები, თუ ვინც გინდათ, უიმისოდ არ ინიშნება. ის, რომ მათ აქვთ ექვსეულის ფორმატი, მოჩვენებითია, თუმცა აქ ყველა კოალიციაში შემავალი პარტია ცდილობს თავისი კაცი **“შეტენოს”**, ხოლო პროფესიონალიზმის ინსტიტუტი არ მუშაობს. უბრალოდ, ყველა ცდილობს, ვიწრო პარტიული ინტერესიდან გამომდინარე, დაითრიოს რაც შეიძლება მეტი სავარძელი. მან სამეგრელოში პარტიულ თანამდებობებზე დანიშნა ყოფილი მხედრიონელები. ის ეწინააღმდეგება ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების დანიშვნას. უფრო სწორად, ებრძვის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს და ცდილობს მხედრიონის რეანიმაციას სამეგრელოში. ასევე, დავით საგანელიძემ დაიწყო დიდი ბიზნესების ლობირება. ის თვითონაც გამოცდილი ბიზნესმენია. ერთ დროს საქართველოში მხოლოდ საგანელიძის შაქარი იყიდებოდა, ასევე დიდ ფულს იღებდა საარჩევნო კომისიებში. მაგალითად, მარტვილში ვინც **“მემარჯვენეებიდან”** იყვნენ, ყველა პირწავარდნილი **“ნაციონალი”** იყო შემდგომში. ასე, რომ მან კარგად იცის რას ნიშნავს ბიზნესის ლობირება და რაა მისი ფასი. დავით საგანელიძე ისე გაკადნიერდა, რომ როცა მიდიხარ მასთან შეხვედრაზე, ის ხალხს ისე ღებულობს, როგორც მეცხრამეტე საუკუნის ბატონი ყმას, ან ფარაონი – მონას. ამისი მნახველი მეც გახლავართ. ყოველივე ამან გამოწვია საგანელიძის პიროვნებისადმი პროტესტი და ეს პროტესტი გამოიხატა მისი ფიტულის დაწვაში. რატომ მაინცდამაინც ფიტულის დაწვა? ჩვენ გვინდოდა მიგვექცია ბატონ ბიძინა ივანიშვილის ყურადღება მისი ლიდერებისადმი და ვფიქრობ ჩვენ ამას მივაღწიეთ. დღეს ივანიშვილმა იცის, თუ რა ჩიტი ყავს უმრავლესობის ლიდერად.

– თუ შეგიძლიათ სამეგრელოს მოსახლეობის განწყობის შესახებ გვითხრათ საპრეზიდენტო კანდიდატებზე, რა პროგნოზი შეგიძლიათ გააკეთოთ ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე?!

– სამეგრელოს მოსახლეობა არის იმედგაცრუებული. არ აღმოჩნდა საკმარისი უფასო ხვნა-თესვა, სასუქების დარიგება, უფასო დაზღვევა, უფასო ბაგა-ბაღი, ციხეებში ადამიანური მოპყრობა და პიროვნების თავისუფლება. რატომ არ აღმოჩნდა? იმიტომ, რომ ნდობა ბიძინა ივანიშვილის პიროვნებისადმი იყო უფრო დიდი და მოლოდინებით სავსე. ამას ხელი შეუწყო უდავოდ ბევრმა დაპირებამ. დაპირებების ზუსტად ის ნაწილი ვერ შესრულდა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანების ცხოვრებისეულ მოთხოვნილებას და კეთილდღეობას. პირველი და ყველაზე მთავარი: ამ ხალხმა ვერ შეამჩნია სამართლიანობის აღდგენის მცდელობაც კი. ვინც მათ ჩაგრავდა, ამცირებდა და დასცინოდა, დღესაც პირში უცინის და დასცინის. ღირსებაშელახულმა სამეგრელომ ვერ აღიდგინა ღირსება. ბევრს ჰგონია, რომ სამეგრელომ სირცხვილი ნახა საპარლამენტო არჩევნებში და მას დასცინოდნენ კიდეც. არავის მოსვლია აზრად 21 წლიანი ნგრევების და დამონების შემდეგ სამეგრელოს რეგიონისგან სხვა შედეგი მიეღო. არავის თითი-თითზე არ დაუკარებია სამეგრელოში ამ 11 თვის განმავლობაში სიტუაციის შესაცვლელად. სამეგრელომ პირიქით, ნახა ის, რომ თურმე მთავარი ბრძოლა კი არ არის, არამედ მთავარია გყავდეს ნაცნობები ზემოთ ხელისუფლებაში და სადაც არ უნდა იდგე, არაფერი გემუქრება, ხოლო თუ უპატრონო ხარ, შენი დამსახურება, ნიჭი და პროფესიონალიზმი შეგიძლია გაატანო ენგურს, რომ ჩარეცხოს შავ ზღვაში. სამეგრელომ ვერ ნახა ის დაპირება, სადაც სამეგრელო აფხაზებისთვის მიმზიდველი უნდა გამხდარიყო ეკონომიურად. პირიქით, სამეგრელო უფრო მეტმა ადამიანმა დატოვა. განსაკუთრებით **“ნაციონალების”** წინააღმდეგ ვინც იბრძოდნენ, მათი ღირსება კიდევ ერთხელ საგანელიძემ და **“ქართულმა ოცნებამ”** შელახა. მათ უთხრეს: თქვენ ვერ მოიგეთ არჩევნები და არ ხართ **“ქართული ოცნების”** სრულფასოვანი წევრებიო. ეს გულანთებული ხალხი დატოვეს **“ნაციონალების”** დასაცინად. **“ქართულმა ოცნებამ”** ნაციონალებით გაჭედა გამარჯვებული პარტია, რომლის გამარჯვებაც იმ გმირებმა მოიტანეს, ვინც **“ოცნებამ”** ქუჩაში გაყარა, როგორც კეთრიანები. არ ახალია, რომ რევოლუცია ჭამს თავის გმირებს, მაგრამ ამ გმირებისგან რატომ უნდა ითხოვდე სიყვარულს, ერთგულებას და პატივისცემას? ამ გმირებს უფროსად უნიშნავ ადამიანს, რომელიც ახლოსაც არ გაკარებია **“ოცნების”** შტაბს არჩევნებამდე და მხოლოდ იმიტომ ნიშნავ, რომ შენი მეგობარია, შენთან რაგბი უთამაშია, ან შენი ყოფილი ბიზნესპარტნიორია და მნიშვნელობა არა აქვს, ის **“ნაციონალების”** შემსრულებელი იყო, თუ დამკვეთი. ასევე იქნა დაშვებული დიდი შეცდომა, როცა მადალი ეშელონების ჩინოვნიკებმა დაიწყეს სამართლიანობის აღდგენა თავიანთი პირადი საქმეებიდან, ხოლო უბრალო მომაკვდავი ადამიანების ჩამოდეს თაროზე.

– როგორ პროგნოზს გააკეთებდით საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით?

– რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების პროგნოზს, თუ **“ქართულმა ოცნებამ”** ძირფესვიანად არ შეცვალა თავისი მიდგომა ამომრჩევლებისადმი, მისი კანდიდატი შეიძლება მეორე ადგილზეც ვერ გავიდეს სამეგრელოში. დღეის მდგომარეობით ალბათ პირველზე გავა – ბურჯანაძე, მეორეზე – ბაქრაძე, და მესამეზე – მარგველაშვილი. აი, სანამდის მიიყვანა კოჰაბიტაციამ **“ქართული ოცნება”**.

რაც შეეხება კრიზისიდან გამოსავალს, მე ვხედავ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში. ოღონდ ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობის ფონზე. ივანიშვილის გადადგომა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოიწვევს სახელისუფლებლო ქაოსს, რომელსაც შეიძლება **“ქართული ოცნება”** გადაჰყვეს. დარწმუნებული ვარ, რომ **“რესპუბლიკური პარტია”** და **“ნაციონალური მოძრაობა”** შეეცდება მოლაპარაკებას ხელისუფლების შემდგომი გადანაწილებისთვის. მათთვის საფრთხის შემცველია ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლა.

გაზეთი “ახალი თაობა”

საპარლამენტო არჩევნებამდე 26 დღეს

„საქართველოს მიერ ე.წ. ჩერქეზების გენოციდის აღიარება: მიზნები და შედეგები“

2013 წლის 25 სექტემბერს თბილისში, სასტუმრო ***„BETSY'S HOTEL"***-ის საკონფერენციო დარბაზში, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის"** ორგანიზებით სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია **„ჩერქეზების გენოციდის აღიარება: მიზანი და შედეგები"** გაიმართა.

კონფერენციის მთავარი მომხსენებლები – ქართველი მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები – მოწვეული სტუმრების წინაშე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოხსენებებით წარდგნენ.

კონფერენციას უძღვებოდა დონისძიების ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ისტორიული მემკვიდრეობის"** დამფუძნებელი **ტარიელ გაგნიძე**, რომელსაც საქინფორმის კორესპონდენტი კონფერენციის მიზნებსა და ამოცანებზე ესაუბრა.

ტარიელ გაგნიძე: „ჩერქეზების გენოციდის აღიარების შესახებ დადგენილება საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 20 მაისს მიიღო. ამის შემდეგ მსოფლიოში მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა, რომლებმაც ე.წ. ჩერქეზული გენოციდი და ის პროცესები, თუ რა იდგა რეალურად ამ საკითხის უკან, ახლებურად დაგვანახვა. პირველ რიგში, ეს არის ე.წ **„არაბული გაზაფხულის"** სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალებები."

– ბატონო ტარიელ, რეალურად რა იდგა ე.წ. ჩერქეზების გენოციდის აღიარების უკან?

– ამის უკან იდგა საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, მხარი აება იმ საერთაშორისო პროექტისათვის, რომელიც **„დაძაბულობის რკალის"** სახელით არის ცნობილი. როგორც ცნობილია, ჩერქეზები პრეტენზიას აცხადებენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით რუსეთის ფედერაციაში შედის და იქ რეალურად არ არის ჩრდილოკავკასიური ეთნიკურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ჩერქეზთა გენოციდის საკითხის წამოწევის მიზეზი. ამ თემით ხდება იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა შემდგომში აღნიშნულ ტერიტორიებზე რადიკალური ისლამის ექსპანსიისთვის. ჩვენ კარგად დავინახეთ, **„არაბული გაზაფხულის"** ქვეყნებში თუ რას აკეთებენ რადიკალური ისლამისტები – ეს არის ზეეროვნული იდეოლოგიური პლატფორმა, რომელიც არ ცნობს სახელმწიფოთა საზღვრებს და აცხადებს, რომ არის ყველა მუსლიმანის დამცველი. აქედან გამომდინარე, მათ ეძლევათ იდეოლოგიური საფუძველი, რომ თქვან, თითქოს რუსეთმა გენოციდი მოუწყო მათ ძმებს და ამიტომ უნდა გადაუხადონ სამაგიერო.

რაც შეეხება კონფერენციის მიზანს, ჩვენ გვინდა კარგად გავიაზროთ და გავაანალიზოთ საქართველოს როლი აღნიშნულ პროცესში და თუკი ასე გაგრძელდება, რა ბედი ელის ჩვენს ქვეყანას. ამის საილუსტრაციოდ ორ მაგალითს მოგიყვანთ:

1. **ლეკიანობა** – რომლის დროსაც საქართველო ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების შემოტევების და თარეშის დროს უმძიმეს მდგომარეობაში იყო;

2. **„არაბული გაზაფხული"** – გავიხსენოთ, რადიკალური ისლამის არენაზე გამოსვლის შემდეგ როგორ ექცეოდნენ ქრისტიანებს და ქრისტიანულ სიწმინდეებს (დაახლოებით 10 დღის წინ ქრისტიანული ქალაქი დაიპყრეს მეამბოხეებმა და მოაწყვეს მასობრივი ხოცვა-ჟლეტა).

ამ გადასახედიდან საქართველოს აღნიშნული პროცესებიდან სახარბიელო არაფერი ელოდება. 2011 წელს ჩერქეზების გენოციდის აღიარებით მაშინდელმა მთავრობამ საქართველო ძალიან ცუდ პროცესებში ჩართო.

დღევანდელი კონფერენცია არის მცდელობა, ახლებურად გავაანალიზოთ არსებული ვითარება და საქართველოს როლი ზემოაღნიშნულ პროცესებში.

კონფერენციაზე მოხსენებით „ისტორია და თანამედროვეობა: ჩერქეზების საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ჭრილში" თსუ-ს პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ვალერიან დოლიძე** წარდგა: „სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლა დაიწყო. ჩერქეზების გენოციდის აღიარებაც ამ ბრძოლის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. გახსოვთ ალბათ, რომ საქართველოს პარლამენტში შესაბამისი ჯგუფი შეიქმნა, რომელიც კავკასიელ ხალხებთან ითანამშრომლებდა. აღნიშნულმა ჯგუფმა რამდენიმეჯერ მიმართა ჩრდილოკავკასიელი ერების პარლამენტებს ურთიერთთანამშრომლობის თხოვნით, მაგრამ იქიდან პასუხი არ მიუღიათ. ამის შემდეგ აშშ-ში კონფერენციების გამართვა დაიწყო, საქართველოს პარლამენტს გარკვეულმა ჯგუფებმა გენოციდის აღიარების მოთხოვნით მიმართეს და ა.შ. თუმცა აღნიშნულ აღიარებას ჩერქეზების მხრიდან ერთმნიშვნელოვანი რეაგირება არ მოჰყოლია – ზოგი თვლიდა, რომ საქართველოს ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება კარგი იყო, ზოგი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ პოპულისტური გადაწყვეტილება იყო, ზოგმა კიდევ საქართველოს ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდა, რადგანაც ქართველები იმ დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების რიგებში იბრძოდნენ.

ის, რაც ჩერქეზი ხალხის თავს დატრიალდა, ნამდვილად ტრაგედია იყო, მაგრამ საკითხავია, შეიძლება თუ არა მას გენოციდი ვუწოდოთ. ჯერ აღნიშნული საკითხის დეტალურად შესწავლა უნდა მოხდეს. ეს ადვილი დასამტკიცებელი არ არის. გენოციდი არის იურიდიული ტერმინი, ეს არის დანაშაული. კონკრეტული ქმედება რომ დაკვალიფიცირდეს, როგორც გენოციდი, ამას კვალიფიციური იურისტების უდიდესი მუშაობა სჭირდება. ჩერქეზების გენოციდის აღიარებას დეისტორიზაციას და ისტორიის გათანამედროვებას ვუწოდებდი, რაც არასწორია. საქართველოს პარლამენტს არ ჰქონდა უფლება, პირდაპირ დაეკვალიფიცირებინა ჩერქეზების საკითხი. უტყუარი მონაცემები და მტკიცებულებები ჩერქეზი ხალხის გენოციდზე რეალურად არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ამ აღიარების უკან იდგა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური მიზნები, კერძოდ, აღიარება გათვლილი იყო იმაზე, რომ გაძლიერებულიყო ანტირუსული სეპარატისტული მოძრაობა".

ვალერიან დოლიძემ, გარდა ამისა, ჩერქეზი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამომწვევ მიზეზებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ჩერქეზების გენოციდის აღიარებით სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველო უხერხულ ვითარებაში ჩააყენა, რაც ჩვენს ქვეყანას სასიკეთოს არაფერს მოუტანს.

ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის თავმჯდომარის **ირაკლი უგილავას** გამოსვლის მთავარი თემა იყო „ჩერქეზების საკითხი და საქართველოს ადგილი კავკასიის გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში": „ბევრი ისტორიული წყარო არსებობს იმის შესახებ, რომ ჩერქეზები წარმოადგენდნენ ჩვენი ისტორიული მტრის, ოსმალების მთავარ დასაყრდენს კავკასიაში. ერთ–ერთი თურქი ისტორიკოსი პირდაპირ აღნიშნავს, რომ თურქებს სჭირდებოდათ ჩერქეზები დასაყრდენად და მათ მეომრებით ამარაგებდნენ. სწორედ ჩერქეზების დახმარებით თურქეთი ქმნიდა ბუფერს რუსეთის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ ოსმალეთი დასუსტებულიყო, რუსეთი იძულებული იყო, რომ მისთვის გეოპოლიტიკური დასაყრდენი მოეშალა – წმინდა რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ნებისმიერი იმპერია ამას გააკეთებდა. ეს შეიძლება არაჰუმანური იყო რუსეთის მხრიდან, მაგრამ რეალური პოლიტიკის თვალსაზრისით, ადეკვატურ რეაქციას წარმოადგენდა. რაც შეეხება პრობლემის ქართული კუთხით შეხედვას, საქართველოსთვის, ცხადია, მომგებიანი იყო ოსმალეთის იმპერიის დასუსტება, ეს მართლმადიდებლური იმპერიების აღმასვლის მაჩვენებელი იყო, რაც ხელს შეუწყობდა კავკასიის რეგიონში მაშინდელი მართლმადიდებელი ხალხების ერთიან კულტურულ სივრცეში მოქცევას, თვითმყოფადობის შენარჩუნებას და შემდგომში იმ ღირებულებებზე დაყრდნობით ერის და ნაციის ჩამოყალიბებას, რაც მოხდა კიდევაც. რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ამ კუთხით მუშაობენ სხვადასხვა ინტელექტუალური ცენტრები, რომლებიც სტრატეგიას ამუშავებენ რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოს მიერ გენოციდის აღიარება იყო სწორედ ამ ინტელექტუალური ცენტრების მიერ **„ზემოდან"** ნაკარნახევი და იგი რუსეთის დაშლას ემსახურებოდა. როდესაც რუსეთის დაშლაზეა საუბარი, ჩვენ გვავიწყდება ირანი, რომელიც მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფება. უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიტიკაში, როდესაც ერთი მოთამაშე გადის, შემოდის მეორე. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 20 მაისს მიღებული გადაწყვეტილება არის უპასუხისმგებლო და დადგა დრო, როდესაც უნდა ვიმსჯელოთ ამ დადგენილების დენონსაციაზე".

„ჩერქეზული საკითხის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი" – ასეთი იყო გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, ქალბატონი **ნანა დევდარიანის** მოხსენების თემა: „ბოლო დროს ძალიან „მოდაშია" ერეკლე მეორის დადანაშაულება იმაში, რომ როგორ შეიძლებოდა არ გაკეთებულიყო არჩევანი ევროპის მიმართულებით და გაკეთებულიყო რუსეთისკენ. მოდით გავიხსენოთ რა ხდებოდა ევროპაში – ევროპის მთავარ სახელმწიფოებში ყველა მონარქი ან ჩამოახრჩვეს, ან თავი მოჭრეს, ან გააძევეს და ა.შ. ხომ არ გვავიწყდება ჩვენ, რომ ერეკლე მეფე არ იყო „რესპუბლიკური პარტიის" ლიდერი – ის იყო მონარქი და არ წავიდოდა იქით, სადაც მონარქიებს ასეთ მდგომარეობაში აგდებდნენ.

მოდით, გადავხედოთ ისტორიის ქრონოლოგიას: თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ტერმინი „გენოციდი" შეიძლება გადავიტანოთ წარსულში თუნდაც ფიგურალურად და გამოვიყენოთ ის, როგორც მომხდარის აღწერილობა, მაშინ მე მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს – მოდით, ვნახოთ, რა მოხდა ამერიკელი ინდიელების შემთხვევაში და იყენებენ თუ არა თავად ამერიკული ფონდები ამ შემთხვევაში ტერმინ „გენოციდს". ევროპელი კოლონიზატორების მიერ 15 მილიონამდე ინდიელია განადგურებული და ამ ფაქტს ამერიკელი მკვლევარები და ანალიტიკოსები დემოგრაფიულ კატასტროფას უწოდებენ. ძალიან სასაცილოდ გამოიყურება, როდესაც დღეს განვითარებული ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლები ჭკუას არიგებენ ჩვენნაირ ქვეყნებს იმის შესახებ, რომ ქსენოფობია ცუდია, ჰომოფობია ცუდია, ტოლერანტული უნდა იყო და ა.შ. მაშინ, როდესაც მთელ მათ ისტორიას ოდნავ თითი რომ დააჭირო, სისხლი ჟონავს. დავუბრუნდეთ თანამედროვეობას და ვნახოთ, სად გაჩნდა პირველად ოფიციალურ დონეზე განცხადებები ჩერქეზთა გენოციდის შესახებ – ეს არის 1992 წელს ყაბარდო-ბალყარეთის უმაღლესი საბჭოს და 1994 წელს ადიღეის პარლამენტის მიერ გამოყენებული ტერმინი, როდესაც ისინი აფიქსირებდნენ ჩერქეზი ხალხის მასობრივ განდევნას ტერიტორიიდან, მაგრამ აქვე არის ერთი სერიოზული მომენტი, რომელიც მიგვანიშნებს, თუ სად არის ჩვენთვის „შენელებული მოქმედების ნაღმი", რადგან ამავე წყაროებში ნახსენებია, რომ გარდა ჩერქეზებისა, საუბარია მონათესავე ხალხებზე, აფხაზებზე და სხვებზე. აფხაზების აღნიშნულ გენოციდზე მიბმა სრულიად არ არის შემთხვევითი, თუ გავიხსენებთ იმ განცხადებასაც, რომ ქართველებმა აფხაზების და ოსების გენოციდი მოაწყვეს, ჩვენ მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ავტომატურად დღის წესრიგში აყენებს აფხაზებისა და ოსების გენოციდის საკითხს. მაინტერესებს, როგორ უნდა აღვიქვათ ეს, რომ ქართველები არ იყურებიან დოკუმენტებში, როგორც ეს მოხდა **დსთ**-დან გასვლის შემთხვევაში, თუ შეგნებულად გაკეთდა?! თუ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ იცოდა ამ დოკუმენტების შესახებ, მაშინ გამოდის, რომ მათ შეგნებულად მიაყენეს დარტყმა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, კოლონიზაციის მცდელობები თანამედროვე მსოფლიოში დღესაც ხდება, ოღონდ ამას აღარ ჰქვია კოლონია და მეტროპოლია, ამას ჰქვია დემოკრატიის დამყარება. არის ასეთი ახალი ანეკდოტი სოციალურ ქსელში – „ანტარქტიდაზე აღმოაჩინეს ბუნებრივი აირი და ნავთობი, სისხლისმსმელი პინგვინების რეჟიმს სულ მალე მოეღება ბოლო". ყველაფრის უკან დგას რესურსების საკითხი, მეორე ადგილზეა საკუთარი ეროვნული ინტერესების გავრცელება სხვადასხვა რეგიონში.

დღევანდელი ვითარებით, ჩერქეზეთში არანაირი ენთუზიაზმი არ შეინიშნება იმის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს ფაქტი გენოციდად აღიარა. ეს ყველაფერი იყო გარედან მართული. ის ხელისუფლება, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღნიშნული აღიარებით რუსეთის გაბრაზება მოუნდება, ნამდვილად არ არის ადეკვატური.

მინდა დავუბრუნდე იმას, რითაც დავიწყე, ერეკლე მეორეს შეცდომა არ დაუშვია გეოპოლიტიკურ არჩევანში, რადგან მას ტახტზე მეტად სამშობლო უყვარდა. დღევანდელ პოლიტიკოსებს თავისი სავარძელი უფრო უყვართ, ვიდრე ქვეყანა, პრობლემა ამაშია. მთელი ეს აღიარება ჩერქეზთა გენოციდის შესახებ ამის ნათელი დადასტურებაა."

მკვლევარმა **გიორგი მდივანმა** კონფერენციაზე თავის მოხსენებაში ჩერქეზთა გენოციდის აღიარების ფარულ მიზეზებზე და პოლიტიკურ მოტივებზე ისაუბრა. მან, კერძოდ, აღნიშნა: „საქართველო არის პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც რუსების მხრიდან ჩერქეზი ერის გენოციდი აღიარა. ისმის შეკითხვა – რა მიზანს ემსახურებოდა და შედიოდა თუ არა ეს აღიარება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში? მსოფლიო ისტორიაში გენოციდებს მასშტაბურობის მიხედვით თუ დავახარისხებთ, ებრაელი ერის შემდეგ ყველაზე ხმაურიანი სომეხი ერის გენოციდია, რომელიც უკვე 48 სახელმწიფოს მიერ არის აღიარებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტს ეს საკითხი არ განუხილავს გასაგები მიზეზების გამო. ისმის კიდევ ერთი შეკითხვა – მაშინ რა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარება? საკმაოდ ადვილად პროგნოზირებადი იყო ის ფაქტი, რომ აღნიშნული აღიარება რუსულ-ქართულ ურთიერთობებს უფრო ღრმა ესკალაციის ფაზაში შეიყვანდა. 2011 წლის საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული აღნიშნული დადგენილება შეიძლება აიხსნას იმით, რომ სააკაშვილის მთავრობა ცდილობდა ჩერქეზთა თემით მანიპულირებას:

1. ეს იყო ყოფილი ხელისუფლების უსუსური მცდელობა, წაგებული ომის სანაცვლოდ რაიმე სახის დიპლომატიური ზიანი მიეყენებინა რუსეთისთვის;

2. ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით წინა ხელისუფლებას რუსეთის იმიჯის შესუსტება ჰქონდა განზრახული ჩრდილოეთ კავკასიაში;

3. რუსეთის მოქალაქეების განწყობა საქართველოს წინააღმდეგ, რადგან აღნიშნული აღიარება კავკასიის ერებსა და რუსებს შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას ემსახურებოდა".

გიორგი მდივანმა ვრცლად ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხზე ამერიკული სპეცსამსახურები, იმართებოდა სპეციალური კონფერენციები და შედეგმაც არ დააყოვნა – გარე ძალების მითითებით საქართველოს პარლამენტმა შესაბამისი დადგენილება მიიღო. ეს ყველაფერი რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

კონფერენციაზე სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა ედუარდ შევარდნაძის და მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ბატონი პეტრე მამრაძე, რომლის გამოსვლამ კონფერენციის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია,

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ამბები სამეგრელოდან

ავტოავარიას ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა

რამდენიმე დღის წინ ანაკლია-ზუგდიდის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავტოავარია ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში მოხდა. გადაჭარბებული სისწრაფით მოძრავი BMW-ს მარკის ავტომანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და იქვე, ელექტრობოძს შეეჯახა.

ადგილზე გარდაიცვალა მანქანის მძღოლი, ახალგაზრდა მამაკაცი და ასევე მგზავრი, შუახნის მამაკაცი. შემთხვევის ადგილზე საპატრულო პოლიცია მუშაობდა, რომელმაც ამ საშინელი ავარიის მიზეზები დაადგინა.

ზუგდიდში ბაბა-ბაღები უფასო, კვება კი სამჯერადი ხდება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლებთან ერთად ახალ სასწავლო წელს საბავშვო ბაგა-ბაღებიც დაიწყებენ. ახალ სეზონს საბავშვო ბაღების უმრავლესობა ახალი ინტერიერითა და გარემონტებული შენობებით ხვდება. კაპიტალური რემონტი გაკეთდა ცაიშის, დიდინექის, ნაცატუსა და ქალაქის მე-16 საბავშვო ბაღებში.

ახალმა ხელისუფლებამ საბავშვო ბაღებს ყოველთვიური გადასახადი მოუხსნა. თითოეული თვის გადასახადი 25-დან 35 ლარამდე განისაზღვრებოდა, თუმცა ამის ფონზე საბავშვო ბაღებში კვება იყო დღეში მხოლოდ ორჯერ. ზუგდიდის სკოლამდელი საალმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის, მარინა კვიკვინიას განცხადებით წელს საბავშვო ბაღებში კვება სამჯერადი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ბაღები ყოველთვიური გადასახადებისგან გათავისუფლდა.

„წელს საბავშვო ბაღებში ძალიან ბევრი სიახლეა. წინა წლებისგან განსხვავებით, წელს საბავშვო ბაღებში კვება, ორის ნაცვლად, სამჯერადი გახდება და ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია 144 ათასი ლარი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ყველა საბავშო ბაგა-ბაღი მზად არის ახალი სეზონის დასაწყებად" – აცხადებს ქალბატონი მარინა კვიკვინია.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვებისთვის 144 ათასი ლარი გამოიყო, დამატებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის მილიონ ნახევარი ლარი გამოიყო.

რა ხდებოდა სენაკის სამხედრო ბაზაზე? – ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნის აღსარება

თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ნემსაძე, რომელიც სამინისტროდან ბაჩო ახალაიას მისვლიდან რამდენიმე დღეში დაითხოვეს, ჟურნალისტთან დღემდე გაუხმაურებელ ფაქტებზე საუბრობს.

ნემსაძე სამსახურიდან გათავისუფლების ერთადერთ მიზეზად თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების კორუფციაში მხილებას ასახელებს. თადარიგის ოფიცრის მტკიცებით, თავდაცვის სამინისტრომ უვარგისი ტექნიკა ჩამოიყვანა უცხოეთიდან და შემდეგ ამის შეკეთებაში მილიონები დახარჯა.

"2008 წლის საომარი მოქმედებების დროს სენაკის ბაზაში ვმსახურობდი. სრული უწესრიგობა სუფევდა – არც უზრუნველყოფა, არც სტრატეგია, არც დაგეგმარება არ არსებობდა. ჩვენს სამხედრო ნაწილს თემურ შენგელია მეთაურობდა. იმ პერიოდში საჰაერო თავდაცვისთვის დაზიანებული ტექნიკა შეიძინეს. ამ ტექნიკას სულ მალე უცხოეთიდან სპეციალისტები ჩამოჰყვნენ და შეაკეთეს. ამაში მილიონები დაიხარჯა. ომამდე სამი დღით ადრე ტექნიკიდან საწვავის ავზები ამოიღეს და ამიტომ ტექნიკამ გადაადგილება ვეღარ შეძლო, შემდეგ ის ხელთ იგდო რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა" – აცხადებს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი.

დავით ნემსაძის განცხადებით 2008 წლის ომის დროს სენაკის სამხედრო ბაზაში სრული ქაოსი იყო. სწორედ ამ დროს ჰყვაოდა სამხედრო მაღალჩინოსნებს შორის კორუფციული გარიგებები.

"ქაოსი იყო. უბედურება ის არის, ომის შემდეგ დიდი რაოდენობით დიზელის საწვავი ჩამოწერეს და მეთაურებმა ფული იშოვეს. პოლკოვნიკი ურიდია, ვიცე-პოლკოვნიკი ჯიქია და ფოჩხუა ჯარისკაცებს სთხოვდნენ ფულის შეგროვებას, საზენიტო დანადგარების გასარემონტებლად გვჭირდებაო.

პირველი უთანხმოება ხელმძღვანელობასთან იმის გამო მომივიდა, რომ ჩემი ანალიზი წარვუდგინე წაგებულ ომზე. ვიცე-პოლკოვნიკმა ჯიქიამ და მაიორმა მაჩიტიძემ პირდაპირ მითხრეს, თუ ასე გააგრძელებ, პრობლემები შეგექმნებაო. ვიცე-პოლკოვნიკმა ფერაძემ ომის დროს თავისი მანქანა საწვავით გაავსო და გაიპარა, ჩვენ კი მხოლოდ 5 ლიტრი საწვავი მოგვცა.

ომის შემდეგ ჯარისკაცების შანტაჟირება დაიწყეს, ვაზნებს უდებდნენ და სისხლის სამართლის საქმეებს აღძრავდნენ, ასე აშინებდნენ, დაჭერით ემუქრებოდნენ და ისინიც დუმდნენ.

ასეთ ფაქტებს რომ ვაპროტესტებდი, ამიტომ გამათავისუფლეს. ერთ დღეს, ღამის 3 საათზე გამიყვანეს სახლიდან და სამხედრო პოლიციაში მიმიყვანეს. იქ გამომძიებელ გოგიჩაიშვილსა და დაზვერვის უფროს ენდელაძეს ვესაუბრე. მერე ამიყვანეს ერთ ოთახში, სადაც ვიღაც მამაკაცი დამხვდა. მან ირონიულად მკითხა, შენ იცი, სად ხარო? ვიცი, თავდაცვის სამინისტროში-მეთქი. ჩვენ გავეცანით შენს საქმეს, მართალი კაცი ხარ, მაგრამ ავიაციის პოლკოვნიკების დასჯა სხვა თემაა და ამაზე ნუ ილაპარაკებო. თუ დასასჯელები არიან, დასაჯეთ, სამხილი მაქვს-მეთქი. მირჩია, ის მასალა მომეციო.

იმ მასალაზე აღბეჭდილი იყო როგორ აგროვებენ ჯარში ფულს, როგორ ჩაუდეს კაპრალ ონიანს იარაღი. გათავისუფლების მიუხედავად, ხშირად მივდიოდი თავდაცვის სამინისტროში და ვითხოვდი იმ ხელმძღვანელების დასჯას, ვინც კანონს არღვევდნენ. ერთ დღეს დამიბარეს და მითხრეს, სამხედრო პოლიციის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში იწყებ მუშაობას, მაგრამ ხმა არ გაიღო იმ პოლკოვნიკებზე, თორემ დიდ უსიამოვნებას გადაეყრებიო.

ეს პოლკოვნიკი იყო გია დგებუაძე, ე.წ. "მასტერა". ის იყო ქვედანაყოფის ოპერატიული სამსახურის უფროსი. "მასტერამ" მითხრა, მუჭში მყავხარ, ხელი რომ გაგიშვა, იცოდე, უფსკრულში წახვალ, წარმოდგენა არა გაქვს, ვის ხელში ხარო. მოითხოვდა, დისკები არავისთვის გადამეცა და გაფუჭებული ტექნიკის შეძენაზე არავისთან მელაპარაკა.

მერე მითხრა, ჩვენ საჰაერო თავდაცვის სპეციალისტები არა გვყავს და კონსულტაციებს გავივლით შენთანო. მოკლედ, დავიწყე მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა დეპარტამენტში, კერძოდ, შიდა ქართლში, მაგრამ "მასტერას" ბრძანებით თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფში მიმავლინეს. მისივე დავალებით მაკონტროლებდა ლევან გაბუნია, რომელიც დღესაც მუშაობს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. ის "მასტერას" მარჯვენა ხელი იყო. მან ჩემი ყველა ნაბიჯი იცოდა. ახალ სამსახურში მომსწრე გავხდი ადამიანების წამების, მათი დათრგუნვის.

ერთი აფხაზეთიდან დევნილი ბიჭი იყო. გალში მშობლები ჰყავდა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მათ სანახავად გადავიდა. იქ დაიჭირეს, მისგან იქაური სპეცსამსახურები სამხედრო ძალებზე ინფორმაციას ითხოვდნენ. იქიდან დაბრუნებულმა ეს აცნობა სამინისტროს. ამის გამო სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს. მთელი კვირა სკამზე იჯდა და განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ, არაფერს აჭმევდნენ. ფსიქოლოგიურად გაანადგურეს. ლევან გაბუნია კურირებდა ამას, სხვის გვარებს არ დავასახელებ გამოძიების დასრულებამდე. ის ბიჭი ბოლოს აფხაზეთში ოპერატიული ინფორმაციის მოსაპოვებლად გაგზავნეს. მერე მისი ბედი არ ვიცი.

ამისთვის თავს არ შეიწუხებდა. თუმცა ასეთი ფაქტი მახსენდება: მის კაბინეტში ლაფერაშვილმა ორი სამოქალაქო პირი შემოათრია, "მასტერამ" უთხრა, თქვენი ბედი, ახლა ინგლისურს რომ ვმეცადინეობ და არ მცალიაო" – ამბობს დავით ნემსაძე.

„საქართველოს მიერ ე.წ. ჩერქეზების გენოციდის აღიარება: მიზნები და შედეგები"

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

რადგანაც ის პრეზიდენტის კანცელარიაში მუშაობის დროს შიგნიდან ადევნებდა თვალს მიმდინარე მოვლენებს. მან დეტალურად გაიხსენა, თუ როგორ რეაგირებდა საქართველოს პრეზიდენტი სხვადასხვა საკითხზე და როგორ ცდილობდა, რუსეთისთვის სამაგიერო გადაეხადა.

პეტრე მამრაძე: „მე მქონდა საშუალება, ამ პროცესებს შიგნიდან დავკვირვებოდი. მე გამოვაქვეყნე წიგნი „08.08.08", რომელშიც დეტალურად არის ასახული, თუ რა ჩაიდინა სააკაშვილმა 2008 წელს, მანამდე და მას შემდეგ. მიხეილ სააკაშვილი ჩემი რეკომენდაციით დაინიშნა კავსაძის კომიტეტში და ვიყავი ძალიან დაახლოებული მასთან, ამიტომაც პასუხს ვაგებ ყველა სიტყვაზე, რასაც ვიტყვი. პირველი, 2007 წლის შემოდგომის და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მის გუნდში არ არსებობდა ისეთი ადამინი, რომელსაც შეეძლო მისი ახირებების და სრულიად უაზრო, კონტრპროდუქტიული, მავნე მოქმედებების შეკავება. ასეთ ვითარებაში რაციონალური აზრის ძიება იყო შეუძლებელი. მინდა გითხრათ, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში სააკაშვილმა გულში ჩაიდო რევანში რუსეთის წინააღმდეგ და იგი გეგმავდა, რომ ახალგორის რაიონში ჩაეტარებინა სამხედრო ოპერაცია, იქიდან განედევნა რუსი სამხედროები და დაებრუნებინა ახალგორის რაიონი. გთხოვთ, წარმოიდგინოთ ვითარება – ტანკები დგას იგოეთთან და ყველგან, ამ დროს კი სააკაშვილი წარმატებით ატარებს ოპერაციას ახალგორში, სადაც შეაგზავნიდა სპეციალურ რაზმს. ხომ წარმოგიდგენიათ, ამას რა მოჰყვებოდა. მერე აღმოჩნდა, რომ იგივეს გეგმავდა კასპშიც. ჩვენი ჩარევით ეს არ მოხდა. ამის შემდეგ მან 2008 წლის შემოდგომაზე დასახა რუსეთის დაშლის გეგმა. მან ეს გამოუცხადა უცხოელ დიპლომატებს, რამდენჯერმე თქვა საჯაროდ, ხოლო 2009 წლის თებერვალში პარლამენტში ბრძანა, რომ იგი **„ცხვირიდან ძმარს ადენდა"** რუსეთს. სააკაშვილმა ვიწრო წრეებში არაერთხელ განაცხადა, რომ იგი დაშლიდა რუსეთს და ამ პროცესს ჩრდილო კავკასიიდან დაიწყებდა. 2007 წლის ივლისში სააკაშვილი იჯდა თავის კაბინეტში რუკის ფონზე და ამბობდა, რომ ახლა აიღებდა ცხინვალს, 2 საათში აიღებდა ჯავას, გადაკეტავდა როკის გვირაბს და მერე ამერიკაც და რუსეთიც უნდა შეეგუონ ახალ რეალობას. ძალიან განაწყენებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც უკრძალავდა ამ გეგმის განხორციელებას. 2009 წელს ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა მოღვაწემ მითხრა, რომ ამერიკელი პარტნიორები ყოველთვის აფრთხილებდნენ რუსებს სააკაშვილის მილიტარისტული აგრესიული მისწრაფებების შესახებ, ასე მოხდა 2008 წლის ივლისშიც, კონდოლიზა რაისის ვიზიტის შემდეგ, ამერიკელებმა რუსებს უთხრეს, რომ ისინი აფრთხილებდნენ სააკაშვილს შესაძლო შედეგებზეც და გააფრთხილეს, რომ არ ჩაერეოდნენ ამ საკითხში, მაგრამ ამერიკელები იმის გარანტიას ვერ იძლეოდნენ, რომ ეს ადამიანი, თავისი ფსიქიკით, არ დაიწყებდა საომარ მოქმედებებს აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში.

სააკაშვილმა თავისი გეგმის განხორციელება მაინც დაიწყო. ჯეიმსტაუნის ფონდი მთლიანად დაფინანსებულ იქნა პრეზიდენტის მიერ. მათ დაიწყეს პირდაპირი კავშირის დამყარება ჩრდილოკავკასიელი ხალხების იმ ჯგუფებთან, რომელთც რუსეთიდან გამოყოფა უნდოდათ. ამ დავალებით საქართველოს პარლამენტიდან გაიგზავნა შესაბამისი წერილები, საიდანაც უარყოფითი პასუხები მიიღეს. ამას გარდა, დაიწყეს ჩრდილოკავკასიელი ხალხების დიასპორებთან კონტაქტების დამყარება, სადაც ვერ ნახეს თანამოაზრეები. აამუშავეს ტელეკომპანია **„პიკი"**. სააკაშვილი ხშირად ამბობდა, რომ იგი რუსეთის დაშლას ამ ტელეკომპანიით აპირებდა, რამაც ასევე უკუშედეგი გამოიღო. შეერთებული შტატები ძალიან გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის უვიზო რეჟიმი იქნა დაწესებული. მაშინ პირველად ვნახე ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ასე გაცეცხლებული, რადგან მან საყვედური მიიღო საკუთარი ხელმძღვანელობისაგან. გენოციდის აღიარებაც, რა თქმა უნდა, რუსეთის დისკრედიტაციისთვის იქნა მიღებული. მე ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, რომ არ დარჩა ევროპელი დიპლომატი და ამერიკელი ჩინოვნიკი, რომელმაც ქილიკით არ მკითხა, თუ როგორ ვაპირებდით სომხეთისთვის აგვეხსნა, რომ მათი გენოციდი საქართველოს პარლამენტმა არ განიხილა. სააკაშვილს უნდოდა ერთი რამ, რომ როგორმე გაეღიზიანებინა პირადად პუტინი.

ჩემს გამოსვლას ლინკოლნ მიტჩელის სიტყვებით დავასრულებ: **„პუტინს 2003 წლის შემოდგომაზე საქართველოში სპეციალური დავალებით რომ გამოეგზავნა კადრის აგენტი, ისიც კი ვერ გაართმევდა თავს უკეთ დავალებას, ვიდრე ეს გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა."**

გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი **ვიქტორ ცაავა** კონფერენციის მონაწილეების წინაშე წარდგა მოხსენებით **„ჩერქეზების გენოციდის ისტორიულ ასპექტებზე და თანამედროვე რეალობაზე"**. მან, კერძოდ, აღნიშნა: **„ის, რომ გენოციდის აღიარება სააკაშვილის ხელისუფლების დიდი ავანტიურა იყო, ფაქტია. აღნიშნული დავალება სააკაშვილს დასავლეთში არსებულმა რეაქციულმა ძალებმა მისცეს, რომლებიც გეოპოლიტიკურ ბრძოლაში ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამოყენებით რუსეთის წინააღმდეგ აპირებდნენ მოქმედებას. ამას მიუთითებდა ტელეკომპანია „პიკის" ამუშავებაც. ეს იყო კავკასიის აფეთქების გეგმა. ვფიქრობ, რომ სანამ გვიან არ არის და სირიიდან გარკვეული პროცესები საქართველოში არ გადმოსულა, ჩვენს ახალ მთავრობას უნდა მოვთხოვოთ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების დოკუმენტის დენონსაცია. თუ კავკასიელ ხალხებთან მეგობრობა გვინდა, ეს რუსეთის ჯიბრზე კი არ უნდა გავაკეთოთ, არამედ რუსეთთან ერთად უნდა გავაკეთოთ."**

შესვენების შემდეგ, კონფერენციის მეორე ნაწილში, გაზეთ **„ილორის"** მთავარმა რედაქტორმა **როლანდ ჯალაღანიამ** და კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრება და ზემოაღნიშნულ საკითხზე ფართო დისკუსია გაიმართა.

საქინფორმი

პოეზიის კუთხე

მარგალი კოჩი ვორექ

მარგალი კოჩი ვორექ,
მარგალო ერჩქინელი.
დარინალო დიხა მაფუ
გორილი დო მერჩქინელი.
ჩქინი ჯვეშებს ვუმარდუქი
მარგალობა დომტესინი,
ბრელი ზისხერ დაბესიდო
ნინა ვამდინუესინი.
ვართი რჯულსუ უღალატეს,
კუნთხუ ვეგმითირესინი.
ჯვეშო კოლხეთს უძახუდეს,
ამდღარ დღაშა ქომორთენი.
ტერქი ბრელი მისოფესი,
აანდაშა ბჭყვიდესენი,
ჯა დო ქუას ვეთალენდეს,
დიხას ასწორენდესენი.
ბრელი ჭირსი გოურძით დო
ამდღარ დღაშა ქიმოფრთითი,
მარგალ, მარგალურს იჩიებ,
მუში ამბე არიკითი.

ავერიკო თორია

ვა მიჩქ, დუდ სო მიკვოტახა

ამდღა ზუგდიდს გილვოქანცა,
შურ დო გურით შულადირი,
მითინს ვაუჩქ, მუ ელამიძ
გურიშ ტომბას ჩუალირო...
ვა მიჩქ, დუდ სო მიკვოტახა,
გილვობარჯა სოდგა – სოდგა,
ომარგალე ვა მიცორდასგნ
დუს ქირქეშა გეგნიპოთა!..

რამაზ კუპრა

რა კავშირი აქვს ოცნების კანდიდატს სოროსთან და თავისუფლების ინსტიტუტთან?

თითქოს საქართველოს მშვიდი ცხოვრების შანსი გაუჩნდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მაგრამ ვერა და ვერ მოხერხდა სოროსელებისა და სხვა გადაგვარებულებისაგან ქვეყნის დახსნა. სრულიად საქართველოს უკვე ეჭვი არ ეპარება, რომ სოროსის მიერ დაფრთიანებული **"რესპუბლიკელები"** ივანიშვილს სწორედაც რომ ამერიკელებმა აჰკიდეს და გვეგონა, რომ ჩვენი უსიამოვნებები ასევე სოროსის მიერ დაფრთიანებული ნაციონალების გარეკვით დამთავრდა, მაგრამ, თურმე სადა ხარ – ჯერ ერთი სოროსელი არ წასულა და ახლა უკვე მეორე სოროსელი გვიმტვრევს კარს!

ამას წინათ პრესაში გაჟღერდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **„სახალხო კრების"** წევრი და მოძრაობა თეთრების ლიდერი გიორგი მარგველაშვილს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და **„თავისუფლების ინსტიტუტთან"** კავშირში „ამხელს".

პოლიტიკოსი აცხადებს, რომ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის დაყენება ივანიშვილს რესპუბლიკელების **"პროტექტორმა"** ამერიკელებმა აიძულეს.

– „ვინ არის „ენ-დი-აი"-ს დამფუძნებელი?

– მარგველაშვილი.

– ვინ იდგა „სოროსის ფონდის" სათავეებთან?

– მარგველაშვილი.

– ვინ არის „თავისუფლების ინსტიტუტის" სათავეებთან?

– მარგველაშვილი.

"გავა დრო და თავად ბიძინა ივანიშვილი იტყვის, რომ ეს არ იყო მისი კანდიდატი და ძალდატანებით წამოაყენა კანდიდატად. ოდნავ არ მეპარება ეჭვი ამაში, მაგრამ თუ მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურაა, მაშინ თავად უღალატია ქვეყნისთვის" – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში რესპონდენტი.

პოლიტიკოსის ეს სიტყვები ეჭვს არ იწვევს, რადგან ამას წინათ გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს თავად, საკმაოდ ამაყად და ომახიანად განუცხადა, რომ მისი უახლოესი მეგობრები არიან პირწავარდნილი სოროსელები თემურ იაკობაშვილი და **"თავისუფლების ინსტიტუტის"** ხელმძღვანელი ლევან რამიშვილი, რომელთა სახელებსაც უკავშირდება ქართული ეროვნული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამართული დაუნდობელი ბრძოლა, და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევართა ესოდენ თავხედური გააქტიურება საქართველოში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, თუ რა საფრთხეებსაც უქადის საქართველოს გიორგი მარგველაშვილის აღზევება, ამის თაობაზე დასკვნის გაკეთება თავად მკითხველებისათვის მიგვინდია.

საკ. ინფ.

ნათხოვარი ძროხა

ვაის გაყრილი და უის შეყრილი კაცის ჩანაწერები

მართალი ყოფილა ის კაცი, ვინც პირველმა შენიშნა: **„ეჰ, ეს ქვეყანა უოცნებოდ რა ღარიბია"**-ო! (შარლ ბოდლერი).

კი, ჩემო ბატონო! ჩემი ქვეყანაც, ჩემი საქართველო ოცნებითაა განთქმული. ეს ასეა და ასე რომაა იმითაც საბუთდება, რომ შემოვიტანეთ და დავამკვიდრეთ ცნება – **„ქართული ოცნება"**. უფრო მეტიც! – ამ ცნებით მოაზრებული მთელი სახელისუფლებო კოალიციაც კი შევქმენით!

გიხაროდენ ქართველნო! ამიერიდან ოცნება სახელმწიფოებრივადაა დაკანონებული. ეს სულაც არ არის გასაკვირი და გასაოცარი – ყოველი ადამიანის დასაბამითი ბუნება ოცნება იყო, მით უფრო ქართველთათვის და თანაც ყველაფერში!..

მეც, ამ სტრიქონების ავტორი, ქართველი გახლავართ და, რა გასაკვირია, მეოცნებე ვიყო? ვინ იცის რაზე არ მიოცნებია მოცალეობის ჟამს. ღვთის წყალობით, ეს ჟამი **„კვერცხიდან"** ან ილიონის დაქცევიდან თუ არა, საბჭოეთის **„დიადი"** სახელმწიფოს იავარქმნიდან მაინც გვიდგას.

სხვა თუ არაფერი, ჩემო ბატონო, კაცი ოცნებაში მაინც არის ჭეშმარიტად თავისუფალი.

აქ, სრულად ფრთაშესხმულ-ფრთაგაშლილნი ვართ, მიდი და ინარნარე! ამიტომ სახტად ნუ დარჩებით ოცნებათა ზღვაში მრავალ პროფესიაზეც თუ მიოცნებია ასტრონავტობაზე, მეზღვაურობაზე, მრგვალი რაინდის რაინდობაზე, გრაალი თასის დაუფლებაზეც კი, მაგრამ... არამც და არამც სოციალური სამსახურის აგენტობაზე.

არა და, ყველაფერი უბრალოდ და მარტივად მოხდა.

ერთ მშვენიერ დღეს თანაკლასელი შემხვდა. ვისაუბრეთ აქეთურზე, იქეთურზე და ბოლოს, მის საქმიანობაზე შევჩერდით. ბედისწერის დიდად არასოდეს მჯეროდა, მაგრამ სოცმუშაკის საქმიანობაზე საუბარი ნამდვილ ბედისწერად მექცა.

გამოგიტყდებით და, ბუნებით კომუნიკაბელური გახლავართ, – ადამიანებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობა ყოველთვის მიტაცებდა. ამიტომ სოციალურ სფეროში მოღვაწე ჩემს თანაკლასელს ადვილად დავთანხმდი ამ სექტორში მუშაობაზე, მითუმეტეს, უმუშევართა მილიონიანი არმიის ოფიცერთა შემადგენლობის თუ არა, ერთი რიგითი ჯარისკაცი მაინც გახლდით.

დიდებულად გავიარე გასაუბრება, უნარ-ჩვევებიც წარმატებით ჩავაბარე და, ტვინის ჭყლეტა კი დამჭირდა, მაგრამ გავხდი სოცსამსახურის მუშაკი. სამუშაო არ იყო რთული: უნდა მეპოვნა და დამედგინა სოციალურად დაუცველი ოჯახები (მე შენ გეტყვი და რა საპოვნ-დასადგენი ეგ იყო?!), აღმეწერა მათი მდგომარეობა და მთელი მონაცემები ანკეტებში შემეტანა.

კითხვარებს ოჯახთა თითოეულ წევრს ვურიგებდი. შევსებულ ანკეტებს ჩემი მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსს ვაბარებდი. იქიდან ყველა საბუთი დედაქალაქში, სამინისტროში იგზავნებოდა, სადაც, ჩვენს მიერ წარდგენილი ცნობების მიხედვით, იწერებოდა ქულები და შეჯამების შემდეგ წყდებოდა ვის უნდა მინიჭებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსი დ ავის უნდა გაწეოდა დახმარება.

როგორც კი გავაცნობიერე, რომ ოჯახთა ბედი დიდად იყო დამოკიდებული აგენტის პოზიციაზე, სულო ცოდვილო, ცოტა არ იყოს... მაგრამ... არ მინდა ამაზე საუბარი!..

ჩემთვის რომ გეკითხათ, მთელი ჩემი სანათესაო, სამეზობლო და სანაცნობო, ჩემს მიერ აღწერილ ყოველ ოჯახთან ერთად ჭეშმარიტად იმსახურებდა სოციალურად დაუცველის სტატუსს და საჭიროებდა დახმარებას.

დავიწყე კარდაკარ, ოჯახიდან ოჯახში სიარული, აისიდან დაისამდე, დღისით და მზისით... მე შენ გეტყვიდა, დიოგენეს ლამპარი დამჭირდებოდა თუ რა, ღატაკთა, ბოგანოთა, უპატრონოთა და უპოვართა საპოვნელად?

სამოქმედოდ გასვლის წინა ღამე ყამირივით გავტეხე, – ვეძებდი ყველა იმ სიტყვას, რომელიც შინაარსობრივად (სემანტიკურად!) ზედმიწევნით მიესადაგებოდა ჩემს საკვლევ პიროვნებებს.

ღმერთო დიდებულო, სინონიმთა რა მდიდარი ლექსიკური ფონდი გიბოძებია ჩვენთვის: უფულო, უპურო, უქონელი, უპოვარი, უჭერო, უხამლო, უსახსრო, უგროშკაპიკო, უუფლებო, უნუგეშო, უსიხარულო, უჯანო, უილაჯო, უმწეო, უჭმელო, უსმელო, უსუსური, უსვეო, უსავანო, უსანათო, უსასო...

და... უსასრულობაში მიმავალი სიღატაკის უსასრულობა, არა თუ სინონიმთა, არამედ ადამიანთა, ოჯახთა, სოციალურ ფენათა, რომელთაც ზედმიწევნით ესადაგებოდა თავსართი „უ"!..

გამოგიტყდებით და, თავიდანვე, ლოიალურად განვწყე საკვლევი **„პერსონებისა"** და ოჯახების მიმართ. გადავწყვიტე, რიგ შემთხვევებში, ზოგიერთ **„იმაზე"**, რაც უარეყოფითად იმოქმედებდა სოციალურად შეჭირვებულის სტატუსის მინიჭებაზე, თვალი დამეხუჭა. რა თქმა უნდა ეს ჩემს სამსახურებრივ კარიერას საფრთხეს შეუქმნიდა. სიმართლე გითხრათ, თავიდან ამის გამო ერთგვარ სინდისის ქეჯნასაც კი განვიცდიდი, მაგრამ იცოცხლეთ, ამგვარი რამ პირველივე ნაბიჯებიდანვე გამიქრა, – უპოვართა ოკეანეში აფრაგაშლილი ნავივით მივნანაობდი.

სადაგ სამუშაოში ჩართულმა, ვერც კი შევნიშნე, როგორ გამიჩნდა ახალი შიში. ისტორიას გამეორებები უყვარსო! ჰოდა, ხომ შეიძლებოდა ახალი ჟაკერია განმეორებულიყო? ოდესღაც, ექვსასორმოცდათი წლის უკან, სადღაც საფრანგეთში მომხდარი უნიფხოთა აჯანყება, აქ, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოშიც მომხდარიყო? მე შენ გეტყვი და ამის ნიადაგი არ არსებობდა თუ რა?! – ქვეყანაში გაჭირვების პანდემია მძინვარებს, ერთდროს ღირსებით აღსავსე, რაინდული სულის, თავმოყვარე ერი სრულად გამათხოვრებულა. ამ შიშს მეორე შიშიც დაერთო – როგორ, ამდენ **„უ"**-იანებში ერთი-ორი უ-ჭირო და **უ**-დარდელი ვერ აღმოვაჩინე. ესეც ხათაბალად უნდა მქცეოდა. გადავწყვიტე ცოტა სიმკაცრეც გამომეჩინა საკვლევ ოჯახთა მიმართ. სწორედ ამგვარი საბრძოლო განწყობით მივადექი ვალერიან ცაავას ოჯახს. დასაწყისში ყველაფერი ისე ჩანდა, რომ ამ ოჯახს მიუკერძოებლადაც უნდა მიკუთვნებოდა **„უპოვარის"** სტატუსი, მაგრამ ერთმა მრეშა, გაზიზინებულმა და ვეება, გატიკნულ ცურიანმა ძროხამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ვერ გამაბრიყვეს – ცაავების ოჯახის ანკეტა ისე შევავსე, მამაზეციერიც რომ ჩარეულიყო, გაჭირვებულთა სტატუსს ვერ მიიღებდნენ.

სინდიდდამშვიდებულმა განვაგრძე საქმიანობა და, ვინ იცის როდემდე გაგრძელდებოდა ჩემი საქმიანობის აღმასვლა, რომ არა ის საბედისწერო დღე, როცა სამსახურის ხელმძღვანელმა თავისთან გამომიძახა.

– ნარაზენი შენი უბანია?! – მკითხა უფროსმა კაბინეტში შესვლისთანავე. არ მომეწონა მის ხმის სიმკაცრე. გულმა რეჩხი მიყო. დიახ-მეთქი, ვუპასუხე შიშით უფროსს და ცუდი ამბის მოლოდინში გავირინდე.

– რამდენი ოჯახი გყავს ამ უბანში? – კვლავ მკითხა უფროსმა ისე, რომ კომპიუტერისთვის მზერა არ მოუშორებია.

– სამოცდაჩვიდმეტი!

– სამოცდაჩვიდმეტივე სოციალურად დაუცველია, ხომ?! – უფროსმა ახლა კი მოაშორა თვალი კომპიუტერს და ცალწარბაზიდულმა ირიბად გადმომხედა.

– კი ბატონო!.. სწორედ მასეა...

– ვალერიან ცაავას ოჯახი თუა მაგ სიაში?

– არა, ბატონო შალვა! მას ორმოცდაცხრამეტი ათასი ქულა ჩამოუვიდა და ამიტომ ვერ მოხვდა სოციალურად დაუცველთა სიაში! – ვუპასუხე უფროსს და იმავე წამს ცაავების მრეშა ძროხა დამიდგა თვალწინ, სწორედ ის სურათი, სადამოს პირზე, როცა მათთან ვიყავი მისული აღსაწერად, დიასახლისი ოჯახის მარჩენალს გაქაფვითებული რომ წველიდა, ოჯახის მამას კი რძისკენ გაჩიჩმაჩებული ანგელოზი ეჭირა ხელში.

–ერთი აქეთ მობრძანდი, აბა! – უსიამო მოგონებიდან გამომიყვანა ბატონმა შალვამ. ილაჯგაწყვეტილი მიეუახლოვდი. – რატომ ვერ მოხვდა ცაავას ოჯახი დაუცველებში?

– ძროხა ჰყავთ, ბატონო, მაგათ ავ თვალს არ დაენახვება... მართალია ჰოლანდიური ჯიშის არ გახლავთ, მაგრამ არც არაფრით ჩამოუვარდება მეწველია... იწველის, ალბათ, ასე ოც ლიტრამდე. ოღონდ ყველი არ ვიცი როგორი ამოსდის, მაგრამ ვფიქრობ, ურიგო არც ყველი უნდა ჰქონდეთ, აღვნიშნე რძის სიბლანტე და ცხიმოვანობა...

– ჰოლანდიურს არ ჩამოუვარდება... ოც ლიტრამდე ცხიმოვანი რძე... ასე, ხომ?! – ავისმომასწავებელი ღიმი ეფინა უფროს სახეზე.

– დიახ, ასეა ბატონო! – ენაბრგვილივით წავილუღლუღე.

– კარგად დააკვირდი ამ კადრებს! რა არიან, მაინც, ეს ჟურნალისტები?! ნახე სიუჟეტის სათაური: **„ნათხოვარი ძროხით გადარჩენილი ოჯახი".**

კომპიუტერს მივაშტერდი. ვიღაც სათვალიანი კაცი ლაპარაკობდა. მონიტორზე წარწერაც გაჩნდა: რუბენ ქობალია (მეზობელი).

– ვინ არის ეს კაცი და ვისი მეზობელია, უფროსო?

– ვინ არის და ვალერიან ცაავას მეზობელი!.. აბა, ერთი კარგად მოუსმინე! – ხმამაღლა, მკაცრად მიბრძანა უფროსმა. ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ ბრძანებისამებრ ყურადღებად ვიქეცი:

„წვიმიან ამინდში, ხშირად, ღამის 3 სათზე წამომიყვანია მთელი ოჯახი ჩემთან სახლში. – ყვებოდა ვალერიანის მეზობელი. – მათ სახლს სახურავი დაზიანებული აქვს, წვიმა ჩამოსდით. ლამისაა საუკუნოვანი სახლია. სახურავი გამოსაცვლელი აქვთ, მაგრამ ამის საშუალება აღარ აქვთ. გაჭირვებული ოჯახია. ქმარი ავადმყოფობს, მეუღლე მცირეწლოვანის მოვლას უნდება... ორი წლის ბავშვის პატრონი სხვა რამის გაკეთებას როგორ შეძლებს?.."

– ძროხა ჰყავთ, ბატონო შალვა, მაგათ!.. გაზიზინებული მრეშა... მეწვ...

– გაჩუმდი და მოუსმინე! – მკაცრად შემაწყვეტინა უფროსმა. რა გზა მქონდა, მორჩილად განვაგრძე რუბენის მონათხრობის მოსმენა.

„...ჩემგან რძე მიჭქონდათ პატარისთვის... ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მერე აღარ მოსულან. ჩემი მეუღლე ამ ამბით შეწუხებულა. მიდგომია ცაავების ოჯახის დიასახლისს და უკითხავს, რატომ არ მოდიხარ რძის წასაღებადო? ჩემს მეუღლეზე უფრო შეწუხებულ მეზობლის ქალს უთქვამს: რა ვქნა, მომერიდა ყოველ დღე თქვენთან წოწიალი და რძის გამორთმევაო.

ცოლმა ეს ამბავი რომ გამანდო, დავთათბირდით და გადავწყვიტეთ – ძროხა გაჭირვებული მეზობლისთვის გვეთხოვებინა. ასეც მოვიქეცით. განათხოვრებული ძროხა დღისით ჩვენს სხვა საქონელთან ერთად დადის საბალახოდ და ჩვენ ვუვლით, საღამოს კი მათთანაა, რათა დილა საღამოს გამოწველონ... სხვა?.. სხვა კიდევ რაღა გითხრათ, ამათზე გაჭირვებული ოჯახი არც მინახავს და არც გამიგონია სადმე. მაგათ თუ არა, სხვას ვის უნდა ეკუთვნოდეს დახმარება?

თქვენს მტერს, რაც მე დღეში ჩავვარდი. გაოგნებული, გახევებული ვიდექი. ცაავების ოჯახში კი მითხრეს, ეს ძროხა ნათხოვარიაო, მაგრამ სოცმუშაკი კი არა, ამგვარ ზღაპარ-ექიათებს ღლაპებიც აღარ იჯერებენ, მე როგორ დამეჯერებინა? ანდა ამ საბავშოდ შეთხზულ არაკს ჩემი უფროსი თუ დამიჯერებდა? როგორ დამეჯერებინა ამ გამოცდილ მუშაკს ასე ჰარიჰარად თუ გააცუცურაკებდნენ?..

– ჰა რას იტყვი, ნუგზარ ჩემო?

უფროსის ირონიულად ნათქვამმა გამომაფხიზლა.

– რა ვთქვა, ბატონო შალვა?! თქვენ გჯერათ ახლა ამ კაცის ზღაპრების? – პირდაპირ, გულახდილად გავახმიანე ჩემი ფიქრები. – მსოფლიოში ვერ მომიძებნით თუნდაც ერთ ისეთ სოცმუშაკს, ვინც ამ ამბავს ირწმუნებს. ჰოდა, მეც რატომ უნდა დავიჯერო ეს მტკნარი სიცრუე და ნაბორდიშალი?

– დაიჯერებ თუ არ დაიჯერებ, ეგ შენი ნებაა, მაგრამ ერთ დასაჯერებელ და ჭკუის სასწავლ ამბავს ახლა ნამდვილად გეტყვი. შე კაი კაცო, ცაავების მონაყოლი თუ არ დაიჯერე, გაგეკითხა, ჩვენში მაინც გაგეკითხა! მე თუ არა, აგერ, გამოცდილი, პერსპექტიული მუშაკითვის, ბატონ კარლოსთვის მაინც მოგემინა?

– რა ვიცი აბა, რას წარმოვიდგენდი. – უფრო ჩემთვის ჩავილუღლუღე ვიდრე მათ გასაგონად.

– რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ? – თქვა უფროსმა. – მე, რა თქმა უნდა, საყვედური სამინისტროდან... – შალვამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მოადგილეს, ბატონ კარლოს, რომელიც ჩუმჩუმად უფროსობაზე ჩალიჩობდა და დადარაჯებული იყო, როგორმე ხელსაყრელი მდგომარეობა არ გამოპარვოდა და შალვასთვის კვანტი გამოედო. – შენ კი, ჩემო ძვირფასო, ნუგზარ, უსაყვედუროდ უნდა გაგიშვა!

– როგორ მანთავისუფლებთ? – გავიკვირვე და, ცხოვრებაში პირველად, თვალი გავუსწორე უფროსს.

– დიახ, ასეა... გათავისუფლებთ, მაგრამ უსაყვედუროდ, მეტი რაღა გინდა?

– შარშან, ბატონო შალვა, – გავბედე შეკამათება, – ასეთივე შემთხვევა გვქონდა კალანდიებთან და ძროხა რომ არ შვიყვანე კითხვარში, იმაზე გამომიტანეთ საყვედური. ახლა კი შეყვანის გამო მანთავისუფლებთ?

– მართალი ხარ, ჩემო ნუგზარ, – დამიყვავა შალვამ, – მაგრამ ის შარშან იყო. წელს კი ყველაფერი შეტრიალდა. ახლა მთავრობაც შეიცვალა და დროც. ახლა სხვა მოთხოვნებია. ყველაფერს საღი, მახვილი თვალით უნდა შეხედო, აარჩიო უნდა სხვისი ძროხა საკუთარისგან. თავისუფალი ხართ!..

გამოვედი ამჟავებული. ჩემს ოთახში შევედი. კოლეგებს ვუამბე ყოველივე, რაც გადამხდა. მათ უკვე მოესწროთ ინტერნეტში იმ სიუჟეტის ნახვა და თანაგრძნობით მიმზერდნენ მხოლოდ, სხვა რაღა შეეძლოთ.

მერე ჩემს აწ ყოფილ მაგიდას მივუჯექი. ორი განცხადება დავწერე. ერთი განთავისუფლების თაობაზე, მეორე – სოციალურად დაუცველთა სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის სახელზე – მოენიჭებინებინათ ჩემთვის უნიფხოთა სტატუსი...

ასე დავასრულე სოცმუშაკის ხუთწლიანი საქმიანობა.

ხვალ კი, ვალერიან ცაავას მეზობელს – რუბენ ქობალიას უნდა მივადგე, იქნება კიდევ დარჩა გასანათხოვრებელი ძროხა და მოიღოს მოწყალება, ვიდრე მათხოვრის ოფიციალურ სტატუსს მომანიჭებდნენ, ერთი მეწველი რომ მათხოვოს... მეც ხომ შვილები მყავს დასაზრდელი!

ზურაბ ქობალია

ღია წერილი ბატონ ალექსანდრე ჯაჯიას!

„როდესაც მთებში არ არის ვეფხვი, მაშინ მეფე ხდება მაიმუნი", და, ცხადია, ის მბრძანებლობს გარემოზე!
მაო ძედუნი.

ქვეყანაში, სადაც განათლებული ადამიანები და, განსაკუთრებით, უნიჭიერესი ახალგაზრდები, პატიოსნებით და ზრდილობით სავსე პიროვნებები სდუმან, ხმას ვერ იღებენ, იქ ცხადია სხვადსხვა ვირუსით დაავადებული ადამიანთა ჯგუფი იღებს ხელთ ქვეყნის მართვა-გამგებლობას და მერწმუნეთ ასეთი ქვეყანა განწირულია დასაღუპად.

"საქართველო ავად არისო": მეოცე საუკუნის 80-ინ წლებში ერთმა ჩინებულმა რუსმა მწერალმა ბრძანა, თუმცა რით იყო ავად დიაგნოზი არ დაუსვია. სიმართლე გითხრათ მე მაშინაც მის მხარეს ვიყავი, რამე თუ მაშინ, სხვა ბევრ რამესთან ერთად, წივილ-კივილის **„დიდოსტატების"** ავადმყოფობა გვჭირდა. ეხლა ამას **„პლასტელინის"** ავადმყოფობა დაემატა. მე პროფესიით ეკონომისტი ვარ და ადამიანის შინაგან ორგანოების თუ ფსიქიურ დაავადებებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ რასაც ვუყურებ, ვრწმუნდები, რომ **„ცოცხის, პლასტელინის და წივილ-კივილის"** ვირუსით არის დაავადებული საქართველო და მას სერიოზული მკურნალობა სჭირდება. ყოფილ **„ისტებს", „მისტებს"** და ეხლა იქიდან გადმოსულ **„ცოცხისტებს", „პლასტელინისტებს"** და წივილ-კივილის დიდოსტატებს ფულს ურიგებდნენ და აყვირებდნენ იმას, რაც უნდოდათ. ამჟამადაც ისინი კიდევ უფრო მეტად არიან უზრუნველყოფილნი და კარგ **„ფორმაშიც"** იმყოფებიან. აქ არ ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც მართლაც უსამართლოდ დაისაჯნენ და ითხოვენ სამართლიანობის აღდგენას.

სანამდე უნდა უყუროს ხალხმა მათ აღვირახსნილ და უკეთურ ქმედებებს?

პირდაპირი გაგებით ამ ავადმყოფობას დასტაქრები ვერ შველიან. ქვეყანას მართავდნენ ვექილები (ისინი კარგი ადამიანები არიან, მაგრამ ქვეყანას სულ სხვა გაქანების ხალხი სჭირდება) და, თავის დროზე, **„გრანტიჭამიები"**. მრავლადაა ხალხი უმაღლეს ეშელონებში, რომლებმაც საზღვარგარეთ გაისეირნეს, ლაპარაკი ისწავლეს და დაბრუნდნენ საქართველოში, თითქოსდა, **„როგორც"** დიდი ადამიანები. ბრძენნი გვეუბნებიან: ვინც ბევრს ლაპარაკობს სათქმელს ცოტას ამბობს, ან საერთოდ ვერაფერს ამბობსო. თავისი გაუნათლებლობისა და უმეცრობის გამო, მოლაპარაკე ხალხი, როგორც დასჭირდებათ ისე თხზავენ ტყუილებს, ცრუობენ, რათა ხალხის ზომბირება მოახდინონ. რაც მოგვიტანა ამდაგვარი ხალხის გაფეტიშებამ, აგერ ჩანს და, სამწუხაროდ, როგორც მამაჩემმა სიზმარში მითხრა, თუ ასე გაგრძელდა, უფრო დიდი უბედურება წინ გველის...

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა არჩევნების გზით ჩაანაცვლა ყოვლად უვარგისი ნაციონალური ხელისუფლება და მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ მისი გარემოცვა რასაც წარმოადგენს, ყველა კარგად ხედავს და თუ მას საქართველოს გადარჩენა სწადია, მაშინ უნდა ალაგმოს სხვადასხვა ვირუსით დაავადებული ადამიანთა ჯგუფის პარპაში... მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ის ვერ გააკეთებს, ალბათ ამიტომაც არის, რომ მიდის...

ისინი, ვისაც თავისი განათლებითა და პოლიტიკური გამჭრიახობით ხელეწიფებათ ქვეყნის მართვა, სდუმან, (რაც დანაშაულის ტოლფასია), რადგანაც, ვინც ხმას ამოიღებს, მას ხალხის სახელით ამ ვირუსით დაავადებულ **„ისტებს"** მიუსევენ და, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება ვის მხარეს დადგება?

ბატონო ალექსანდრე, მე თქვენ მიერ გამოქვეყნებული ყველა სტატია მაქვს შესწავლილი და მიმაჩნია: მხოლოდ თქვენ შეძლებთ იმას, რომ ქვეყნის ღირსეული შვილები შემოიკრიბოთ და მათთან ერთად გადაარჩინოთ საქართველო. დარწმუნებული ვარ, უპარტიოთა ბლოკი (ხალხს პარტიების უკვე აღარ სჯერა) დიდი უპირატესობით მოიგებს მომავალ არჩევნებს. კარს მომდგარ არჩევნებს უკვე არაფერი შველის, რადგანაც დანიშნულია პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც, და პარლამენტის წევრებიც, ხოლო თუ უახლოს პერიოდში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა...

ვოცნებობ იმაზე, რომ ერთხელ მაინც მოვხვდე იმ დარბაზში, სადაც თქვენ გამოდიხართ...

პატივისცემით,

რევაზ ცაავა
ზუგდიდი

"ვდგევარ საოცრების კარებთან..."



დღეს მთელმა საქართველომ კარგად იცის, თუ რაოდენ შთამბეჭდავი ღვაწლი დასდო დიდი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის სახელის უკვდავყოფას ნიჭიერმა ქართველმა შემოქმედმა ბატონმა ლერი ალიმონაკმა, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა ტერენტისეული მოკრძალებითა და თავმდაბლობით. სწორედ ბატონი ლერის დამსახურება გახლავთ ტერენტი გრანელის ლამის უიმედოდ დაკარგული მდიდარი შემოქმედების მკვდრეთით აღდგენა. ნამცეც-ნამცეც, წლების თავაუღებელი მუშაობის შედეგად კრებდა ბატონი ლერი გენიალური შემოქმედის მარგალიტებად ქცეულ ნაწარმოებებს, რომელიც ბედი-მწერალის ქარაშოტმა მთელ საქართველოში მიმოფანტა და შემდეგ ერთ წიგნ-საგანძურად შეამატა იგი ჩვენი წიგნის თაროს. მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან შეეჭიდა ბატონი ლერი ალიმონაკი ამ ურთულეს და უფაქიზეს საქმეს და რამდენიმე წიგნის გამოცემით გაგვიცოცხლა და გაგვითანამედროვა იდუმალ სამყაროში ჩაძირული პოეტი, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერაფერი გაუგო მისმა იმდროინდელმა შემოქმედებითმა სამყარომ...

დღემდე ჩვენ ვიცოდით, რომ ტერენტი გრანელი იყო განუმეორებელი ნიჭის მქონე პოეტი, იყო ორიგინალური სტილის მქონე სტილისტი-მხატვარი, მაგრამ არ ვიცოდით, რომ ტერენტი გრანელმა დიდ ცხოვრებაში შემოაბიჯა როგორც პოლიტიკოსმა. სამწუხაროდ, არც ის ვიცოდით, რომ მისი გვარი ყოფილა არა კვირკველია, არამედ კვირკვია. სწორედ გენიალური პოეტის ცხოვრების ეს **"ნიუანსები"** დაგვიდგინა ბატონმა ლერი ალიმონაკმა და გადმოგვცა ტერენტი გრანელის ცხოვრებასა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ საინტერესო წიგნში – **"ვდგევარ საოცრების კართან"** – **"ჩანაწერები"**, რომელიც ახლახან გამოვიდა ჩვენი მკითხველის სამსჯავროზე.

"ჩაესვენა სურვილების გროვა,
როგორც შორი მირაჟების სერია.
ახლა უფრო დაფიქრების დროა,
ჩადენილი შეცდომები ბევრია".

იტყვის ტერენტი გრანელი 1921 წელს.

მეოცე საუკუნის 10-იანი წლები, როცა გრანელი გამოდის ცხოვრების ასპარეზზე, უკიდურესად მძიმე დროა როგორც ევროპისა და რუსეთის, ისე საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ათასგვარი თეორიებისა და კონცეფციების გზაჯვარედინად გადაქცეულ ქვეყანაში არ გამოიძებნა ერთიანი მსოფლმხედველობა, რომელიც საფუძველი გახდებოდა ყველა პოლიტიკური და ინტელექტუალური თვალსაზრისების კონსოლიდაციისა. დიდი ილიას ვერაგულმა მკვლელობამ ამ მსოფლმხედველობას და სრულიად საქართველოს საყრდენი სვეტები გამოაცალა...

"ტერენტი გრანელი ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, – აღნიშნავს ბატონი ლერი შესავალ წერილში, – **მისი პოეზია ეროვნულ ფესვებზეა ამოზრდილი და ორგანული გაგრძელებაა მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიისა. ამიტომ, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა, რასაც 60-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, ბევრ მნიშვნელოვან მომენტს გამოავლენს როგორც პოეტური გენეზისის, ისე ეპოქისეული ტენდენციების თვალსაზრისითაც".**

და აი, ჩვენს წინაშეა ტერენტი გრანელი, რომელიც აქტიურადაა ჩართული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ზედიზედ აქვეყნებს წერილებს ქვეყანაში მიმდინარე ურთულესი პოლიტიკური პროცესების ანალიზით. ჩვენ მოვახდენთ მხოლოდ მისი ერთი წერილის ციტირებას, რომელსაც **"სამეგრელო"** ეწოდება:

"...მე მინდა განვუმარტო საზოგადოებას, თუ რამ გამოიწვია უკმაყოფილება მთავრობისადმი და როგორი დიდი როლი შეუძლია ითამაშოს პიროვნებამ შეუგნებელ მასაში. ავალაპარკოთ ფაქტები. დაბა წალენჯიხაში იოსებ კვარაცხელია დიდ როლს თამაშობდა ვითომდა ორატორის სახით და ამ საზოგადოებას ეს პიროვნება თავის მფარველ ანგელოზად მიაჩნდა, ყოველთვის ლოცვა-კურთხევით იხსენიებდა მას, ამაზე დიდი კაცი მათ ვერ წარმოედგინათ. თუ რომელიმე საკითხში ვინმე კრიტიკას გაუბედავდა იოსებს, ხალხი იტყოდა: "იოსებმა ასე სთქვაო და შენ რა იციო". ასე ადვილად უჯერებდა მას შეუგნებელი მასსა. ამ ვაჟბატონს ჯერ კიდევ რეაქციის დროს ბოქაულებთან მჭიდრო და მეგობრული კავშირი ჰქონდა.

დადგა რევოლუცია. ეს ვაჟბატონიც კვლავ მოევლინა დამცველად ამავე საზოგადოებას და კვლავ ნაჩვევ დემაგოგიურ პროპაგანდას მიჰყო ხელი. რასაკვირველია, შეუგნებელი საზოგადოებაც მას ადვილად აჰყვა და აირჩია აღმასრულებელ კომიტეტში და ბევრი სხვა ადგილებიც უთავაზა. გავიდა დრო და ამ ვაჟბატონმა თავისი ჯიბის საქმე უფრო კარგად მოაწყო, ვიდრე ხალხისა..."

მალე საუკუნე მიილევა, რაც ტერენტი გრანელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. თუმცა, პარადოქსი კია, ის სამწერლო ასპარეზზე გამოდის არა როგორც პოეტი, არამედ როგორც პოლიტიკოსი. სრულიად ჭაბუკი, თავის ფიქრებს, გულისზრახვებს უბის წიგნაკს უზიარებს, შემდეგ თბილისში აგზავნის, დამოუკიდებლობის სულისკვეთებით ანთებულ გაზეთებში ბეჭდავს. ლექსებს ბავშვობიდანვე წერს, მაგრამ მათ გამოქვეყნებას ჯერჯერობით ეკრძალვის.

და ეს ხდება იმ უმძიმეს ჟამს, როცა ბორგავს ევროპა, ბორგავს რუსეთის იმპერია, ბორგავს საქართველოც... როცა ერთმანეთზეა გადაბმული აჯანყებები, რევოლუციები, ომები, თეორიები, კონცეფციები, იდეოლოგიები... და პარტიები...

მკითხველი უამრავ მისთვის საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებს აღმოაჩენს ახალდგამოცემულ წიგნებში, რაც საშუალებას მისცემს გაეცნოს გენიალური ქართველი პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე უცნობ მხარეს!

ძმაო ლერი, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"**, გაზეთი **"ილორი"**, მისი მკითხველები, გენიოსი პოეტის შემოქმედების თაყვანისმცემლები დიდ მადლობას მოგახსენებენ იმ ტიტანური, უანგარო შრომისათვის, რაც შენ გასწიე ტერენტი გრანელის ხსოვნის უკვდავსაყოფად!

როლანდ ჯალაღანია

პოეზიის კუთხე

ორი ზამთარი

ერთ წელიწადში ორი ზამთარი –
აპრილამდე და ოქტომბრის მერე
ერთი იდუმალ ფერებს აჩენს
და
მეორე ძარცვავს იდუმალ ფერებს.
როგორც ენები, ისე ზამთრებიც,
განსხვავებული რგებიათ ერებს.
მე ჩვენებური ზამთარი მიყვარს,
როდესაც თოვლი ქედებს ათვრება,
(არა ისეთი, როცა ყინვები
დაწანწალებენ ბინდში აფთრებად
და ქარბუქებში თავის გატანას
ჰქვია გაძლება, გამოზამთრება).
მე ჩვენებური ბუხარი მიყვარს,
თუნდაც უბრალო ფაცხის კერია,
როცა კუნძების ფერდებს ამსხლტარი
ცეცხლის ენები "ნანას" მღერიან
და ღუზასავით დაშვებულ ლარჭას
ქვაბს დაკიდებენ თოთოკვერიანს.
ის დრო მსურს, როცა გაცივდებიო
და კარში გასვლის ნებას არ მრთავდნენ.
ისხდნენ ბებო და დიდი ბებია,
მატყლს ჩეჩავდნენ და ძაფებს ართავდნენ.
ღმერთო, ამ ზამთარს გადამარჩინე
და მიმიყვანე ქართულ ზამთრამდე!

რაულ ჩილაჩავა

საქართველო სად არი?

ლაქიების ხროვაა
და მზაკვართა ლაშქარი,
ეს ხომ პარლამენტია –
მტრების ხელში ლახვარი.
ისევ ძველი ხრიკებით
დანთებული ხანძარი,
ყავლგასული ტყუილით
გვმოძღვრავს დიდო, ხაზარი.
ხარობს ბრიყვი ქართველი –
ისიც ჰყოფნის, რაც არი,
მან თავისი მიიღოს
სხვას კი თუნდაც ნაცარი,.
იყიდება ქართული –
მიწა, წყალი, სახლ-კარი
და ჭყიპინა ჩინელის
ისმის ურცხვი ხარხარი.
ლაქიების ხროვაა
და მზაკვართა ლაშქარი,
ეს ხომ პარლამენტია –
მტრების ხელში ლახვარი.
გაზაფხული სად არის,
ან აისი რა იქნა,
ვასილისკოს სადარი
სარეველა აიქნა.
საქართველო სად არი,
ან ქართული რა იქნა,
ტარტაროზის სადარი
უცხო თესლი აიქნა.
ქალის კდემა სად არი –
ან კაცობა რა იქნა,
ერთ დროს ღმერთის სადარი
ცოდვილ ერად აიქნა.
საქართველო სად არი?
ქართველობა რა იქნა?..

დემურ ანთია

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიებს** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **"ლიბერთი ბანკში"** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.
ბალზაკი

ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.
შილერი

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც დიდ სიამოვნებას ანიჭებთ სხვების განსჯა-განქიქება და, მათი ლანძღვის პარალელურად, საკუთარი **„მაღალი“** სულიერებისა თუ **„ზღვარსგადასული“** პატიოსნების წარმოჩენა. ასეთები უმეტესად უნაკლოდ ფლობენ ტყუილის ხელოვნებას. დიახ, იმდენად უნაკლოდ, რომ ხშირად საკუთარი ტყუილისა ყველაზე მეტად თვითონვე სჯერათ. საზოგადოდ ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანები ამგვარად არ იქცევიან ხოლმე, მაგრამ, განა შეიძლება ამას ავადმყოფობა ვუწოდოთ? მართალია, უზნეობაც ერთგვარი სენია, თუმცა უზნეობა, პირველ რიგში, მაინც უზნეობაა და ის სწორედ ასე იწოდება.

ასეთი შესავალი იმ განცდითაა ნაკარნახევი, რომელიც წლის დასაწყისში გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** (ა/წ 15 იანვარი, 7) დაბეჭდილი ვრცელი წერილის წაკითხვისას დამეუფლა. თემურ მჟავიასა და ჯემალ გამახარიას ავტორობით **„შექმნილ“ „თხზულებას“,** ცოტა არ იყოს, უცნაური სათაური აქვს: **„ინფორმაცია“ ნაპომესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ“.** მას წინ უძღოდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება **„დეპუტატ ნ. მესხიას** (ანუ თქვენი მონა-მორჩილის) წიგნის **„როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“** (ქართულ და რუსულ ენებზე) **შესახებ“.**

სანამ მას წავიკითხავდი, გახარებულმა გავიფიქრე – რა კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს, ოთხი წლის შემდეგ მაინც გამოუნახავთ დრო ჩემი წიგნების წასაკითხად-მეთქი. მართლაც, ჩემს კოლეგებს ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ წამოცდენიათ მათ შესახებ და არც პირად საუბარში, არც საჯაროდ – ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში თავიანთი მოსაზრებები არ გამოუთქვამთ. ახლა კი (ჰოი, საოცრებავ!), მეტად **„გულმოდგინედ“** განუხილავთ იგი და, სტატია რაღა სახსენებელია, ამასთან დაკავშირებით **„ისტორიული“** დადგენილება მიუღიათ, თანაც ისე, რომ ჩემთან ერთი სიტყვაც არ დაცდენიათ!

ძალზე საინტერესოა, რაღა მაინც და მაინც ამდენი ხნის შემდეგ, როცა წიგნს ფართო საზოგადოება გაეცნო (ზუგდიდსა და ქუთაისში პრეზენტაციებიც ჩატარდა) და უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა? მაშინ ჩემი კოლეგები, როგორც უმაღლეს საბჭოში, ისე მთავრობაში, რატომღაც დუმდნენ. ახლა კი, ჩემს ზურგს უკან, ასეთი **„ისტორიული“** (თუ ისტერიული) დადგენილება მიიღეს და ვრცელი **„ინფორმაციის“** თანხლებით ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთშიც გამოაქვეყნეს, თანაც გასული წლის 29 სექტემბერს, ანუ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე! ეს უბრალო დამთხვევა სულაც არ იყო და უთუოდ უკავშირდებოდა ჩემს წინასაარჩევნო აქტიურობას კოალიცია **„ქართული ოცნებისა“** და მისი ლიდერის – სწორუპოვარი ქველმომქმედის, მეცენატის, ღვთის მიერ ქვეყნისა და ერის მხსნელად მოვლენილი ერისკაცის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, მაშინ (ჭორის დონეზე) ლაპარაკი იყო საქართველოს პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატად ჩემს წარდგენაზე – ასეთი შემოთავაზება მართლაც მივიღე, მაგრამ უარი განვაცხადე. უნდა ითქვას, რომ ჩემს პრაქტიკაში მსგავსი რამ ადრეც მომხდარა: თავის დროზე, **„აღორძინების“** ერთ-ერთი ლიდერი, აწ განსვენებული ჯემალ გოგიტიძე, დაბეჯითებით მთხოვდა თანხმობას და სანაცვლოდ პარტიის საარჩევნო სიის პირველ ათეულში მპირდებოდა ადგილს, რა თქმა უნდა, სხვა არაერთ სიკეთესთან ერთად (იხ. რუსული წიგნი, 164-165 გვ.). მე იგი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, ზემოაღნიშნული **„ისტორიული“** დადგენილების ერთ-ერთი სულისჩამდგმელისა და თანდართული **„ინფორმაციის“** ავტორის, ჯემალ გამახარიასგან განსხვავებით, უარით გავისტუმრე, რადგან მართებულად არ მიმაჩნდა ბატონ ასლან აბაშიძის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვყოფილიყავი ქვეყნის პარლამენტში; თანაც ამით აფხაზეთის პრობლემატიკას დავშორდებოდი.

როგორც დრომ გვიჩვენა, მართალი აღმოჩნდი. მაშინ ჩემს ასეთ ქმედებას ბევრი გაგებით შეხვდა, მათ შორის – ჩემი კოლეგები. ახლა კი, ქვეყნის საპარლამენტო არჩევნების წინ, ჩემი ასეთი გააქტიურება მათთვის ძალზე (არ ვიცი რატომ?) საშიში და სახიფათო აღმოჩნდა.

ყოველივე ეს იმ ფონზე ხდებოდა, როცა თვით უმაღლესი საბჭოს და მთავრობის წევრებითა და აპარატის მუშაკებით დაკომპლექტებული ჯგუფები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში აქტიურ პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწეოდნენ დევნილ (და არა მარტო დევნილ) მოსახლეობაში, ქვეყნის დამაქცეველი პრეზიდენტისა და მისი დამნაშავე მთავრობის მხარდასაჭერად. რად ღირს, თუნდაც, ზუგდიდში ჩემი ერთ-ერთი **„ოპონენტის“**, ჯემალ გამახარიას მიერ თანამედროვე პილატეს მხარდასაჭერად წარმოთქმული წინასაარჩევნო ხოტბა-დიდება(!!!) და ამგვარად ხალხისადმი გამოვლენილი **„ერთგულება“.** აი, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი და სახელმწიფოებრივი აზროვნება! ეტყობა, მან, ბევრი მისნაირის მსგავსად, ცდუნებას ვერ გაუძლო და **„ქართული ოცნების“** შესაძლო გამარჯვების შიშით, თადარიგი დაიჭირა. ვერაფერს ვიტყვით, ეროვნული პოზიციაც ამას ჰქვია!

ახლა კი, პრეზიდიუმის **„დადგენილებისა“** და მასზე დართული **„ინფორმაციის“** შესახებ მინდა მეტი სიცხადე შემოვიტანო. ორივე მათგანი იმდენად დატვირთულია სიცრუითა და ცილისწამებით, ხოლო ჩემს მიმართ ისე უხვადაა წაყენებული უხამსი ბრალდებები (ფაქტების აღრევა, მათი კონტექსტიდან ამოგლეჯა, არასწორი კომენტარები და დასკვნები...), რომ მკითხველი შესაძლოა დაიბნეს (მართალიც ეგონოს)!

საოცარია პირდაპირ! მათი ავტორები სხვაზე ხმას როგორ უნდა იღებდნენ? სწორედ პირად ამბიციებს აყოლილ ამ ადამიანთა ღალატის ტოლფასი საქმიანობის შედეგად დატრიალდა ტრაგედია აფხაზეთში. ისინი (საუბარია ერთეულებზე, რადგან უმაღლეს საბჭოში არაერთი ღირსეული ადამიანია) ძალზე არაკომფორტულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და, ბუნებრივია, გრძნობენ მათ მიმართ ხალხის, რბილად რომ ვთქვათ, ნეგატიურ დამოკიდებულებას. ბევრ მათგანს ჯერაც ვერ მოუხმია საღი აზრისთვის და ვერ ამოსულა იმ ჭაობიდან, სადაც ყოფილ ხელისუფლებასთან ერთად ჩაეფლენ. ახლა ისინი ცდილობენ ამ წუმპიდან ამოსვლას და უხვად ისვრიან ტალახს, რათა სხვებიც მოსვარონ. **„პანდორას ყუთს“** მოჰხადეს თავი, საიდანაც შხამი და ბალდამი იფრქვევა! რა ჰქნან, აბა, თუკი ვერ ხვდებიან, რომ დღეს სულ სხვა პოლიტიკური ამინდია, გარემოც შეიცვალა და მათგან ნასროლი ტალახი ვეღარაფერს დააკლებს მათ, ვინც ამგვარი ტრაგიკული შედეგის თავიდან აცილებას დღენიადაგ ცდილობდა. განა ამით მართალ კაცს დააკლებენ რამეს?!

დაბეჯითებით შემიძლია გავაცხადო, რომ **„ინფორმაცია“**, რომელიც თან ერთვის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას, შეთხზულია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების თემურ მჟავიასა და ჯემალ გამახარიას მიერ. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი უარყოფს თავის მონაწილეობას აღნიშნული **„ინფორმაციის“** შედგენაში და ირწმუნება, რომ ავტორობა არც ხელმოწერით დაუდასტურებია. ეს მტკნარი სიცრუეა და, აი, რატომ: რედაქციაში გაგზავნილი ტექსტი, მართალია, მათ მიერ ხელმოწერილი არ არის, მაგრამ უმაღლესი საბჭოს დადგენილების ოქმს ზურგს უმაგრებს ვრცელი, რვაგვერდიანი ცნობა **„ნაპომესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ“,** რომელიც საგაზეთო მასალის იდენტურია და ორივე მათგანის ხელმოწერაც ამშვენებს. ისინი ამბობენ, რომ მხოლოდ **„ინფორმაციის“** ავტორები არიან და არა საგაზეთო სტატიისა. ჯემალ გამახარიას თქმით, პუბლიკაცია მას არ ეკუთვნის, რადგან ხელს არ აწერს რედაქციაში შემოსულ მასალას და ამ ფაქტს გაზეთის რედაქტორი ალეკო ასლანიშვილიც ადასტურებს, თუმცა ამას, როგორც ხედავთ, მნიშვნელობა არ აქვს.

აი, ამგვარად, ამ ორი დეპუტატის **„ფსევდოავტორობით“** გამოქვეყნდა ეს ვრცელი პასკვილი. მაგრამ აქ სულ სხვა რამეა მთავარი: როგორც გაირკვა, უმაღლესი საბჭოდან წამოსული დოკუმენტები – პრეზიდიუმის (ბეჭდით დამოწმებული) **„ისტორიული“** დადგენილება და **„ინფორმაცია“** აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სახელით გამოქვეყნდა და მისთვის კონკრეტულად ხელი არავის მოუწერია. ავტორები მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდნენ. რატომ? რა ხდება? – აღმოჩნდა, რომ აღნიშნული მასალები, თურმე, რედაქციაში მიიტანა (კარგად დააკვირდით!) არა სპეცსამსახურის წარმომადგენელმა, არამედ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კოპტირებულმა დეპუტატმა, ბატონმა გივი ლომინაძემ.

აი, სწორედ აქედან იწყება უღირსი საქმიანობის ძალზე საინტერესო ისტორია. ამ **„ქორწილის გენერალმა“** თავისებურად **„გაამდიდრა“**, ანუ ბოღმითა და შხამით კარგად შეავსო **„ინფორმაციის“** ტექსტის ნაპრალები და **„ფსევდოავტორების“,** თ. მჟავიასა და ჯ. გამახარიას ზურგს ამოფარებულმა, რედაქციასთანაც მყისვე **„მოაგვარა“** ურთიერთობა, რათა ეს ვრცელი მასალა სრულად გამოქვეყნებულიყო. ცხადია, მან კარგად იცოდა, რომ აშკარად ვერ დამიპირისპირდებოდა – საამისოდ არც ადამიანური რესურსი გააჩნია, არც მორალური უფლება და აღარც – სიმამაცე! სხვაგვარად, აბა, როგორ უნდა მოქცეულიყო, წიგნში ხომ მისი **„საქმენი საგმირონი“** უხვადაა წარმოდგენილი? ამიტომაც, ბუნებრივია, მცდელობა არ დაუკლია, რომ სხვების მიერ შედგენილი **„ინფორმაციის“** ტექსტი საკუთარი აბდაუბდით კარგად გაეჯერებინა.

ეჭვგარეშეა, რომ ბატონმა ლომინაძემ, ანგარიშსწორების მიზნით, უკადრისი საქციელი ჩაიდინა და ლაჩრულად, სამალავიდან **„გესლიანი სისინი“** დაიწყო. რა არის აქ გასაკვირი? ბრძნული გამონათქვამისა არ იყოს, **„კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“**! მე მას ზედმიწევნით კარგად ვიცნობ, მაგრამ აქამდე საჭიროდ არ მიმიჩნევია, რომ საზოგადოების წინ გამეშიშვლებინა ეს საბჭოური **„ქორწილის გენერალი“.** ჩემსავით განა ვინმემ იცის, თუ როგორ შეუძლია მას სხვების ზურგს უკან ჩურჩულ-ფუსფუსი? ამ **„კაცის კაცს“** არაფრად უღირს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენოს ხელშებოჭილ ადამიანს (როგორც ეს უმაღლეს საბჭოში გააკეთა), მერე კი უთხრას: **„ცუდად ვარ, მე შენზე უარესად ვარ და არ გინდა. მოდი, ვილაპარაკოთ მყუდრო გარემოში“.** იგი დაპირებებს იოლად იძლევა, მაგრამ მათ შესრულებაზე არც კი ფიქრობს. აი, როგორია ეს ჩვენი დროის **„ქორწილის“** გენერალი!

რაც ვთქვი, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, რითიც გ. ლომინაძემ დევნილობის პერიოდში ისახელა თავი. აი, მის წარსულს თუ გადავხედავთ, მაშინ უკვე გაცილებით **„შთამბეჭდავი“** წარმოდგენა შეგექმნებათ, თუ როგორ **„გულანთებულ“** მამულიშვილთან გვაქვს საქმე. ბატონ ლომინაძეს აფხაზეთის მთელი საზოგადოება **„კარგად“** იცნობს. მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ხალხის ბედუკუღმართობასთან. ედუარდ შევარდნაძის, ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის შემდეგ, მას **„საპატიო“** ადგილი უკავია იმათ შორის, ვის სინდისზეცაა აფხაზეთის ტრაგედია. მისი გამორჩეული **„ღვაწლის“** შესახებ ჩემს წიგნში საკმაოდ დეტალურად არის მოთხრობილი და თუკი ვინმეს დაინტერესებს, გაიგოს ამ კაცის როლი და ადგილი ქვეყნის დამაქცეველთა შორის, შეუძლია ზემოხსენებულ წყაროს მიმართოს.

გივი ლომინაძე არ იმსახურებდა ამდენ ყურადღებას და იმ მხარდაჭერას, რაც ჩემგან მიიღო მინისტრის პოსტზე მისი ყოფნა-არყოფნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას (იხ. გვ. 121–122), ასევე მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე **„მხედრიონელების“**, უშუალოდ ჯაბა იოსელიანის მიერ მისი კანდიდატურის დაყენებისა და განხილვის დროს (იხ. გვ. 93-102). მაშინ, როდესაც ქართული ფრაქციის 29 წევრიდან მხოლოდ 18-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მე მას ამოვუდექი გვერდში და ღიად მივეცი ხმა. მას ისეთი დანაშაული მიუძღვის ჩემსა და ჩემი ოჯახის წინაშე, როგორც შს მინისტრს და ადამიანს, რომ ჩემს თანადგომას არ იმსახურებდა. იგი ნამდვილად არ იყო ამის ღირსი, მაგრამ შევუნდე და ორივე შემთხვევაში ქრისტიანული პრინციპითა და საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით ვიხელმძღვანელე. სამწუხაროა, რომ იგი ამას ვერ მიხვდა! და არა მარტო იგი! რას ვიზამთ, **„ხოხვისთვის განწირულს ფრენას ვერ მოსთხოვ!“.**

თემურ მჟავიასა და ჯემალ გამახარიას ავტორობით გამოქვეყნებულ გამაოგნებელ და შეურაცხმყოფელ ბრალდებებზე თავის მართლებას, არც ბოდიშის მოხდას (როგორც ამას ჩემგან მოითხოვენ) არ ვაპირებ, ისინი იმდენად აბსურდულია!

სატირალი რომ არ იყოს, სასაცილოა: მაბრალებენ, რომ ვამახინჯებ ისტორიულ ფაქტებს, რომ ყველაფერში ვადანაშაულებ ქართულ მხარეს და ვაღვივებ მეგრულ სეპარატიზმს!...

ნაპო მესხია

სტუმრად თანამედროვე პილატესთან (როლანდ ახალაია და ჯემალ გამახარია)

„ჰერიო, ბიჭებო“...

კიდევ ერთხელ ნაპო მესხიას წიგნზე „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“

სულით ხორცამდე შემძრა მედროვეთა ძარღვგაწყვეტილმა ენამრუშობამ, რომელიც აგორდა ბატონ ნაპო მესხიას წიგნზე **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“**. მათი ისტერიული ღაღადავი, რომელიც გასული წლის ოქტომბრის არჩევნებს აედევნა, ყოველგვარ ზღვარს გასცდა. ისევე როგორც ძალადობრივი წარსულის ყველა ატრიბუტი, არსით და საქმით ქონდრისკაცთა მცირე გუნდი სიბინძურეს ანთხევდა იქაც კი, სადაც ამის დაშვება **„ვაშინერს“**.

როგორც ამ წიგნის რედაქტორი, პასუხისმგებლობას ვგრძნობ და, ცხადია, ჩემთვის არც ის არის სულ ერთი, ვის დაკვეთას აჰყვა დოლისა და ზურნის ეგზომ გულისწამღები **„ხმაშეწყობა“**.

ჯერ კიდევ წიგნის ხელნაწერში გაცნობისას ვხვდებოდი, რომ ავტორს ეკლის გვირგვინი არ ასცდებოდა ჩვენი დროის სწორუპოვარი მუხთლობის, უგუნურების, ძმათა დაპირისპირების შემომქმედთათვის ნიღბის ჩამოხსნისა და აფხაზეთის ტრაგედიის გენეზისის აღწერის გამო. აკი რედაქტორის წანათქმაში განვჭვრიტე კიდეც: **„ამ წიგნზე დიდხანს ისაუბრებენ – აღტაცებით (ვისაც სიმართლის მოსმენა ძალუძს), აღშფოთებით (ვისაც შეეხნენ და ამხილეს), გაოცებით (ვისაც ავტორის გამბედაობა გააკვირვებს), ოპტიმიზმით (ვინც კი მშობლიური კერისკენ მიბრუნების იოტისოდენა პერსპექტივას დაიმგზავრებს თან). ილაპარაკებენ ყველგან (ქუჩაში, მანქანაში, შეხვედრებსა და დაკრძალვებზე), ყველა ბრუნვაში და ფორმაში, რადგან შეუძლებელია გულში გამოკეტო ემოცია ასე პირუთვნელად გამომზეურებული უკუღმართობის მიმართ“.**

ასეც მოხდა – წიგნს გვიან, მაგრამ მაინც მოჰყვა **„აურზაური სალხინეთში“**. იგი მართლაც შესანიშნავი ლუსტრატორი გამოდგა: ბევრმა აფხაზეთის ტრაგედიაში საკუთარი როლი ამოიცნო, სხვებმა კი, აქამდე უცნობ დეტალებთან ერთად, **„ომის პარტიის“** ნამდვილი სახეები იხილეს, გაიგეს სიმართლე – მწარე, გაშიშვლებული, ყოველგვარი შელამაზების გარეშე.

წიგნზე არათუ ქუჩაში, მანქანაში, შეხვედრებსა თუ დაკრძალვებზე, აწ უკვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოშიც ალაპარაკდნენ (აყაყანდნენ) ორსახა და გენეტიკური ლაქიები. მისი ავტორი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების მოღალატედ (კოლაბორაციონალისტურ, ბოღმინან, პოლიტიკისგან შორს მდგარი პოზიციის მქონე განაწყენებულ და ჩასაფრებულ ადამიანად) შერაცხეს, ხოლო განსჯის საგანი დაგმეს **„როგორც წინასწარ-განზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგია“.**

რა არ იკადრეს და რა არ მოიგონეს (მიმძიმს იმ სიბინძურის სიტყვა-სიტყვით გამეორება)?!..

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ურცხვად მოითხოვს (ელოდება) ნაპოლეონ მესხიასგან საჯარო ბოდიშის მოხდას იმის გამო, რომ რეალურად არსებული ფაქტები შეურაცხყოფად მიიღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაიქადნენ, რომ სასამართლო წესით აღიდგენენ შელახულ ღირსებას(?!).

ყველაზე პირწავარდნილი და გონებადაჭლექებული ბრიყვიც ვერ შეთხზავდა ასეთ განაჩენს! თუმცა რა არის აქ გასაკვირი – რა ხელობაც აითვისეს და ადრეც მისდევდნენ, იგივეს კოპირებენ. მათ მიერ **„კომპრომატების“** შეგროვების სტილსა და წერის მანერაშიც მკვეთრად გამოსჭვივის საბჭოეთის პერიოდის პარტბოსების სკოლის გავლენა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნებისმიერ ავტორს აქვს უფლება გამოხატოს მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულება, მით უმეტეს, პიროვნებას, რომელიც განგების ნებით მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა და თავად განიცადა ამ ტრაგედიის ყოველი ეპიზოდი. მისი გადასაწყვეტია, როდის და სად გაამჟღავნოს კულუარული ფაქტები, მოქმედი პერსონაჟები თუ როლის შემსრულებლები. სხვაზე რა გითხრათ, მაგრამ ნაპო მესხიამ ზუსტად იცის სად რა თქვას და რატომაც არ უნდა გაჩუმდეს. შეიძლება მის შეფასებებს დაეთანხმო, ან ცალკეულთან მიმართებაში განსხვავებული მოსაზრებაც კი გამოთქვა, მაგრამ მისი პოზიცია **„სრულიად გაუგებარი, მიუღებელი“**ან **„ცილისმწამებლური“** ნამდვილად არა არის. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი იარლიყებით ჩაახრჩო აზრის გამოხატვის თავისუფლება – პრეზიდიუმის დადგენილებით გამოიტანო ყოვლად უსახური ვერდიქტი, ეშაფოტზე ყულფი აუკვანძო კაცს, რომელმაც გაბედა სახელით მიემართა ტრაგედიის შემომქმედთათვის.

ასე მხოლოდ ტირანიის ეპოქაში იქცეოდნენ!

თბილისში გადმობარგების ორი ათეული წლის განმავლობაში აგრე გულმოდგინედ რომ **„ედარდა“** ფუნქციადაკარგულ და მიჩუმათებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ენგურს გაღმა ჩარჩენილ თანამოქალაქეთა ბედზე, მათი გაუსაძლისი ყოფა ოდნავ მაინც შემსუბუქდებოდა.

„დევნილობაში მყოფი კონსტიტუციურად ლეგიტიმური არ უმაღლესი საკანონმდებლო სახელმწიფო ინსტიტუტი“ ასე მუსლჩაუხრელად რომ „უზრუნველყოფდეს სამართლებრივ კავშირს საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცესთან“, უფრო ახლოს ვიქნებოდით საოცნებო მიზანთან (სწორი იქნებოდა მეთქვა, რომ არ მოგვიწევდა მშობლიური ეზო-კარის მიტოვება).

რაც არ უნდა ვიბაქიბუქოთ, ქართულ-აფხაზურ (ქართულ-რუსულ) დაპირისპირებაში ჩვენი წვლილიც (ცხელ თავებში აფეთქებული გადაწყვეტილებებიც) რომ ურევია, ამის ხელაღებით უარყოფა უპასუხისმგებლო სიჯიუტეა, რომელიც ჩირადაც არ ღირს.

აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გენეზისი შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ისტორიული ფაქტების ხელაღებით დამახინჯება, წამოჭრილი პრობლემების მიმართ წაყრუება და მათ გადაწყვეტაზე მხოლოდ ძალისმიერი პასუხი (მუშტების ქნევა, გულზე მჯიღის ცემა, ჯავშანტექნიკაზე ამხედრება და ა.შ.) ამ ტრაგედიის განუყოფელი ნაწილია, რომლებმაც დაგვაშორისა და მომმესთან (ნათესავთან, სისხლსა და ხორცთან) მოციქულად ტყვია გვიქცია.

არავინ უარყოფს, რომ ჩვენმა ჩრდილოელმა **„დიდმა“** მეზობელმა **„მშვენივრად ითამადა“, „მშვიდობის სადღერგრძელო ყანწით დალია“, კარგად „მოილხინა“ და ახლაც „ხალისობს“, მაგრამ ეს ყველაფერი მარტო რუსეთის იმპერიალისტური ექსპანსიის შედეგი როდია – ჩვენც კარგი „მერიქიფეობა“ გავწიეთ.**

ისიც ხომ ფაქტია, არა თუ მაშინ (მძვინვარების სათავეებთან), დღესაც არ მიმდინარეობს დიალოგი ქართველებსა და აფხაზებს შორის – დიალოგი და არა შეხვედრები უცხოეთში.

დიალოგი ხელოვნებაა, დაძაბულობის, დაპირისპირების მოხსნის, კეთილგანწყობის შექმნის ნიჭია, რომლის დეფიციტიც, სამწუხაროდ აღმოგვაჩნდა.

ორ ათეულ წელზე მეტია შეხვედრებს – ურთიერთბრალდებათა დაუსრულებელ სერიას სასარგებლო შედეგი არ მოაქვს. ეს, რბილად რომ ვთქვათ, უუნარობაზე, ნების არქონაზე, უნიჭობაზე მეტყველებს და თუ ამის შესახებ ხმამაღლა ითქვა, ომით დაშანთული იარების წამლობაზე ვინმე ალაპარაკდა, რუსეთთან ურთიერთობის დალაგების აუცილებლობაზე მიგვითითა, რატომაა ეს **„მზაკვრობა“, „ჩასაფრება“, „აფხაზეთის კოლაფსის ჭეშმარიტ ავტორებზე ხელის დაფარება“, „სიმართლის გამრუდება“, „პოლიტიკური-ახლომხედველობა“, „დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობა, მიამიტობა“, „ავი წინასწარ-განზრახულობა“, ანტიქართული“** ან **„ანტისახელმწიფოებრივი“** აზროვნება, **„მონურ მორჩილებაში დაბრუნების აგიტაცია“** და ათასი სხვა **უშვერი ლექსიკა, ასე ჭარბად რომაა „მომობნეული“აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „ხანგრძლივვადიან ნამოღვაწარში“.**

მაშ, რა ვქნათ? გავაგრძელოთ ომის რიტორიკა, ლანძღვა-გინება (ყმუილი და წკმუტუნი), ტერიტორიების დანაწევრება, გათითოკაცობა და საშინელებანი კვლავ ჭედოს გრდემლმა?

ამ **„ფანდმა“** უკვე (ათასგზის) დაგვანახა თქვენი **„სიბრძნის და გამოცდილების“** ნაქარბორბალი პანორამები.

როცა ამ ორგანოს 2012 წლის 29 სექტემბრის 06 (14) 13 დადგენილება **„დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ“ და თანდართული ინფორმაცია ნაპო მესხიას წიგნის „როგორ სხვისდებოდა აფხაზეთი“ შესახებ, ასევე ჯემალ გამახარიას ფაბრიკაცია „როგორ სხვისდებოდა“ თუ „როგორ გასხვისდეს“** (აბა, ჰუბლიკაციას მას ვერ დაარქმევ), ან ნუგზარ მგალობლიშვილის **„თანამედროვე შადიმანი“** ჩავიკითხე, ჩემთვის დღესავით ნათელი გახდა, თუ **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“**– აი, ასე, ეს ხალხი იყო კონფრონტაციის ერთ-ერთი შემომქმედი. მათი თვალსაწიერი ვერ გასცდა მტრის ხატის ძიებას, ინტრიგების ხლართვას, პირველკაცობის დაუოკებელ ამბიციებს.

ისინი ჩარჩნენ **„იმ სიბინძურეში, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანის სამყოფელში“,** დიად თუ ფარულად ყოველი ფეხალაგის ჭუჭრუტანაში ჩაელამებულები იჭყიტებიან, ასინეთასავით აყურადებენ საქმიან შეხვედრებს თუ ქალ-ვაჟის ინტიმურ ჩაჩურჩულებას, დასმენის წინასწარ გამზადებულ ბლანკის მონიშნულ სტრიქონებში ჩაჯღაბნიან სახელდახელოდ დაზუთხულ (დაკვეთილ) სიტყვებს: **„მოღალატე“, „აგენტი“, „სეპარატისტი“, „მტერი“, დამნაშავე“, ან „დივერსანტი“** და უმალ აფრენენ (პირდაპირი გაგებითაც) **„მაღალ“** და **„ტანად“** ბოსებთან. სხვა ფიქრი არ იცის ამ ხალხმა... ნებაწართმეული საზოგადოების გამოფხიზლება მათ ხელს არ აძლევთ. იმის გამომზეურება, თუ რას სჩადიან ან რა აქვთ ჩადენილი, რა თქმა უნდა, არ სურთ – აი, სულ ეს არის, არც მეტი და არც ნაკლები.

ერთხანს მოთმინებით ველოდი, მათგან კიდევ ვინ ამოჰყოფდა წუმპიდან თავს, ვისაც წიგნმა სილა გააწნა. ვიყუჩე, რათა ყველას დაენახა, თუ როგორი სახით სტუმრობდნენ ისინი მზისქვეშეთს. მხოლოდ რამდენიმე მათგანს უმტყუნა ფილტვებმა და ამოიწვერა, ხოლო უფრო საშიშნი, გაიძვერანი ფსკერზე დარჩნენ გართხმული და ატივტივებულთა ხარბი ჩანასუნთქით იხანგრძლივებენ დარჩენილ ყოფას. მათ მიერ დაგეშილმა გოშიებმა ანაგვებული პირიდან ისეთი სიმყრალე აფრქვიეს, რომ მას საუცხოო პარფიუმით დანამული პირბადეც ვერ გასცრიდა. გარდა ამისა, არც სულში ფათურს მოერიდნენ და სვეგამწარებული კაცისთვის სანუგეშო შვილიშვილების გადამტერებასაც შეეცადნენ...ეს უკვე მეტისმეტია!

ჰოი, საძაგლობავ, სხვა რა სახელი უნდა გერქვას შენ? – აზრი, საქმე და სახეც მხოლოდ ერთნაირად მრუდი გაქვს!

ამჟამად გნიასი მინელდა. როგორც ჩანს, არსენალი ამოეწურათ ან გულადი კალმოსანი გამოელიათ. მაგრამ ყოველივე ეს იმდენად ამაზრზენი იყო, რომ წაყრუება ძალიან გამიჭირდა. დაგროვილმა სათქმელმა ჩემდაუნებურად არტახები დაწყვიტა და თქვენამდე მოსვლა მისთვის აღარც მე დამიშლია.

დროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას – ყოველგვარი შებათქაშების გარეშე, საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინ და რის ფასად წამოიწყო ეს საქმე!

რა ზღაპრებიც უნდა შეთხზან, ამ ზნედაცემული თავაშეებულობის შტაბბინას მხოლოდ ერთი განზრახვა ამოძრავებდა: ზუგდიდში თავიანთი ფავორიტის კლანური აღზევების სანაცვლოდ, პოლიტიკური აქტივობიდან ჩამოეშორებინათ ნაპო მესხია და შეებღალათ მისი ძალზე მაღალი ავტორიტეტი.

დიახ, ჯერ კიდევ გასული წლის გაზაფხულიდან, როგორც კი ხალხმა უკეთესი მერმისისკენ გაიხედა, ისინი უკვე ხრიკებს ხლართავდნენ. **„ახალი ისტორიის“** ერთ-ერთ თანაავტორს (ასეთი მედროვე და კომპარტიის მეხოტბე ისტორიკოსთა გულმოდგინე მეცადინეობამ წარყვნა საქართველოს მატიანე, ფაქტობრივად მიჩქმალა კოლხური დიდების შარავანდედი.) აკი წამოსცდა კიდეც, რომ **„ზაფხულში უკვე არსებობდა...ინფორმაციის პროექტი, რომელიც... თანდათანობით იხვეწებოდა. ინფორმაციის საფუძველზე ასევე კოლექტიურად მომზადდა დადგენილების პროექტი. ორივე დოკუმენტზე მუშაობა, მიზეზთა გამო, თითქმის 3 თვე გაჭიანურდა. საბოლოო გადაწყვეტილება 29 სექტემბერს იქნა მიღებული“**. მაშინ მხოლოდ თითო ოროლა რაინდი (სიტყვით და საქმით ნამდვილი ერისკაცი) გაემიჯნა **„გადარჩენის“** ინსტინქტებს. **„ციხის კადრებმა“** კი მათი ჩანაფიქრი სამუდამოდ **„ჩამოცოცხა“**. როგორც წესი, თავგაჩეჩქვილი უხსენებლის კუდის ქნევა დიდხანს არ გასტანს.

დიდი გამოცდილება და ნაკითხობა არაა საჭირო, რომ მიხვდე ნაპო მესხიას წიგნზე ზემოაღნიშნულ **„გამოხმაურებებს“** გულდვარძლიანი, **„ღირსებაშელახული“** არაერთი დამკვეთი ჰყავდა. საწუხარი ის არის, რომ ისინი ისევ ჩვენს გვერდით არიან და ასე მოთმინებით ვიტანთ მათ ხანგრძლივ **„ხელმწიფობას“**.

ამ დღეებში გამოვა ბროშურა: **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი“,** რომელშიც შევიდა ავტორის ვრცელი პასუხი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების ავტორებისა და **„ამჩატებული რეცენზენტების“** გამაოგნებელ ბრალდებებზე (მანამდე კი შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზეთ **„ილორში“**). ეს წერილიც, თავად წიგნის მსგავსად, ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ დაიწერა მხოლოდ იმისთვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს რა ფრაზები ამოგლიჯეს მთლიანი კონტექსტიდან **„განდგომილმა კოლეგებმა“** და თურმე რაში **„შეცდა“** ნაპო მესხია. ბროშურაში შევიდა აგრეთვე პროფესორ ზაურ კვარაცხელიას გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნებული სტატიაც.

მინდოდა თავადაც ჩამერთო კომენტარი პრეზიდიუმის დადგენილების თუ საგაზეთო **„სიძვის“** ავტორთა მიერ წიგნში აღწერილი ცალკეული ფაქტების გაუკუღმართებულად წარმოდგენის გამო, მაგრამ, ვფიქრობ, ბატონმა ზაურ კვარაცხელიამ შესანიშნავად (კვალიფიციურად, არგუმენტირებულად) წარმოადგინა ჯანსაღი აზრის პოზიცია – სრულიად ვიზიარებ მის მოსაზრებებს. ამასთან, ყველაზე უკეთ მაინც თავად ნაპო მესხიამ **„დასვა წერტილი“** და აქსიტყვის ჩაკვეხებაც ზედმეტია.

საპასუხო ვრცელ წერილში ავტორი უფრო პირდაპირი და მოურიდებელია. ახალი ფაქტების და არანაკლებ შოკისმომგვრელი კულუარული ინტრიგების შესახებაც მალე შეიტყობთ. როცა მკითხველი გაეცნობა ნაპო მესხიას წიგნს, მის გარშემო ატეხილ ქილიკს და ახლად გამოსულ ბროშურას, თავად მიხვდება, ვინ ვინ არის. ვინ იღვწოდა ქვეყნის (ერის) კეთილდღეობისთვის და ვინ დაუდგა გვერდით თანამედროვე (კაციჭამია) ჯალათებს, ვინ შლიდა-ანაწევრებდა და ვინ იცავდა ერთიან სახელმწიფოს.

ჩემი აზრით, ეს არა თუ საჭირო, აუცილებელიც იყო – ყველგან და ყველაფერში ხომ ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია! მართლაც დადგა დრო ითქვას სიმართლე, რომელსაც უთუოდ აქვს სამკურნალო თვისებები. ტყუილით, ფაქტების დამახინჯებით თუ შელამაზებით, საბოლოოდ, არსად არავის გაუმარჯვნია.

ხანგრძლივი ყოყმანი დასჭირდა იმის გადაწყვეტას, საერთოდ ღირდა თუ არა ბეჭდური პოლემიკა აბსურდულ ბრალდებებზე. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ წაუყრუე, ბაზარში მოლაყბე ჩიაკაცების მონაჭორი შესაძლოა ვინმეს მართალი ეგონოს. ამიტომ პასუხის გაცემა სწორედაც რომ საჭიროა. მას მარტო ადრესატები კი არა, სხვებიც გაეცნობიან (მათ შორის, ნაპო მესხიას შვილიშვილები) და, არა მგონია, მტყუან-მართლის გარჩევა გაუჭირდეთ.

კიდევ ერთი, რისთვისაც ამ ბროშურის გამოსვლას ვაანონსებ: გავბედავ და გაუწყებთ, რომ ბატონი ნაპო არ აპირებს ბოდიშის მოხდას და **„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნო“** ბატონებო, მოგიწევთ სასამართლო წესით აღიდგინოთ შელახული ღირსება (თუ ამ თვისების დეფიციტი სულს არ გიმძიმებთ) და გამზადებული შესაგებელი წინასწარვე იქნება თქვენთვის ცნობილი. მასში კიდევ უკეთესად დაინახავთ საკუთარ სახესაც და სხვების აცუღლუტების ნამდვილ მიზეზსაც.

მიბრძანდით, მიბრძანდით... ჩამწკრივდით სასამართლოს ზღურბლთან. იქ მაინც ხომ აუცილებლად მოგიწევთ დაამტკიცოთ **„სამშობლოს მოღალატის“, „იმპერიის აგენტის“, „მეგრული სეპარატიზმის“** და თქვენ მიერ წაყენებული სხვა უთვალავი ბრალდება.

ლამისაა **„ჰერიო, ბიჭებო“...** ჩავაკვნესო (რა თქმა უნდა, არაპირდაპირი გაგებით).

ჩემი დარიგება არაფერში გამოგადგებათ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არც რაიმეს გავნებთ, იცოდეთ: საცა თქვენსას დაიქადნით, იქ სიმართლეს მეტი ფასი დაეღება და უთუოდ გამოჩნდება, ვის ჰგონია საკუთარი თავი **„ერისთავი“** და ვინ აღმოჩნდა ნამდვილი შადიმანი!

ისიც უნდა გამცნოთ, რომ თქვენი **„ბეჯითობით“** ნაპო მესხიას ღვაწლს და ავტორიტეტს იოტისოდენა ჩრდილიც არ მისდგომია. ყველაზე ძვირადღირებული მარკეტოლოგიც ვერ შეძლებდა წიგნის პოპულარობის ისე გაზრდას, როგორც ეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და თქვენი მეცადინეობის შედეგად მოხერხდა – საქართველოს მთლიანობის ურიცხვი მომხრე ახლა მართლაც სანთლით დაეძებს აწ უკვე მკითხველთა წრეში მიმოფანტულ მის ეგზემპლარებს. სიამოვნებით გადმოგცემთ მათ დანაბარებსაც:

შეხვედრამდე სასამართლოში!

იური პაპასძუა,
წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ და ბროშურის „სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულნი” რედაქტორი.

მონათესავე სულთა შეკონება *(როლანდ ახალაია და ჯემალ გამახარია)*

კოაბიტაცია? არა — კაპიტულაცია!

ავადსახსენებელი მიხეილ სააკაშვილის ქართული პოლიტიკური ცისკიდურიდან გადაშენებამდე 26 დღე დარჩა და იგრძნობა პოლიტიკური ტემპერატურის გაუარესებისაკენ ცვლილება.

რატომ გაუარესებისაკენ?

იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ახალი ძალის მოსვლამ სრულიადაც ვერ შეცვალა ქვეყანაში პოლიტიკური ბალანსი და ყოფილი დამნაშავე ხელისუფლების წარმომადგენლები, ნაცვლად იმისა, რომ უამრავი ჩადენილი დანაშაულისათვის გლდანის ციხეში ისხდნენ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის წინ სხედან და პრეტენზიას პრეტენზიაზე უგზავნიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სასამართლოებს ობიექტური საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით და ხმამაღლა მოთქვამენ მათი უფლებების დარღვევის თაობაზე!..

და კიდევ — მერაბიშვილი პოლიტიკური მოტივით არის დაპატიმრებულიო!

მოკლედ, ნაცები და მათი ნარკომანი ბელადი სააკაშვილი, მართალია პატიმრებს ვეღარ აწამებენ ციხეებში და მიტინგებსაც ვეღარ არბევენ ძველებური სისასტიკით, მაგრამ ძველებურად თავხედობენ, ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უფლებებს, უტიფრად ახდენენ სიცრუის ტირაჟირებას, აქეთ გვასწავლიან ჭკუას, გვთავაზობენ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის გზებს, თითქოს ქვეყანა ამ ჩიხში მათმა წინასწარგამიზნულმა დანაშაულებრივმა საქმიანობამ არ შეიყვანა...

ამაში დანაშაული უპირველესად ახალ ხელისუფლებას მიუძღვის, რომელიც ქართველ ხალხს სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდა, მაგრამ არსებითი არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით (მერაბიშვილისა და კიდევ რამდენიმე მისნაირი არამზადის დაკავების გარდა), მაგრამ თავად ხალხიც დამნაშავეა, რადგან ვერ ვიჩენთ სათანადო პრინციპულობას (ისევე, როგორც ინდოეთში მოხდა, სადაც გამაუპატიურებელთა ბანდის წევრებს, სწორედაც რომ საზოგადოების მკაცრი მოთხოვნით მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, ჩადენილი მძიმე დანაშაულისათვის) და კატეგორიულად არ მოვითხოვს ნაციონალ არამზადათა საკადრისად დასჯას.

ჩამოღრჩობა გამორიცხულია, რადგან ყველა დამნაშავე ნაცის დასასჯელი ბაწარი საქართველოში არ მოიძებნება და უცხოეთიდან მოგვიწევს მისი შემოტანა, რისი სახსრებიც დღეს ქვეყანას ნამდვილად არ გააჩნია!

ეს ხუმრობით, მაგრამ საქმე ბევრად უფრო სერიოზულადაა, ვიდრე ჩვენ გვგონია!

მიმდინარე წლის დასასრულამდე ქართულ პოლიტიკურ სივრცეს დასტოვებენ სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილი (მაგრამ, არა მისი გაბანდიტებული თანაგუნდელები, რომლებიც ამერიკელების მიერ თავსმოხვეული კოაბიტაციის წყალობით ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სადისპეჩერო პოზიციებს) და რეალური პოლიტიკური ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების სათავეში დარჩებიან სრულიად უფერული ერთპროცენტიანი პოლიტიკური პარტიები თუ პოლიტიკოსები, რაც იწვევს ნაციონალთა აგრესიას და ლტოლვას რევანშისაკენ. ამაზე მეტყველებს ის უტიფრული პოლიტიკური განცხადებები თუ თავხედური წინასაარჩევნო სლოგანები, რაც ხალხის დაბნევასა და პოლიტიკურ დეზორიენტაციას ემსახურება!

ძნელი მოსასმენია ყოველივე ეს, რადგან თაღლითი და უტიფარი ადამიანისაგან არამც თუ კრიტიკის მოსმენა, არამედ თბილი მისალმებაც კი ცინიკურად ჟღერს!

გუშინდელი მკვლელი დღეს ანგელოზად ვერ გადაიქცევა, როგორაც არ უნდა მოინდომოს!

ამიტომ ფიქრობს სრულიად საქართველო, რომ **"ქართული ოცნების"** ტოლეტრანტული დამოკიდებულება სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილისა და მისი ნაციონალური ბანდისადმი გახლავთ არა ამერიკელების მიერ თავსმოხვეული **"კოაბიტაცია"**, არამედ სამარცხვინო კაპიტულაცია რაც კვლავ უხსნის დამანაშავე ნაცებს გზას უმაღლესი ხელისუფლებისაკენ.

ამას კი ქართველი ხალხი ნამდვილად ვერ მოითმენს, და გამორიცხული არ არის, რომ საქართველოში სამართლიანობის აღდგენა მოხდეს ყოვლად გაუმართლებელი **"ლინჩის"** წესით, რაც დაუშვებელია!

მაგრამ ხალხის თმენასაც ხომ აქვს საზღვარი?

სააკაშვილისა და სხვა ნაცთა უზნეობა და აშკარად არაქართული ურცხვობა იმაშიც გამოიხატება, რომ, **"კოაბიტაციაგამოცხადებულები"**, ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილ მძიმე დანაშაულებს კი არ ინანიებენ, არამედ აქეთ გვესხმიან თავს, შეურაცხყოფას გვაყენებენ, დაუფარავად მიდიან საბოტაჟზე და აშკარად მავნებლობენ!..

განა სწორედ ეს არ გახლავთ კაპიტულაცია დამნაშავეთა სამყაროს წინაშე?

ავიწყდებათ ამ უდღეურებს, რომ ქართველმა ერმა პატიება იცის, მაგრამ დანაშაულისათვის პასუხის მკაცრად მოთხოვნაც იცის!

მართლაც რომ ღრმად აქვთ გადგმული მეტასტაზებად ქცეული მომაკვდინებელი ფესვები დაშნაკ სააკაშვილს და მის ასევე დაშნაკურ ბანდას, რომლებიც, რატომღაც, დღესაც პოლიტიკოსებად მოიხსენიებიან! მათ ინტერესებს იცავენ ამერიკაში, ევროპაში და თვით რუსეთშიც კი...

იცავენ ღიად, ყოველგვარი ვუალირების გარეშე — გაიხსენეთ რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ხმამაღალი განცხადება იმის თაობაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ინსპირირება სწორედაც რომ რუსულმა მხარემ მოახდინა, რათა საქართველოს **ნატო**-ში შესვლის პროცესი დაგვმუხრუჭებინაო. მაშველი რგოლივით გადმოგდებულმა ამ ფრაზამ კი საშუალება მისცა სააკაშვილსა და მის ბანდას, რომ მსოფლიოს გასაგონად ეჩხავლათ — აგვისტოს ომი რუსებმა დაიწყეს და არა ჩვენო. და ეს მაშინ, როცა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უდავოდ დამტკიცებულია, რომ 2008 წლის ომი სწორედაც საქართველომ (უფრო სწორედ — სააკაშვილმა) წამოიწყო რუსების წინააღმდეგ, რასაც დევნილების ახალი ტალღა დამატებითი ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა!

დღემდე ვერ გაგვიგია, რას ემსახურებოდა დიმიტრი მედვედევის ამგვარი **"თვითმამხილებელი"** განცხადება. აქედან გამომდინარე, ისმის სავსებით ბუნებრივი შეკითხვა:

— ვინ იცავს მტერს?

— არავინ!

— ვინ იცავს **"ვითომ მტერს"**?

— ის, ვის სასარგებლოდაც ეს **"ვითომ მტერი"** მუშაობს!

ვის აძლევდა ხელს აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილების იურიდიულად გაფორმება?

რა თქმა უნდა იმ სომხებს, რომელთა დიასპორის რაოდენობა კონფლიქტის შემდეგ 16 ათასიდან 80 ათასამდე გაიზარდა?

— ვინ არის სომეხი პროფესორის, საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის გამგის მიხეილ სააკოვის შვილისშვილი?

— ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილი?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე უკვე დავიღალე ამ ელემენტარული ანაბანის მტკიცებით!

ამის შემდეგ, განა დიდი უსამართლობა არ არის ბნედიანი ნარკომანის მიხეილ სააკაშვილის იმათზე უფრო უფრო დიდ გულშემატკივრად და პატრიოტად წარმოჩენა, ვიდრე სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ლიდერი, ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** და სხვა მისნაირი მამულიშვილები არიან, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და ამისათვის, ხშირად, საკუთარ თუ ახლობელი ადამიანების სიცოცხლესაც კი აგდებდნენ საფრთხეში?

როგორ შეიძლება, რომ ერთმანეთის გვერდით მოვიხსენიოთ საქართველოს ერთიანობისათვის დაუღლელად მებრძოლი **ალექსანდრე ჭაჭია** და ქვეყნის დამაქცევარი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც, ზნეობრივად და მატერიალურად, სულით ხორცამდე გაფცქვნა და გააღატაკა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო და იურიდიულად გააფორმა საქართველოდან მისი ძირძველი ტერიტორიების ჩამოცილება?

როგორ შეიძლება ამაზე უფრო გასაგებად სხვადასხვა აზროვნებისა და მენტალობის მქონე პოლიტიკოსების მისწრაფებებისა და მიზანდასახულობათა ახსნა?

დღეს **"შუბლისძარღვგაწყვეტილი"** სააკაშვილი და ნაცები გაჰკივიან იმის თაობაზე, რომ **"ქართული ოცნება"** წინასაარჩევნო დაპირებას არ ასრულებს, მაგრამ არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, თუ რამდენი მათი წინასაარჩევნო დაპირება დარჩა შეუსრულებელი (თუნდაც **"მილიონი სამუშაო ადგილი"**, ან **"საქართველო სიღარიბის გარეშე"**), რამაც თითქმის ქართველებისაგან დაცალა საქართველო.

სააკაშვილი იმდენად არამზადაა, რომ ყველაფერს კადრულობს საპრეზიდენტო არჩევნების მოსალოდნელი შედეგების ნაცებისაკენ შემოსაბრუნებლად — ლამის ნახევარ თურქეთს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა, რომ ბაქრაძეს სასურველი ხმები მოუგროვოს!

ფეხებზე ჰკიდია ამ არაკაცს საქართველო!

კიდევ ერთხელ გვიჯდება ძვირად ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას თვალსაზრისის გაუზიარებლობა, რომელიც მან 1995 წელს გააჟღერა გაზეთ **"ალიაში"**: **"ერთობლივი ძალისხმევით უნდა მივაღწიოთ კანონის მიღებას სახელმწიფო მოღვაწეთა თავიანთ საქმიანობაზე პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. ეს კანონი უნდა ითვალისწინებდეს იმას, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის მორიგი არჩევნების დროს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იქნება პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის გასული მოღვაწეობის შეფასების საკითხიც. უმრავლესობა თუ დადებითად მიიჩნევს მათი მუშაობის შედეგებს, მაშინ ყველა იმ პირს, გამონაკლისის გარეშე, უნდა შერჩეს ხელფასები, აგარაკები, მანქანები, თუ უნდათ, ჩვენი დროის გმირებადაც გამოვაცხადოთ კიდევაც. მაგრამ თუ ამომრჩეველთა ორი მესამედი უარყოფითად შეაფასებს, მაშინ ყველა ეს მოღვაწე დაპატიმრებულ უნდა იქნას იმავე ვადით, რა ვადითაც ისინი ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, ქონების კონფისკაციით (გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც ისევ აირჩევენ). გარწმუნებთ, რომ ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებისაკენ ლტოლვა განპირობებული იქნება არა პირადი გამდიდრების სურვილით, არამედ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებით. ქვეყნის ხელმძღვანელობაში აღმოჩნდებიან არა თაღლითები და ქურდები, არამედ კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ შეუძლიათ უზრუნველყონ ქვეყნის განვითარება და მზად არიან თავიანთ საქმიანობაზე პასუხი აგონ...**

...ან ჩვენ სასტიკი დასჯის მუქარით ვაიძულებთ ხელმძღვანელობას იმუშაოს ხალხისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ისინი საბოლოოდ დაშლიან ჩვენს სახელმწიფოს, გადააქცევენ ერს მათხოვართა და მაწანწალათა ბრბოდ, რომელიც ხანდახან გაიხსენებს რომ ოდესღაც ღირსეული ერი იყო და საკუთარ მიწაზე ცხოვრობდა...".

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს სიტყვები დაიწერა 18 წლის წინათ და არა გუშინ!

იქნებ ავადსახსენებელი კოაბიტაციაც იმას ემსახურება, რომ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ დარჩენილ **"ერთპროცენტიან"** პოლიტიკოსებს პასუხი აღარ ვაგებინოთ შეუსრულებელი დაპირებებისათვის?

იქნებ ამიტომაც ეშინია დღევანდელ პარლამენტს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გამოცხადება?

იქნებ არსებობს რაიმე ფარული მოლაპარაკება დღევანდელ და გუშინდელ ხელისუფლებას შორის ქვეყანაში პოლიტიკური **"სტატუს-კვოს"** შენარჩუნების თაობაზე?

იქნებ არსებობს ფარული გარიგება იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების ცვლამ არ გამოიწვიოს ქვეყნის იმ პოლიტიკური ორიენტაციის ცვლა, რაც კარგს არაფერს უქადის საქართველოსა და ქართველ ერს!

იქნებ... იქნებ...

ვიმეორებ — ამდენი **"იქნებ"**-ს შემდეგ ჩნდება იმის უტყუარი განცდა, რომ ამერიკელთა მიერ თავსმოხვეული **"კოაბიტაცია"** გახლავთ არა კონკრეტული დამნაშავეებისადმი გაცემული პოლიტიკური ინდულგენცია, არამედ კაპიტულაცია **"ნაციონალებად"** წოდებული სისხლის სამართლის დამნაშავეთა პოლიტიკური ბანდის წინაშე!

როგორც დათა თუთაშხია იტყოდა: **"ასეა ეს"!**

როლანდ ჯალაღანია,
მთავარი რედაქტორი

სწორი არჩევანი — გამარჯვების საწინდარი!

საქართველოში საპრეზიდენტო საარჩევნო მარათონი დაიწყო, დღითიდღე მატულობს პოლიტიკური ტემპერატურა, პარალელურად კი საზოგადოებაში აზრი გაორდა. გაჩნდა კითხვა: ორჯერ შევცდით არჩევანში, რაც საკმაოდ ძვირად დაგვიჯდა, მესამედ ვისი დაპირება უნდა ვირწმუნოთ, ვის ვენდოთ, ვის მივცეთ ხმა, ვინ ავირჩიოთ პრეზიდენტად?!

ასეთ პიროვნებად მე მიმაჩნია ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** — ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კარგი გენიდან სათავედადებული პიროვნება, რომელიც დამსახურებული ავტორიტეტითა და დიდი ნდობით სარგებლობს რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან. მხოლოდ მას შეუძლია რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა არა საქართველოს საზარალოდ, და თანაც ძალიან სწრაფად. თავის უაღრესად საინტერესო საგაზეთო სტატიებში ბატონი ალექსანდრე ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის საქმიან დიალოგს. მწამს, რომ საქართველოს პრეზიდენტის რანგში ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ყოველთვის იქნება საზოგადოებასთან თანამშრომლობაში ჩართული და გაითვალისწინებს საზოგადოების აზრს. მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი ალექსანდრე არ მონაწილეობს მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში, რაც ქვეყნის მიერ უკან გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია!

კარგა ხანია საქართველომ დაკარგა ქვეყნისათვის უმთავრესი რამ — ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთთან შეჭიდება არავითარ სასიკეთოს არ მოგვიტანს, პირიქით — მხოლოდ ნგრევას! ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჩვენ რუსეთთან უნდა გაგვაჩნდეს, რუსეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე უნდა იყოს.

ჩვენთვის ესოდენ სანუკვარი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს ქვეყნის ახლად არჩეული პრეზიდენტის უპირველესი პრიორიტეტი. უსასრულო მოლოდინისა და უიმედობისაგან ძალიან დაიღალა ჩვენი საზოგადოება, ბოლოს და ბოლოს, დროა გადაწყდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა.

ასევე აწუხებს ქართულ საზოგადოებას უცხოელებზე მიწების მიყიდვის საკითხი. არა და, ქართველი თავს არ დაიმარხავს გაყიდულ მიწაზე, იმიტომ, რომ, ოდითგანვე, ჩვენი წინაპრები აკვანში მწოლიარე ყრმას ასე ჩააგონებდნენ:

"ღმერთი არ გაგიწყრეს, მიწა არ გაყიდოთ,

პაპა არ დამარხოთ გაყიდულ მიწაში"-ო...

საქართველოს მიწა ხომ მამა-ღმერთმა გვიბოძა, — **"ჩემთვის საბოსტნედ მჭონდა გადანახული, მაგრა გულიანი ხალხი ხართ და, ამიტომ, თქვენთვის დამითმია... დე ალალი იყოს თქვენზეო!"** ჩაგვაბარა და ჩვენც უნდა თვალისჩინივით მოვუაროთ. მიწების გაყიდვა ქართველი ერის არსებობას გაქრობით ემუქრება. ეს ერთი და სხვა მრავალი პრობლემა ახალი პრეზიდენტის მოსაგვარებელი საკითხი უნდა იყოს!

ღრმად მწამს, საპრეზიდენტო არჩევნებში გამოწრთობილი ქართული საზოგადოება ერთხელ კიდევ მოუხმობს გონიერებას და გააკეთებს სწორ არჩევანს, ხმას მისცემს ქვეყნისა და ხალხისათვის ღირსეული პრეზიდენტობის კანდიდატს.

სამწუხაროა, რომ ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ არ წამოაყენა თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ მომავალი წინაა!

ადინარ ფარჯიკია,
დამსახურებული პედაგოგი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

უნდა ავღნიშნო, რომ ირკუტსკში ჩემი მეორედ ჩასვლის დროს იქ ვნახე დედაჩემის ნათესავი ყარამან მარღანია, რომელიც **„ვერხნი უდინსკის“** კაზათა ბრიგადის გენერალი იყო. საუკეთესო ვაჟკაცი და განათლებული ადამიანი. მას ძალიან ვუყვარდი და ხშირადაც მნახულობდა, ყოველნაირად მეხმარებოდა. ყარამან მარღანია კარგად იცნობდა ნესტორს და სხვა რევოლუციონერებსაც, თანაუგრძნობდა მათ. განსაკუთრებით მოსწონდა ნესტორი; ამბობდა, მტკიცე იდეის ადამიანია და რევოლუციის საქმისათვის საკუთარ სიცოცხლეს არ დაზოგავსო. იგი სავსებით გულწრფელად აცხადებდა ჩემთან საუბრისას — ნესტორი და საერთოდ, რევოლუციონერები მართლები არიან, მეფის დასამხობად რომ იბრძვიან, ჩვენი კულტურა პირველყოფილ დონეზეა, სოფლის მეურნეობას ადამ და ევას დროინდელი იარაღებით ეწევიან, რევოლუცია კი ტექნიკის საქმეს წინ წასწევს და კულტურის განვითარებასაც დააჩქარებსო.

სწორედ გენერალი ყარამან მარღანია ჩამოსულიყო ირკუტსკში და ჩემი დაპატიმრების ამბავი რომ გაეგო, დაუყოვნებლივ შესულიყო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსთან და დაპატიმრების საფუძველი მოეთხოვა. კატეგორიულად უთქვამს — თუ რაიმე კონკრეტული მიზეზი და საფუძველი არა გაქვთ, ტყუილუბრალოდ ნუ აწვალებთ ახალგაზრდა კაცს, თორემ სამი დღის შემდეგ ვაცნობებ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პასუხს მოგთხოვენო. მე ამის შესახებ თავისი სანდო მსახურის მეშვეობით გამაგებინა გარეთ მყოფმა ჩემმა კარგმა მეგობარმა, ერთმა რუსმა. მან წერილობით მაცნობა მარღანიას ჩარევა ჩემს საქმეში. მე ამ ამბავმა ძალიან გამამხნევა და ყველას გავაგებინე. ნესტორსაც დიდი იმედი მიეცა. ჩვენ ვერავითარ კონკრეტულ ბრალდებას ვერ გვიყენებდნენ. გვეკითხებოდნენ არალეგალური რევოლუციური წრის შესახებ, სალაროს შესახებ, მაგრამ არავინ არ გამოტეხილა და, რაც მთავარია, ყარამან ტუსკია, ვისაც სალარო ებარა, არ ჩავარდნილა. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ვიღაცამ გაგვცა. ისიც ცხადი იყო — იმ გამცემმა ყველაფერი არ იცოდა, მათ შორის სალაროს ადგილსამყოფელი და უფრო ამან გადაგვარჩინა. მე და ნესტორმა ეჭვი მივიტანეთ ერთ ჩვენს თანამემამულეზე, გვარად კახიძეზე. ამ კაცს ერთ ბნელ ქუჩაზე ჰქონდა ლუდით სავაჭრო და სასაუზმე. საეჭვო საქციელის პიროვნება იყო. მასთან თავს იყრიდნენ როსკიპი ქალები და სხვადასხვა ბინძურ გარიგებაში ერია. ამ კაცმა ყურმოკრულად იცოდა რაღაცეები ჩვენს საქმიანობაზე, მაგრამ ჩვენი წრის შეკრებებზე ერთხელაც არ დაგვისწრია. მან არც სალაროს ადგილსამყოფელი იცოდა. ცნობით კი გვიცნობდა უმრავლესობას, რაღაც სალაროს არსებობაზეც ჰქონდა გაგონილი, თუმცა დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა. ჩვენ მაშინვე ვიფიქრეთ, რომ ამ საეჭვო კაცის ჩადენილი იქნებოდა ეს ბინძური დასმენა და გათავისუფლების შემდეგ კიდევაც გამართლდა ჩვენი ვარაუდი.

გენერალ მარღანიას ჩარევამ უეჭველად დააჩქარა ჩვენი გათავისუფლება. ის რომ არა, ადვილი შესაძლებელი იყო, გაბოროტებულ ჟანდარმთა სამმართველოს ყველანი იაკუტიის ან ტურუხანის ცივ მხარეში გადავეკარგეთ. ამ ღვთისნიერი კაცის მოსვლიდან სამი დღის შემდეგ, ერთბაშად გაგვათავისუფლეს. მალევე გამორკვეულ იქნა ჩვენი გაცემის ამბავიც. დამტკიცდა, რომ ეს ბინძური საქმე კახიძეს ჩაედინა. საპატიმროდან ჩვენი გამოსვლის მეორე დღესვე იმ გარეწარს საჩქაროდ გაეყიდა სავაჭრო და გაქცეულიყო, ვითომდა ჩინეთში (ასე დაებარებინა), მაგრამ ჩვენ დავადგინეთ, რომ ქალაქ ჩიტაში ჩასულიყო და რომელიღაც ბნელ გარეუბანში ისევ დაეწყო თავისი საძრახი საქმიანობა. ჩვენმა წრემ შეუძლებლად ჩასთვალა მისთვის ამ დანაშაულის პატიება. მე და ნესტორმა კახიძესთან ანგარიშის გასწორება ორ კაცს მივანდეთ; ისინი წავიდნენ, მონახეს გამცემი და თავისი მიუზღეს. არ შერჩა უმსგავსობა, ბინძური ღალატი.

მართალია, საპყრობილედან გაგვათავისუფლეს, მაგრამ ჟანდარმერია და პოლიცია უკვე გაძლიერებული ეჭვით გვიყურებდნენ და ჩვენს ყოველგვარ მოძრაობას თვალს ადევნებდნენ. იმ პერიოდში ირკუტსკში მსახურობდა მესანგრე ბატალიონის ოფიცერი გიორგი დიმიტრის ძე მიქელაძე, საუცხოო ვაჟკაცი, დიდად განათლებული პიროვნება, მოწინავე აზროვნების ახალგაზრდა. მე, ნესტორი, ყარამანი და სხვები დავუმეგობრდით ამ კაცს, ხშირად დავდიოდით მასთან. მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, მრავალ საინტერესო საკითხზე იმართებოდა საუბრები. ერთ საღამოს ჟანდარმერიამ მოულოდნელად გაჩხრიკა მიქელაძის ბინა, წაიღეს ბევრი აკრძალული წიგნი და თვითონ გიორგი მიქელაძე, გენერალ-გუბერნატორ სელივანოვის წარდგინებით, სამსახურიდან გადაიყვანეს და წოდება ჩამოართვეს. ამან ყველანი შეგვაწუხა — ნესტორი, ყარამანი, მელიტონი და სხვებიც უკვე ძალიან ფრთხილობდნენ. მე განვაგრძობდი სამსახურს ხან ხასაევის კანტორაში და ახლო მეგობრობა მქონდა მის ოჯახთან. ჩემი პატიმრობის დროს დიდი ყურადღება გამოიჩინა, დაუვიწყარი დახმარება გამიწია მადამ ხასაევამ, ვისი წყალობითაც მე და ჩემმა მეგობრებმა ჯანმრთელობა შევინარჩუნეთ.

რევოლუციური არალეგალური წრე მაინც არ დაშლილა. მუშაობას განვაგრძობდით ძლიერ ფრთხილად, ვეხმარებოდით ციხეში მყოფ და შორეულ გადასახლებაში მიმავალ რევოლუციონერებს. მე, ჩემი ხარჯით, თითქმის ყოველთვის ვინახავდი გაჭირვებაში ჩავარდნილ ხუთ-ექვს კაცს. რითაც შემეძლო, ყველას ხელს ვუმართავდი.

ერთ დღეს ვიგებთ, რომ ირკუტსკის ციხეში ჩამოიყვანეს ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე თედო სახოკია. მე და ნესტორმა გადავწყვიტეთ მიგვეწოდებინა მისთვის რაიმე დახმარება. ამ ბჭობაში რომ ვართ, მოდის ჩემს ბინაზე ციხის ერთ-ერთი უმცროსი მოხელე, მაწვდის წერილს და პასუხს არ ელოდება, ისე მიდის. მე და ნესტორი ვკითხულობთ ამ წერილს. ბარათი ჩემს სახელზეა. თედო მწერს: ძვირფასო გვანჯი, გავიგე, რომ აქ ხართ. ჩემი საქმე ცუდად არის. მასასხლებენ იაკუტიის გუბერნიის შორეულ, ცივ მხარეში, სადაც ჩემი სუსტი ჯანმრთელობის გამო უეჭველად დავიღუპები. ჩემი შველა შეუძლია ციხის მთავარ ექიმს, სერედას, რომელთანაც შეიძლება ფულით გაკეთდეს საქმე, რათა, როგორც ავადმყოფი, სადმე უახლოეს რაიონში გამაგზავნოს...

ბევრი ფიქრის დრო არ იყო. სასწრაფოდ მოვიყარეთ თავი. მე, ნესტორმა, კოლია წულუკიძემ და ბეჟან ბერეჟიანმა გადავწყვიტეთ წერილით მიგვემართა ექიმ სერედასათვის. საქმის აღსრულება მე დამავალეს. ნესტორმა დაწერა მეტად მგრძნობიარე წერილი. წინასწარ არ გვქონდა გაგებული ექიმის მისამართი. ჩავდეთ ეს წერილი ორას მანეთთან ერთად კონვერტში და გავეშურე ექიმის ბინისაკენ. მას ავადმყოფთა მიღება ჰქონდა. შევედი მის კაბინეტში, მივესალმე, თავაზიანად გავუწოდე კონვერტი და ვუთხარი: პატივცემულო ექიმო! გთხოვთ იმოქმედოთ თქვენი სინდისის მიხედვით! — სწრაფად გამოვტრიალდი, სწრაფადვე ჩავჯექი ეტლში და შინ დავბრუნდი.

ექიმთან ჩემი მისვლის მეხუთე დღეს გადავშალეთ ირკუტსკის გაზეთი **„სიბირსკაია ზარია“** და ვხედავთ, შიგ დაბეჭდილია თვით ექიმ სერედას განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ მას ვიღაც უცნობმა, ქრთამის სახით, გადასცა 200 მანეთი და ამ თანხას იგი სწირავს უპატრონო ბავშვთა სახლს. მე და ჩემს მეგობრებს ელდა გვეცა, სასტიკად შევწუხდით და იმედი გაგვიცრუვდა. შევურიგდით იმ ამბავს, რომ თედო სახოკიას შველა აღარ შეგვეძლო, მაგრამ ჩვენი სასოწარკვეთა ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ ყოფაში რომ ვართ, თედო გვიგზავნის კაცს და მადლობას გვითვლის — სერედამ საქმე გააკეთა და იაკუტიის ნაცვლად, რომელიც სამი ათასი კილომეტრით არის დაშორებული, იგი გაამწესეს მეზობელ კირინსკის მაზრაში, ირკუტსკიდან ექვსასა კილომეტრზე...

ეს იყო 1907 წლის ზამთარში. 1908 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს, მოულოდნელად, გადასახლებიდან გამოქცეული თედო სახოკია კარზე მომადგა. ყველამ დიდი სიხარულით მივიღეთ ეს საუცხოო ადამიანი. მოვუარეთ, დავასვენეთ, ფერზე მოვიყვანეთ, მოვაჯანსაღეთ. მახსოვს, ერთხელ თედომ მთხოვა — ჩემო გვანჯი, სატუცავი მიყიდეო. გაკვირვებულმა ვკითხე — სატუცავი რა არის-მეთქი. გაეცინა და მითხრა: **„გალოშებს“** ქართულად ასე ჰქვიაო. თედო როცა ქართულად ლაპარაკობდა, რუსულს ერთ სიტყვასაც არ გაურევდა. სამაგალითოდ უფრთხილდებოდა ჩვენი ენის სიწმინდეს. მალე თედო სახოკია იქ მყოფმა ქართველებმა ყოველმხრივ მოვამზადეთ და საიდუმლოდ გამოვამგზავრეთ კავკასიაში.

ის დღე არასოდეს დამავიწყდება. მე და ოფიცერი მილორავა ერთხელ სასეირნოდ გამოვედით, ბაღშიც შევიარეთ, გვინდოდა წაგვესაუზმა. ამ დროს ბაღში თვალი მოვკარი მეტად მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელსაც სახეზე ვუალი ჰქონდა ჩამოფარებული და სეირნობდა. თან ახლდა ორი, კოხტად ჩაცმული, ყმაწვილი კაცი. ძალიან მომინდა გამეცნო ეს ქალიშვილი; რამდენჯერმე გავიარ-გამოვიარე, კარგა ხანს ვიტრიალე მის ირგვლივ, მაგრამ გაცნობა ვერ მოვახერხე. გულდაწყვეტილი დავბრუნდი. იმ ღამესვე ვნახულობ სიზმარს — ეს ახალგაზრდა ქალიშვილი ნავში მიზის, მივცურავთ და ასე ნავით მივადექით ჩემ სოფელ ჭკადუაშს...

მეორე დღეს, ისევ გავდივარ ბაღში და ვხედავ, რომ ეს ქალიშვილი ზის სამსონ ნაჭყებიასთან. სამსონი საპატიო კაცი იყო იმ დროს ირკუტსკში და მაღალი წრის ხალხთან ჰქონდა საქმე. სამსონმა დანახვისთანავე მიმიხმო და მთხოვა გამეცნო ქალიშვილი. მან მითხრა, რომ იგი იყო მისი კარგი მეგობრის, ინჟინერ-მექანიკოს ნიკოლაევის ქალიშვილი ნადეჟდა ნიკოლაევა. მე თავაზიანად ვართმევ ქალიშვილს ხელს და მათ გვერდით ვჯდები. მალე ის ორი ყმაწვილი კაციც მოვიდა, ამ გოგონას წინა დღით რომ ახლდნენ. სამსონმა ისინიც გამაცნო. ძმები აღმოჩნდნენ ნადეჟდასი — ინოკენტი და ალექსანდრე. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ამ ქალიშვილმა და მისმა ძმებმა გვთხოვეს სამსონს და მე, მეორე დღეს, მათ ოჯახში მივსულიყავით ერთ-ერთი ძმის დღეობაზე. ჩვენ მათ მადლობა გადავუხადეთ და დავშორდით.

მე და სამსონი დანიშნულ საათზე მივედით ნიკოლაევების ოჯახში. დიდებულად მიგვიღეს. საუკეთესო სუფრა გაშალეს. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. ისმოდა გიტარის, მანდოლინას, ვიოლინოს სასიამოვნო ჰანგები. მშვენიერი დრო გავატარეთ. ამის შემდეგ, ხშირი სტუმარი ვიყავი ამ ოჯახისა. თანდათან დავუახლოვდი ნადეჟდა ნიკოლაევას. იგი მეტად მორცხვი, უმანკო, თავაზიანი ქალიშვილი, ზედმიწევნით წესიერი და ქალოვნებით მდიდარი იყო. მე თავდავიწყებით შემიყვარდა ნადეჟდა ნიკოლაევა. მასაც ასევე ძლიერ შევუყვარდი და ერთმანეთს მტკიცე სიტყვა მივეცით, რომ შევუღლებულიყავით. ჩვენი გადაწყვეტილება მის მშობლებსაც შევატყობინეთ და მშობლებმაც თანხმობა განაცხადეს, რადგან ხედავდნენ, რომ მათ ქალიშვილს ძლიერ ვუყვარდი. სულ მალე დავთქვით ნიშნობის დღე, რომელზედაც, ჩემის მხრივ, მოწვეული მყავდა სამოცი ქართველი და, მათ შორის, ყარამან მარღანია. მანამდე კი ყოველ საღამოს მივდიოდი ჩემი საცოლის ოჯახში.

იმჟამად ირკუტსკში პეტერბურგიდან ჩამოვიდა ჟურნალისტი და კორესპონდენტი, რაღა თქმა უნდა, მეფის რეჟიმის თავგამოდებული დამცველი ვიღაც ბახმეტიევი. მე იგი პირადად არ გამიცნია. მისი ჩამოსვლიდან გადის რამდენიმე ხანი და ეს ჟურნალისტი გაზეთ **„სიბირსკაია ზარიაში“** ჩემს წინააღმდეგ ბეჭდავს ბოროტ ფელეტონს. ამ პასკვილის შინაარსი ასეთი იყო: ირკუტსკში ცხოვრობს კავკასიიდან გადმოსახლებული ვინმე თავადი გ. ჩიქოვანი. ის მართლაც თავადიშვილურად ნებივრობს, ყოველდღე ნაირ-ნაირ ტანსაცმელს იცვლის, სეირნობს თავისუფლად. მის გვერდით თეატრში, კონცერტებზე თუ ბაღში ხშირად დაინახავთ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ქალიშვილებს. დაიარება თავმომწონედ, ცხოვრობს უდარდელად, თავისი გემოვნების მიხედვით, როგორც მოეხასიათება. ბახმეტიევი კიცხავდა ირკუტსკის საზოგადოების ქალებს, უწუნებდა მათ საქციელს, რომ ისინი სეირნობდნენ გადმოსახლებულ კავკასიელთან და სხვა ასეთი წვრილმანები. გარდა ამისა, საგანგებოდ აღნიშნავდა — ეს კაცი მთავრობისთვის არაკეთილსაიმედო პიროვნებაა და აჯობებს, ჩვენმა ქალებმა მისგან თავი შორს დაიჭირონო.

ახალგაზრდა ვიყავი და თანაც, მასპინძლის რიდის გამო, შეუძლებელი იყო, სტუმრად მყოფი გენერლისთვის საკადრისი პასუხი გამეცა. თვით პრინცესა სალომეც ძლიერ აღელდა და რეინბოტს ასე მიმართა: მე არა ვარ რევოლუციონერი, არც მათი თანამგრძნობი, მაგრამ ქართველ ხალხსა და საკუთრივ ქართველ რევოლუციონერებს მათი ღირსება ასე უსამართლოდ არ უნდა შეულახოთო. ქართველ რევოლუციონერთა კეთილსინდისიერებასა და ადამიანურ მოქცევაში მე თვითონ დავრწმუნდი, როცა 1905 წელს, რევოლუციის დროს, ჩემს მამულში, სოფელ სალხინოში, კუხალეიშვილის ხელმძღვანელობით მოვიდა რევოლუციონერების ჯგუფი. მათ, მართალია, ჩემი და ჩემი ქალიშვილის დაპატიმრება მოუხდათ, მაგრამ უაღრესად თავაზიანად გვექცეოდნენ. ქუდმოხდილებმა მოგვიბოდიშეს და ისე დაგვსვეს ურემზე. იმ არეულობის ჟამს უხიფათოდ ჩაგვიყვანეს სენაკში, ზრდილობიანად აგვიღეს ბილეთები და თბილისში გაგვაგზავნეს. ასეთი შემთხვევები სხვაც ბევრი იყო. თქვენ კი, პატივცემულო გენერალო, როგორც გეტყობათ, არ იცნობთ არც ქართველ ხალხს, არც ქართველ რევოლუციონერებს და რატომღაც აიდეალებთ რუსის ყაზახებს, რომლებიც შეუბრალებლად სთელავენ მშრომელ გლეხობას. ახლა კი აჯობებს, ასეთ ლაპარაკს თავი დავანებოთ და ეს ყურძენი მივირთვათო, ღიმილით დასძინა სალომე მიურატმა.

ამ შენიშვნის შემდეგ, გენერალ რეინბოტს ენა აღარ დაუძრავს, სულგანაბული იჯდა და ერთი დიდი ვაზა უგემრიელესი ყურძენი უსიტყვოდ შესანსლა. სადილის დამთავრების შემდეგ, პრინცესამ განზე გაგვიხმო და მისებურად, რბილად გვისაყვედურა — რა ღმერთი გაგიწყრათ, რა დაგემართათ, რომ ყველანი დამუნჯდით, მუცელში ჩაიგდეთ ენა და უცხო სტუმარი მე, მასპინძელს, გამალანძღვინეთო. ყველამ ვიგრძენით, ვაჟკაცობა რომ ვერ გამოვიჩინეთ და გამომოვიდობებისას ბოდიში მოვუხადეთ პრინცესას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეგრული (იბერიული) ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?

ამდენად, არსებული შიში მეგრული ენისა, ზედაპირული შეხედულებით, არც ისე უსაფუძვლოა, მაგრამ თუ ღრმად ჩავწვდებით ჭეშმარიტების არსს, ასეთი შიში აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

899, თუ 888 წლიდან ქართლმა, ბიზანტიის ქვეშევრდომობაში მყოფმა, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში მიიღო სამეფოს სტატუსი. ქართლის პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი. შემდგომ, პირისაგან მიწისა აღგვილი იბერიის ნანგრევებიდან ფენიქსისებრ აღმოცენებული ეგრის-აფხაზეთისა (VIII საუკუნიდან) და ქართლის (X საუკუნიდან) სამეფოების ისევ გაერთიანების მიზნით უსინათლო (ამის გამო უმწეოდ წოდებულმა), მაგრამ გონიერმა მეფემ თეოდოს II და მისმა დიდვაზირმა იოანე მარუშმა 978 წელს ეგრის-აფხაზეთში გაამეფეს თეოდოს II დისშვილი, ქართლის უფლისწული – ბაგრატ III ბაგრატიონი. ამით საფუძველი ჩაეყარა უსისხლოდ, დინასტიური გზით იბერიის ისევ აღდგენად, მაგრამ ჩვენი უფლებები შეიკვეცებაო და იმ დროს ქართლის მეფემ – ბაგრატ II (რეგვენად წოდებულმა) და შემდგომ მისმა შვილმა ბაგრატ III-ს მამამ – გურგენ II არ ინებეს თავიანთ სიცოცხლეში ეგრის-აფხაზეთთან გაერთიანება. როცა სიკვდილმა უწია გურგენ II, მან ანდერძით დაუტოვა თავის კანონიერ მემკვიდრეს დინასტიურად კუთვნილი მამული, მაგრამ ცნობილია, წინ გადაეღობნენ ნათესავები, ვინმე სუმბატი და გურგენი და საკუთარი მამულის შემოსამტკიცებლად გარკვეული სისხლისღვრაც დასჭირდა ბაგრატ III-ს.

ქართლელთა წინააღმდეგობის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ იბერიის ქვეშევრდომობაში ქართული ენა და, შესაბამისად, ქართლელი ხალხი არ ვითარდებოდა. ამიტომ იბრძოდა სპარსეთის წაქეზებით, ქართლი I საუკუნიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად.

გენეტიკურად ნათესავ ტომებს შორის სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის აღდგენისათვის ბრძოლის პირობებში, უეჭველია და ბუნებრივიცაა, მწავავედ დადგებოდა პრობლემა: **გაერთიანების შემთხვევაში, რომელი ენა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო და სამწერლობო ენა?** მრავალმილიონიანი სიტყვის მომცველი იბერიული ენის ისევ სახელმწიფო ენად მიღების შემთხვევაში, ისევ დაიჩაგრებოდა ქართის ტომი, ვინაიდან ისევ მდაბიოთა ენად დარჩებოდა ქართული ენა. თუ ქართულ ენას მიიღებდნენ სახელმწიფო ენად და უარყოფილი იქნებოდა მრავალათასეული წლების განმავლობაში გამოწრთობილი უმდიდრესი ადამურ-იაფეტურ-იბერიული, შემდგომ მეგრულად წოდებული ენა, რა თქმა უნდა, ეს ძალზე მტკივნეული იქნებოდა იბერებისათვის, მაგრამ არანაკლებ საზიანო იქნებოდა, შეიძლება ბევრად მეტი ზიანი მოეტანა რიცხობრივად ბევრად აღმატებული ქართი მოსახლეობის მდაბიოებად დარჩენას გაერთიანებული ქვეყნისათვის. ქართლელების ასეთი მოთხოვნა არც თუ ისე უსამართლო და უსაფუძვლო უნდა ყოფილიყო. ამიტომ და, ამასთან, მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად უფრო გონივრული იქნებოდა სახელმწიფო ენად ქართლურის მიღება. ამიტომ, ასე გადაწყვეტა კიდეც, ალბათ, სამეფო დარბაზმა.

რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო ამჟამინდელ იმერეთისა და გურიის, თითქმის, იბერებისაგან დაცლილ ტერიტორიაზე ქართლელთა მიგრაციას და იბერთა, ძირითადად, რიონსა და ენგურს შორის ლოკალიზაციას. რაც ერთი საუკუნის შემდეგ მოღვაწე, ამ სურათის პირადად მხილველი და დავით აღმაშენებლისგან განაწყენებული ლეონტი მროველისათვის (ლეონტი მროველის დროს რუის-ურბნისის ეპარქია, რომლის ეპისკოპოსიც მროველი იყო, ჰედონიზმისა და გარყვნილების ბუდედ იქცა. ამიტომ მოეწყო, სწორედ, რუის-ურბნისში საეკლესიო სამსჯავრო 1104 წელს, ბევრი სამღვდელო პირი გაიკრიჭა და გაძევებული იქნა ეკლესიებიდან), თუ სხვა ფალსიფიკატორისათვის ცინიზმის საფუძველი გახდა. ამიტომ **„განუსაზღვრა ფარნავაზმა (სინამდვილეში ბაგრატ III მომდევნო მეფეებმა) მთელი დასავლეთ იბერიის მფლობელ „ქუჯის" (სინამდვილეში იბერთა, იგივე მეგრელთა მთავრებს) რიონსა და ენგურს შორის ტერიტორია".**

როგორ გაართვა მანამდე მდაბიოთა ენად არსებულმა ქართლურმა ენამ თავი სახელმწიფო და სამწერლობო ენის ფუნქციას?

საეჭვოა, სამეფოს სტატუსის მიღებამდე ქართულ ენაზე ლიტერატურა არსებულიყო. ხოლო **„შუშანიკის წამება"** და სხვა წერილობითი ძეგლები რეფორმის შემდეგდროინდელი, დაახლოებით XIV საუკუნის ქართულით თარგმნილი ჩანან (შეად. **„შუშანიკის წამება"** და პეტრიწამდელი სხვა წერილობითი ძეგლები მე-13-მე-14 საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე მღვდლის – მაკარ მესხის ზაქარია ქართველის მიერ დაწერილი წიგნის **„ცხოვრება პეტრე ქართველისა"** თარგმანს). ამას წ-და ექვთიმე თაყაიშვილიც მოწმობს (იხ. მისი **როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ**, ჟ. **მნათობი**, 1948, №8).

ყველაზე უძველესი წერილობითი ძეგლი, რომელმაც დედანში ჩვენამდე მოაღწია, არის იაონე პეტრიწის **განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის <<ღმრთის მეტყველების საფუძვლებისა>>.**

ცხადია, ქართლური ენის მიერ საერთო სახელმწიფო და სამწერლობო ენის სტატუსის მიღების შემდეგ, მანამდე ლიტერატურის არ არსებობის გამო, ვისაც გული ერჩოდა და ცოტა რამ ესმოდა, ბუნებრივია, პირველ რიგში თარგმნას მიჰყოფდა ხელს, მაგრამ იმ ხანად არამარტო უმეცრებისა და უსწავლელობის გამო, არამედ ქართული ენის გაუმართაობის გამოც (რაც პეტრიწის თხრობასაც ეტყობა) **„შეუსაბამობათა უსაზღვრობა დაულეველი იყო (იქნებოდა, კ.ფ.)".** სწორედ ამიტომ წერს გულმართალი იოანე პეტრიწი: **„არამედ მიზეზი აწ კუალად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს: პირველ რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელნი და სხუასა აღუჩნდის სხუად; ვინაჲ ესე დაულეველ იყო უსაზღვროობითა ვერ სადა მიყენებისაჲთა. და თუ სადაჲთ შემთხუეოდა ეს რომელნი და უმეცარ იყვნეს და რომელთამე გარემოხუევითა დიდებითისა თნებისაჲთა წარეცონა სამხილი უსწავლელობისაჲ, ვინაჲ და ტომითთა შორის ჩუენთა არ აობს ვინცა ვინ თან მემხილე და მერქუე თუ ვით ეს მოქმედებაჲ ძალითისა სიტყჳსაჲ ვით ვითარვე და სახარებასა შინა განიცხადების და სამოციქულოთა და სხუათა ყოველთა ესე ვითა, თუ დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ, და უც მართ მრთეულურად, ვითარმედ, <<პირველითგან იყო სიტყუაჲ>>. და არა უწყიან, რომელ პირველი შემდგომთა არს პირველი, და მათი არაჲს თუ უცხო ბუნებათა, არამედ ერთ და იგივე ბუნებითა,..."** (იოანე პეტრიწი, **შრომები II**, გამოც. ს. ყაუხჩიშვილის და შ. ნუცუბიძის მიერ, თბ. 1937, გვ. 219). **ხოლო ის ჭეშმარიტება, რომ პეტრიწამდე ქართლური ენა არ იყო განვითარებული და მდაბიოთა ენად იყო დარჩენილი, მოწმობს მისი შემდეგი სიტყვები: „...არავე ცრული სარეცეთა მომდოვრებისა ჩემისათა, და არცა წამი სასუენთა სულისა ჩემისათა, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან დღეთადმი, რომელთა ბნელი უმეცრებათაჲ არღ ენაცვლების; და აღვიშურვე ტომისათჳს გუართა ჩემთასა მე მიდმობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან,..."** (იქვე, გვ. 220).

ამ ციტატიდან ცხადია, რომ აღნიშნული წიგნის პეტრიწისეული თარგმანი შესრულებულია მის მიერ ქართლური ენის მიმართ გაწეული რეფორმის შემდეგ და ადვილი წარმოსადგენია რა დონის იქნებოდა ქართლური ენა პეტრიწისეულ რეფორმამდე, როცა რეფორმის შემდეგდროინდელი ენაც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვის 50%-მდე გაუგებარია. ამიტომ აბსურდია ლეონტი მროველის ცნობა, რომ ფარნავაზმა **„განავრცო ენაჲ ქართული და არღა იზრახებოდა ქართლსა (თუ ტერმინში „ქართლი" ლეონტი მროველის მიერაც დღევანდელი აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო მოიაზრებოდა, კ.ფ.) შინა სხვა ენა თვინიერ ქართულისა"**, რადგან ასევე აბსურდია, რომ ქართულ ენაზე იყო დედანში დაწერილი მე-5 საუკუნის ძეგლი **„შუშანიკის წამება"** და პეტრიწამდელად მიჩნეული სხვა წერილობითი ძეგლები, რომლებშიც ძველი ქართული ენის არასპეციალისთვისაც გაუგებარი არაფერია. ხოლო ექვსი საუკუნის განმავლობაში, მით უმეტეს, ქვეშევრდომობიდან განთავისუფლებისა და განვითარებისათვის თავისუფალი ასპარეზის მოპოვების შემდეგ, განვითარების ნაცვლად ენის გაუხეშება გამორიცხულია. უკეთესად რომ ვთქვათ, თუ პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, სახელმწიფო და სამწერლობო ენის სტატუსის მიღების შემდეგ საუკუნე ნახევარში შეეძლო მანამდე მდაბიო ენას კლასიკურ ენად ქცეულიყო, რა უნდა მოსვლოდა ისეთი, რომ ფარნავაზის დროიდან **„სამწერლობოდ"** გამოცხადებული ენა პეტრიწის ეპოქამდე მდაბიო ენად დარჩენილიყო? იბერიას ძვ.წ. აღ-ით 284 წლიდან ახ. წ. აღ-ის 523 წლამდეც ხომ უდგა თავისუფლებისა და აღზევების პერიოდებიც? მაგრამ ქართული ენა 1008 წლამდე არასოდეს ყოფილა სახელმწიფო და სამწერლობო ენა. ამიტომ დარჩა იგი პეტრიწის ეპოქამდე მდაბიოთა ენად.

მოკლედ, XI საუკუნიდან მოყოლებული უზარმაზარი შრომაა გაწეული იბერიული კვალის წასაშლელად და ქართულის უძველესობის წარმოსადგენად; იმდენად უზარმაზარი, რომ დახარჯული ენერგია ჭეშმარიტების შეცნობას, რომ მოხმარებოდა, დღეს უდიდესი და უძლიერესი ერი ვიქნებოდით დედამიწაზე.

როგორც ეტყობა, გაყალბება ჩვენი უძველესი დამწერლობების (მხედრულისა და ასომთავრულის) წარმოშობისა, ისტორიული სინამდვილის გაყალბების პარალელურად, მისი შემქმნელი ენის კვალის წაშლით დაიწყო. რა თქმა უნდა, იცოდნენ ვერაგმა მტრებმა მხედრულისა და ასომთავრულის იბერიული წარმოშობის შესახებ, მაგრამ, საბედნიეროდ, შესწავლილი არ ჰქონიათ, თორემ, შეეძლოთ, საერთოდ, მოესპოთ ისინი.

ამიტომ მემკვიდრეთა დასაბნევად ასომთავრული ქართველ ქურუმთა მიერ, მაგრამ რომელიღაც უცხოური დამწერლობის (მეცნიერთა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი) პროტოტიპად გამოყენების საფუძველზე შექმნილად, ნუსხური ასომთავრულის განვითარების (რაც სინამდვილეშიც ასეა), ხოლო მხედრული ნუსხურის განვითარების შედეგად ჩამოყალიბებულად წარმოგვიდგინეს. და ასე ასწავლიან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დღემდე მოსწავლეებსა და სტუდენტებს; მაშინ, როდესაც, სინამდვილეში კაცობრიობის პირველი დამწერლობა ჩვენი მხედრულია, ხოლო ასომთარული მისი პროტოტიპად გამოყენების საფუძველზე შექმნილი. ნუსხური კი შექმნილია ასომთავრული დამწერლობის საფუძველზე ქართული ენისათვის ქართლის მიერ სამეფოს სტატუსის მიღების შემდეგ, ალბათ, ადარნასე II ბაგრატიონის მეფობის დროს, X საუკუნეში.

მართალი იყო ნიკო მარი, როცა მხედრულს სრულიად დამოუკიდებელ დამწერლობად და უხსოვარ დროს შექმნილად მიიჩნევდა, ხოლო დიდი ივანე ჯავახიშვილი ცდებოდა, როცა ამბობდა: **„შეუწყნარებელია ნიკო მარის აზრი, რომ მხედრული ნუსხურზე უძველესი იყოსო!"**

როცა განათლების სამინისტროს მივმართე თხოვნით, დაევალებინა კომპეტენტური სამეცნიერო დაწესებულებებისათვის წიგნის **„ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი"** შეფასება, რომელშიც ჩვენი დამწერლობათა (მხედრულისა და ასომთავრულის) იბერიული წარმოშობა მაქვს წარმოდგენილი, სამი სიტყვით **„პალეოგრაფია არ იცისო"** – უპასუხეს.

მე ვიცი პალეოგრაფია და ბევრად უკეთესად, ვიდრე იმათ, ვინც ჩემზე **„პალეოგრაფია არ იცისო"** თქვეს, რადგან არავინ არ იცის პალეოგრაფია, თუნდაც მსოფლიოში არსებული ყველა 250-მდე დამწერლობის ასონიშანთა შორის მსგავსება-განსხვავება და ორიგინალური მახასიათებლები იცოდეს, თუ არ იცის გრაფიკის ენა. მაგ., ფინიკიურ (ბ)-სა და ჩვენი ასომთავრულ (ბ)-ს შორის არის რაღაც მსგავსება: ორივეში არის ვერტიკალური ხაზი და ბუნი, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ფინიკიურში ბუნი მიმართულია მარცხნივ, ქართულში კი მარჯვნივ; ფინიკიურში ზედა მარცხენა მხარეს მიდგმულია სამკუთხედი, ქართულ ასომთავრულში კი წრე. ამასთან, ფინიკიური ჩამოყალიბებულია ხატოვანი ნიშნების თანდათანობითი ტრანსფორმაციის შედეგად, ჩვენი ასომთავრული კი ერთ გარკვეულ დროს საკმაოდ განვითარებული მეცნიერის თუ მეცნიერთა ჯგუფის მიერ ხელოვნურად შექმნილი დამწერლობაა. ამდენად, ჩვენი ასომთავრული და ფინიკიური დამწერლობანი აბსოლუტურად დამოუკიდებელი დამწერლობებია გრაფიკული მონაცემების მიხედვით.

გრაფიკის ენის მცოდნე პალეოგრაფი ამა თუ იმ დამწერლობის ასონიშნის გრაფიკული მოხაზულობის თითოეული მონაკვეთის არსში წვდება და ასონიშნის გრაფიკულ მოხაზულობასა და სახელდებას შორის კავშირს უშეცდომოდ გაარკვევს. ამიტომ ვურჩევდი ჩემს ოპონენტებს საფუძვლიანად შეისწავლონ გრაფიკის ენა. ამ მხრივ, დიდი უპირატესობა მაქვს პატივცემულ ოპონენტებთან შედარებით, რადგან მათ გრაფიკის ენაზე წარმოდგენა არა აქვთ, მე კიდევ, როგორც ინჟინერი პროფესიონალი ვარ ამ სფეროში. ამასთან, სხვა უპირატესობებიც გამაჩნია ოპონენტებთან შედარებით, რაც ქვემოთ გამოჩნდება. ამიტომ ჩემი ნაშრომების, სიყალბეზე მომუშავე მეცნიერთაგან შეფასებას არავითარი ღირებულება აღარა აქვს. ამას უკეთესად პატიოსანი და დაინტერესებული მკითხველი შეაფასებს.

შორეული წარსულიდან ადამიანთა ინტერესს იწვევდა საიდუმლო, ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანი.

ადამიანს დასაბამიდან დღემდე არაფერი შეუქმნია მსგავსი, რომელიც თავისი მნიშვნელობით ახლოს დაუდგება დამწერლობას. მეტსაც ვიტყოდი, დამწერლობის არსებობის გარეშე, კაცობრიობის ცივილიზაცია ქვის ხანის დონეს ვერ გასცდებოდა. ამიტომ ძნელი დასადგენია, შეიძლება, საერთოდ, შეუძლებელი იყოს, როდის, რომელ ეპოქაში შეიქმნა დამწერლობა. მაგრამ, საეჭვო არ უნდა იყოს, ადამიანის გაჩენიდან იმ ეპოქამდე, სანამ იგი ნახშირით ქვაზე პირველ პრიმიტიულ ნახატს დაფიქსირებდა, მილიონობით წლებმა განვლეს.

ცნობილია, რომ თავიდან დამწერლობა ხატოვანი იყო, რომელიც თანდათანობითი ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა ანბანურ დამწერლობად. მაგრამ პირველი ხატოვანი ნიშნების დაფიქსირებიდან ანბანური ნიშნების ჩამოყალიბებამდე, ალბათ, ათასწლეულებმა განვლეს.

როგორც მამა-შვილი მამანტი და ცირა ძაძამიები ფიქრობენ, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა ბუნების ენის სხვადასხვა დიალექტები. **ბუნების ენა** ეს არის ბუნებაში არსებული საგნების მიერ გაღებულ ბგერებზე და ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებზე ხმაბაძვით მიღებული და ჩამოყალიბებული თანხმოვნური სამეტყველო ენა. კაცობრიობის პირველი დამწერლობა, ხატოვანიც და ანბანურიც, უნდა შექმნილიყო ბუნების ენის იმ დიალექტის ბაზაზე, რომელიც ჩამოყალიბდა შედარებით ადრე.

მეცნიერთა მტკიცებით, ყველაზე საუკეთესო პირობებს ადამიანის განვითარებისათვის წარმოადგენდა ზომიერი სარტყელი, რომელზეც მდებარეობდა ატლანტიდა და ხმელთაშუა ზღვის აუზი. ატლანტიდას, მეცნიერთა ვარაუდით, დაეცა დაახლოებით მთვარის ოდენა ციური სხეული და ჩაიძირა დედამიწის სიღრმეში. ვარაუდობენ, რომ ატლანტიდა მდებარეობდა იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ბერმუდის სამკუთხედადაა წოდებული.

რუსი შუმეროლოგის, ა. კიფიშინის აზრით, პირველი ხატოვანი დამწერლობისგან წარმოშობილი ანბანური დამწერლობა წარმოადგენს იმ დედა ხეს, რომლის ტანიდან, შემდგომ, დანარჩენი 13 ორიგინალური დამწერლობის ტოტები ამოიყარა. მაგრამ ვინ, რომელმა ხალხმა შექმნა კაცობრიობის ეს ფასდაუდებელი საუნჯე? ცნობილ მეცნიერთა აზრით (აკად. ივანე ჯავახიშვილი, შოთა ძიძიგური, პროფ. გივი ნებიერიძე და სხვები), თავდაპირველად დამწერლობა ხატოვანი იყო. თავიდან ერთი ნახატი ერთ სიტყვას აღნიშნავდა, ამიტომ საშუალო მოცულობის მოთხრობის ტექსტის გადმოსაცემად, თურმე, საჭირო იყო დაახლოებით 70 ათასი ნახატი ნიშანი. ხატოვანი დამწერლობის განვითარების გზაზე ხანგრძლივი დროის გავლის შემდეგ იხატებოდა საგანი და იკითხებოდა ამ საგნის სახელწოდების პირველი მარცვალი. სიტყვაში შემავალი მარცვლების მიხედვით არჩევდნენ საგნებს და კითხულობდნენ სიტყვას. მაგ., თუ უნდოდათ დაეწერათ სიტყვა **კაცი**, დახატავდნენ **კა**-ტას და **ცი**-ყვს. ასე არის ცნობილი საენათმეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ბ-ნმა გია კვაშილავამ სრულიად ახალი სიტყვა თქვა ხატოვანი დამწერლობის წაკითხვის ტექნიკაში. თურმე საგნის მიმართულებასაც (მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, თუ ქვევით) ჰქონდა მნიშვნელობა.

ხატოვანი დამწერლობის განვითარების ბოლო ეტაპზე იხატებოდა საგანი და იკითხებოდა ამ საგნის სახელწოდების საწყისი ბგერა. მაგ., თუ უნდოდათ დაეწერათ სიტყვა **ნავი** დახატავდნენ მიმდევრობით ნიანგს, არწივს, ვარდს და ირემს. ე.ი. თავიდან, თუ 70 ათასამდე ნახატი ნიშანი იყო საჭირო, ხატოვანი დამწერლობის განვითარების ბოლო ეტაპზე ნახატ ნიშანთა რიცხვი შემცირდა იმ რაოდენობამდე, რამდენი ბგერაც იყო ენაში. სწორედ ამ ნახატ-ნიშნებიდან ჩამოყალიბდნენ ასო-ნიშნები. ცნობილი იბერიული ლექსი:

ბჟა დიდა რე ჩქიმი
თუთა მუმა ჩქიმი
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი

მზე დედაა ჩემი
მთვარე მამა ჩემი
ბადრი-ბადრი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

კუკური ფიფია,
აკადემიკოსი,
(გაგრძელება იქნება)

გაზეთ "ილორის" კომენტარი – ***სამწუხაროდ, პროგრამული შეუსაბამობის გამო ვერ ხერხდება იმ სხვადასხვა სქემებისა და კრიპტოგრამების გამოქვეყნება, რაც უფრო თვალნათელს გახდიდა ავტორის მიერ განხილულ საკითხებს!***

მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის პირველი ათასტომეული სახეზეა

ეს მართლაც სენსაციურია

ჯერ კიდევ 2012 წლის აგვისტოს თვეში, ჩვენ, თანაავტორებმა, – მამანტი, ცირა, ირინე, ია, ბესარიონ ძაძამიებმა, ელეონორა მებონია-ძაძამიამ და ირაკლი ხაჭაპურიძემ, დავამთავრეთ შედგენა და კომპიუტერული უზრუნველყოფა ოცტომეულისა: **"მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე".**

ოცტომეულს წინ უძღოდა და ასაფუძვლიანებს ჩვენი (მამა-შვილის: მამანტი და ცირა ძაძამიების) **3200-მდე** საენათმეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, მონოგრაფიები: **„ენის წარმოშობის საიდუმლოება"** (ზუგდიდი, 1997), **„სიტყვათწარმომავლობა – ენის წარმოშობის საფუძველი"** (ზუგდიდი, 2003), **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა"** (შვიდტომეული, თბილისი, 2007), **„ენის წარმოშობის საფუძველი"** (6 ენაზე გამოსაცემად. კომპიუტ. ვერსია, 2008), **„მეგრული ენა (ლექსიკოლოგია, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სიტყვათწარმომავლობა)"** (კომპ. ვერსია, 2009), **„საინტერესო მონაცემები ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ჭრილში (ფაქტები, ჰიპოთეზები, დასკვნები)"** (სამტომეული. კომპ. ვერსია, 2010), **„ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება"** (ციკლი საგაზეთო და საჟურნალო სტატიებისა) და სხვა.

როგორც მკითხველისთვის ცნობილია, ზემოაღნიშნულ შვიდტომეულში, კერძოდ, მის 5 ტომში წარმოდგენილია მეგრულის ლექსიკის დიდმნიშვნელოვანი ფონდი ორ ნაწილად: 1. ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) წარმოდგენილია **„მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის"** სახით და მასში მოცემულია (იკითხება) 103 მილიონამდე სიტყვა, პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ; 2. დანარჩენი ლექსიკა წარმოდგენილია **„მეგრული ენის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკონის"** სახით.

ამჯერად შედგენილ **ოცტომეულში, კერძოდ, მის II–XIX ტომებში წარმოდგენილია მეგრული ენის მთელი ლექსიკა, კვლავ ორ ნაწილად: 1. ზმნური ფონდი წარმოდგენილია II–XVIII ტომებში „მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის" სახით და მასში მოცემულია (იკითხება) 1 მილიარდ 410 მილიონ 119 ათას 286 სიტყვა, პარალელური, იშვითად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ; 2. დანარჩენი ლექსიკა წარმოდგენილია „მეგრულის სახელებისა და სხვა მეტყველების ნაწილების ლექსიკონის" სახით, და მოიცავს 26000-მდე სიტყვას.**

ამრიგად, საბოლოო მონაცემების მიხედვით, **მეგრული ენის ლექსიკა მთლიანობაში ითვლის 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ** (სიტყვად, ცხადია, ჩვენ მივიჩნევთ დერივატაფიქსებიან ანუ მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებიან ფორმებს).

აღნიშნული ლექსიკიდან, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში მეტნაკლები სიხშირით ხმარებადია ან შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა.

ოცტომეულში წარმოდგენილ ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის ყოველ ერთ გვერდზე, საშუალოდ, მოცემულია (იკითხება) 150.000-მდე სიტყვა. ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები) აქ წარმოდგენილია უზმნისწინო-უპრეფიქსებოდ ანუ მხოლოდ სუფიქსებიანი ფორმების სახით. კერძოდ, მოხმობილია ძირისეული თანხმოვნური ფორმები და მათი შიგაგახმოვანებული (ორმარცვლიანი) ხმოვნური ფორმები, და, ამათ, გვერდით, ანბანთრიგის მიხედვით მიწერილი აქვთ მათდამი დართვადი დერივატი სუფიქსები. რაც შეეხება ზმნისწინებსა და პრეფიქსებს, მათი ჩამონათვალი შვიდტომეულში სათანადო ადგილას წარმოდგენილია ცალკე და მასთან ერთად მოცემულია მეგრულის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის გამოყენების (წაკითხვის) წესიც. აი, ამ ლექსიკონის ძალიან მოკლე სანიმუშო მონაკვეთიც: **კარკ)-ა/აია/ალ)/ალა/ალანდ)../ალაფა/ალაფაფა/...** (იგი ასე იკითხება: **კარკ), ალა-კარკ), ათო-კარკ)... ნაკარკა, ალნა-კარკა, წ)მნა-კარკა... ო-კარკაია... ალე-კარკალ), ეკი-კარკალ)** და ა. შ.

მეგრული ენის ლექსიკის გასაოცარ, დიახ ფანტასტიკურ სიმდიდრეს განაპირობებს საგრამატიკო საშუალებების გასაოცარი სიმდიდრე. კერძოდ, მეგრულის ზმნებთან გვაქვს 76 პირველადისაწყისისეული სუფიქსი, 336 მეორეული (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსი, 8 პრეფიქსი, 6 ინფიქსი და 92 ზმნისწინი, სულ 518 ერთეული. ამასთან, აქ ახალი მნიშვნელობის სიტყვებად გვეელინებიან უარყოფითი და დადასტურებითი (ვა-, ვე, ქო) ნაწილაკები ანი ფორმებიც.

აღნიშნულთა წყალობით, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეგრული ენის ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის ყოველ ერთ სუფიქსდართულ ფორმასთან, საშუალოდ, მოცემულია (იკითხება) **573** ზმნისწინიან-პრეფიქსიანი ფორმა; ასე, მაგალითად, **კარკ)** ფორმასთან იკითხება **1323** სიტყვა (**კარკ), მაგრამ: ათა-კარკ), ათი-კარკ), ათუ-კარკ), ალა-კარკ), ალე-კარკ), ალი-კარკ), ალუ-კარკ), ქალა-კარკ), ვალა-კარკ)** და ა. შ.), **კარკა** ფორმასთან – 44 სიტყვა, **კარკაია** ფორმასთან მხოლოდ 2 სიტყვა (**მა-კარკაია, ო-კარკაია), კარკალ)** ფორმასთან 561 სიტყვა, **კარკალუ** ფორმასთან **855** სიტყვა, **კარკათუ** ფორმასთან – **1335** სიტყვა და ა. შ.

მეგრულში, მაგალითად, ბუზის ბზუილის გამომხატველი **ბზზზ** შორისდებულიდან მიღებული **ბ)ზ)** ძირისეული თანხმოვნური ფორმა შიგაგახმოვანებულია ხუთივე ხმოვნით და გვაქვს **ბაზ, ბეზ, ბიზ, ბოზ ბუზ** ხმოვნური ძირები, ამათი შემდგომი აფიქსაცია-გრამატიზებით კი, – ფორმები: **ბაზალი, ბეზერია, ბიზალი, ბოზორია, ბუზურია (‖ბუზურუა), ბაზალა, ბაზალანდ), ბაზალაფა, ალა-ბაზალანდ), ალა-ბაზალაფა, მიდე-ბაზალ)** და ასე შემდეგ, სულ **1338422** სიტყვა. ეს მაშინ, როდესაც იმავე **ბ)ზ)** ძირისეული ფორმა ქართულში შიგაგახმოვანებულია ერთადერთი **უ** ხმოვნით და გვაქვს მხოლოდ ფორმები: **ბზუილი, ბუზი, ბზუის...** სულ **10-მდე** სიტყვა.

ანალოგიური ვითარებაა ხმაბაძვითი ფორმების აბსოლუტურად უდიდეს ნაწილში, ესენი კი მეგრულის ლექსიკის **99,2** პროცენტს შეადგენენ.

ქართულში, მაგალითად, სტატიკურია ფორმები: **ზის, არის** და სხვა. ისინი ზმნისწინებსა და აფიქსებს არ ირთავენ. ამიტომაც, გვაქვს შესიტყვებანი: ქვაზე **ზის,** სახლში **ზის,** გამოქვაბულში **ზის,** ჭაში **ზის,** კუთხეში **ზის** და ა. შ..

მეგრულში კი, გვაქვს: **ხე** (ზის), მაგრამ: **გე-ხე** (ზედ, მაგ., ქვაზე, ზის), **მულა-ხე** (შიგნით, მაგ., სახლში, ზის), **მითო-ხე** (შიგ მიღმივ, მაგ., გამოქვაბულში, ზის), **ინო-ხე** (შიგ ქვედაბლით, მაგ., ჭაში ზის), **კ)ნო-ხე** (კუთხეში ზის), **კინო-ხე** (კუთხეში პირქით ზის), **კუნო-ხე** (კუთხეში პირაქეთ ზის), და ასე შემდეგ, ვიდრე მეგრულის **92-ვე** ზმნისწინის გამოყენებამდე.

მაშასადამე, **მეგრულში ზმნისწინები, საგნის მოქმედების მიმართულების ჩვენებასთან, ერთად გვიჩვენებენ მოქმედების ადგილსაც, თანაც მისი აღწერით. მეტიც კიდევ: როცა მოქმედებს საგანი, რომელსაც ახასიათებს ესა თუ ის ნიშან-თვისება (მეგრულის ფორმების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი კი სწორედ ასეთს განეკუთვნება), ყოველი ზმნური ფორმა, ამავდროულად, წარმოაჩენს მოქმედი საგნის მოცემულ ნიშან-თვისებას.** ასე, მაგალითად, როცა მოქმედია **გვინჯღალი** (დაბალი, ჩია და ჩაფსკვნილი ერთგვარი), გვაქვს ფორმები: **მი-გვანჯღალ)** (გვინჯღალი მირბის ან მიდის ჩქარა და ტანრხევითად მისმიერი იერსახით), **მი-გვინჯღ)** (გვინჯღალი მიდის ერთგვარი ტაქტით მისმიერი იერსახით), **მითი-გვინჯღინანც)** (გვინჯღალი შიგ მიდმივ, მაგ., გამოქვაბულში, არის (დგას) მისმიერი იერსახით), **გვანჯღალანც)** (გვინჯღალი ლაპარაკობს უშნოდ და უნიათოდ), **დო-გვანჯღ)** (გვინჯღალმა ჭამა ან სცემა უნიათოდ), **ო-გვინჯღინანც)** (გვინჯღალი გამოიყურება მისმიერი იერსახით) და ა. შ.

ამრიგად, **მეგრულის სიტყვები აღწერილობითი ხასიათისაა. ისინი გვიჩვენებენ საგანსა და მის მოქმედებას ისევე, როგორც ის ბუნებაშია წარმოდგენილი.**

მაშასადამე, **მეგრული ენა, სიტყვების აღწერილობითი ხასიათისა და ლექსიკის გასაოცარი სიმდიდრის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე.**

ცხადია, აურაცხელია საგანთა რაოდენობა ბუნებაში. მით უფრო აურაცხელია საგანთა ნიშან-თვისებანი, გაადგილებანი სივრცესა და ერთმანეთთან მიმართებაში, საგანთა მოძრაობის მიმართულებანი და ა. შ.

ყოველივე ეს შეცნობას, სახელდებას, აღწერას, შესწავლას მოითხოვდა. მეგრულმა ენამ, როგორც უშუალოდ გაგრძელებამ პირველქმნილი იაფეტური (შემდგომში იბერიული, კოლხური ენისა), ანუ, ისტორიულად ადამჟამიერმა ენამ, ეს მისია განსაკუთრებით სრულად და სრულფასოვნად შეასრულა. საამისოდ, მან შექმნა საგრამატიკო (დერივატი) საშუალებების არნახული არსენალი.

დავუბრუნდეთ ზემოაღნიშნულს და წარმოვაჩინოთ მეგრულის სიტყვათწარმოების სხვა მაგალითებიც.

ასე, მაგალითად, **ფ)შქ)** ძირზე დამყარებით მეგრულში გვაქვს **1936303** სიტყვა, ქართულში კი არც ერთი სიტყვა არა გვაქვს; **წ)რკ)** ძირზე დამყარებით გვაქვს, შესაბამისად: **2564640** და **2** სიტყვა, **ბ)წკ)** ძირზე დამყარებით. – **3015055** და **4** სიტყვა, **კ)რკ)** ძირზე დამყარებით **4611543** და **32** სიტყვა და ა. შ. (მონაცემებში ყველგანგან შედის პოტენციურად შესაძლებელი ფორმებიც).

ზემოთ მოტანილ **გვ)ნჯღ)** ძირზე დამყარებით მეგრულში გვაქვს **1275908** სიტყვა, ქართულში კი, ასეთი ძირის არარსებობის გამო, არც ერთი სიტყვა არა გვაქვს. მეგრულის მთელი ზმნური ფონდის წარმომდგენი **2202** ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან **1869** ფორმა ხმაბაძვითი წარმომაქვლობისაა და მასზეაზეა დამყარებული ამ ენის ზმნური ფონდისა და თვით მთელი ენის ლექსიკის **91,7** პროცენტი. აი, ძალიან მოკლედ, იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს მეგრულის ლექსიკის ესოდენ გასაოცარ სიმდიდრეს. გავიმეორებთ: **მეგრული ენის სიტყვობრივი მარაგიგი ითვლის 1 მილიარდ 410 მილიონ 145 ათას 286 სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ და აქედან, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში ხმარებადია ან შეიძლება ხმარებულ იქნას 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა.** ეს მაშინ, როდესაც, მსოფლიოს ენებს შორის აქამდე ყველაზე უმდიდრესი ლექსიკის მქონედ მიჩნეულ ინგლისურ ენაში **490000-მდე** სიტყვას ითვლიან.

ერთი შეხედვით პარადოქსული ჩანს, მაგრამ ასეთია შემდეგი რეალობაც: ჩვენს მიერ, ჯერ კიდევ ადრე გამოვლენილი ხმაბაძვითი ფორმების ამოცნობის **9** კრიტერიუმის განოყენებით, სრულად შესწავლილ იქნა მეგრულის აღნიშნული კოლოსალური ლექსიკის სიტყვათწარმომავლობა. ეს მიღწეულ იქნა შემდეგ საფუძველზე: დადგინდა, რომ მეგრულის მთელი ლექსიკა დამყარებულია სულ რაღაც **6652** ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე, და აქედან ხმაბაძვითი წარმომავლობისაა **1869** ფორმა ანუ **85** პროცენტი. მაგრამ ხმაბაძვითი ფორმების ძალზე მაღალი პროდუქტიულობის გამო, მეგრულის მთელი ლექსიკის **99,2** პროცენტი ხმაბაძვითი წარმომავლობისა აღმოჩნდა.

ოცტომეულში წარმოდგენილი ზმნური ფონდის სრულად წაკითხვა, საამისო წესის იქვე განთავსების მიუხედავად, ყველას, მათ შორის სპეციალისტებსაც, როდი შეუძლია. ასეც რომ არ იყოს, მეგრული ზმნური ფონდის ჩვეულებრივი ლექსიკონის სახით წარმოდგენა საშური საქმეა. ამიტომაც, შევუდექით მასზე მუშაობას. მაგრამ, როგორ უნდა გადაგვწყვიტა იგი?

500 მილიონი სიტყვისაგან შემდგარი ლექსიკონი მოიცავს **25000-მდე** 600-600 – გვერდიან ტომს. მის შედგენას კი, დღეში, ვთქვათ, თითო ტომის შედგენის პირობებში (რაც ფანტასტიკური ჩანს), **74** წელი დასჭირდებოდა. ამიტომაც, შევეცადეთ, მოგვეძია მეგრულის ზმნური ფონდის კომპიუტერული ლექსიკონის ექსტერნული წესით შედგენის ხერხი. მიზანი მალე მიღწეულ იქნა. **მოძიებული ხერხით შესაძლებელია ყოველ 5 წუთში შედგენილ იქნას ასეთი ლექსიკონის 7 ახალი ტომი.**

ამ ხერხის გამოყენებით, მეგრული ენის სიტყვობრივი მარაგის კომპიუტერული ლექსიკონის მრავალათასტომეულის (სავარაუდოდ, 25000-ტომეულის) პირველი ათასტომეული უკვე სახეზეა. დაინტერესებულ პირს მისი ნახვა ნებისმიერ დროს შეუძლია ჩვენს პირად კომპიუტერზე.

ამჟამად, აღნიშნულ ლექსიკონზე მუშაობა დროებით შეჩერებულია ანალოგიური ექსტერნული წესით მეგრულ-ქართულის (ორენოვანი) ლექსიკონის შედგენის ხერხის მოძიების სამუშაოზე გადასვლის გამო, რაც ახლო მომავალში დამთავრებული იქნება.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

ცირა ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი

სკოლა – წიგნის კარადა: კრეატიული პროექტი ზუგდიდში

რამდენიმე დღის განმავლობაში სოციალური ქსელი მოიარა და უამრავი ადამიანის მოწონება დაიმსახურა ზუგდიდში აშენებული, ორიგინალური სკოლის დიზაინმა. მას წლის არქიტექტურაც კი უწოდეს... სკოლის შენობის გარე ფასადი, ერთი შეხედვით წიგნის კარადას მოგაგონებთ... სასწავლო დაწესებულების ასეთი დიზაინი საქართველოში აქამდე არ ყოფილა. როგორც ჩვენთან საუბარში სკოლის დირექტორი ჯამბულ ნაჭყებია აცხადებს, მათ სკოლას სრული ანალოგი არც ქვეყნის ფარგლებს გარეთ აქვს... ახლადგახსნილი სკოლა გარედან წიგნებით სავსე თაროს ჰგავს. მსგავსი დიზაინის შენობა ამერიკაში, მისურის შტატში, არკანზასსში დგას და მასში ცენტრალური ბიბლიოთეკაა განთავსებული...

როგორ და ვის გაუჩნდა კრეატიული იდეა და ვის ეკუთვნის სკოლის შენობის ორიგინალური დიზაინი, ამის შესახებ სკოლის დირექტორი გვესაუბრა...

– ეს არის ყოფილი მე-7-ე სკოლის შენობა, რომელიც გაუქმებული და ფაქტობრივად, გაპარტახებული შენობა იყო. შემდეგ, ეს იდეა, შენობის ასეთი გარე ფასადის დაკვეთა ბიზნესმენ ჯიმშერ ღურწკაიას გაუჩნდა, რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს და აკადემიურ სფეროში მოღვაწეობს. ის წარმოშობით ზუგდიდელია... მის განხორციელებაზე ორი წელი ვმუშაობდით.

– კონკრეტულად ვინ განახორციელა ეს იდეა?

– დამკვეთმა მისი შესრულება უცხოელ მხატვარს, რუსეთის მოქალაქეს გარიკ სარგისიანს სთხოვა. რამდენადაც ვიცი, მსოფლიოში ასეთი სკოლის შენობის ანალოგი არ არსებობს. თუმცა, არკანზასის ბიბლიოთეკა, რომელსაც ჩვენი სკოლა ბევრმა მიამსგავსა, არის თაროზე ერთმანეთზე მიჯრით დალაგებული წიგნების ფორმის, ჩვენი დიზაინი კი, განსხვავებულია – წიგნები სხვადასხვანაირად **"დევს"** და კონსტრუქციული ელემენტებიც განსხვავებულია.

– რატომ გადაწყვიტა დამკვეთმა ასეთ დიზაინზე არჩევანის შეჩერება?

– ამ ყველაფერს წინ უძღოდა მსჯელობა, რომ ასეთი ტიპის სასწავლო დაწესებულება წიგნიერებას შეუწყობდა ხელს. წიგნიერების დონის მიხედვით, საქართველოში საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია, რაც შეშფოთების საფუძველს ნამდვილად იძლევა. ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ ამ შენობის აშენების შემდეგ, ყველა მოზარდი და ახალგაზრდა ხელში წიგნს აიღებს, მაგრამ მის მიმართ ინტერესი ცოტათი მაინც რომ გაიზარდოს, ეს უკვე კარგია. გვინდოდა თავიდანვე შეგვექმნა ბავშვებისთვის მოტივაცია, რათა მათთვის წიგნი უცხო არ ყოფილიყო... ამიტომ მოვინდომეთ, რომ საერთაშორისო დონის სკოლა აგვეშენებინა. მას შემდეგ, რაც დიზაინზე შევთანხმდით, წიგნის ფორმატები და ავტორების შერჩევაც დავიწყეთ.

– ამ ფოტოდან კარგად ჩანს, რომ მხოლოდ ქართველი კლასიკოსების სახელი და გვარი არ არის შენობის გარე ფასადზე გამოხატული...

– დიახ, ჩვენი **"ფეისბუქის"** გვერდზე კონკურსიც გვქონდა გამოცხადებული, სადაც ყველას ჰქონდა საშუალება, თავისი იდეა მოეწოდებინა, თუ რომელი ავტორის სახელსა და გვარს ისურვებდა შენობის კედლებზე... ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო. **"კედლებად"** ჩვენ ძირითადად ქართველი კლასიკოსების სახელები და გვარები გამოვიყენეთ, თუმცა გვყავს უცხოელებიც – ლაო ძი, შტეფან ცვაიგი. აქ არის, არა მხოლოდ მწერლები, არამედ, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. ამავდროულად, ვეცადეთ, მსოფლიო კლასიკოსების სახელები და გვარები აღგვებეჭდა ჩვენი სკოლის კედლებზე.

ლალი პაპასკირი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

“...ზაზა და თორნიკე რომ გვყოლოდნენ, ევრობასკეტზე კვარტეტში მოვხვდებოდით”

ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, თუმცა საქართველოს ნაკრებმა ევრობასკეტის მასპინძელი ქვეყანა სლოვენია პირველი ეტაპის შემდეგ დატოვა.

ამავე ეტაპის მერე გამოემგზავრა საქართველოში ევროპის ჩემპიონატზე მომუშავე ქართველი არბიტრი დავით ბერეკაშვილი, რომელსაც ისევე, როგორც ჩვენს ნაკრებს, დიდი შანსი ჰქონდა, დღესაც სლოვენიაში ყოფილიყო და მეორე ეტაპზე ემუშავა.

როგორ? ამას ქართველი არბიტრის ინტერვიუში წაიკითხავთ.

– მეორედ მომიწია ევროპის ჩემპიონატის მატჩების განსჯა. ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი და სასიხარულოა. მიუხედავად იმისა, რომ ვერ დავრჩი, სლოვენიიდან კმაყოფილი ჩამოვედი. მეტად დაძაბული და საინტერესო შეხვედრები განვსაჯე.

– რა პრინციპით აარჩიეს არბიტრები პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ?

– ყოველ ჯგუფს ათი არბიტრი ემსახურებოდა. თავიდან ითქვა, რომ ათიდან რვა მეორე ეტაპზე გადავიდოდა. დღემდე მეც ვიცოდი, რომ სლოვენიაში ვრჩებოდი, მაგრამ მოულოდნელად მსაჯების რაოდენობა გაანახევრეს, 40-დან 20 დატოვეს.

თუმცა ამის გამო ნამდვილად არ მწყდება გული, რადგან ევრობასკეტზე კარგი შეხვედრების არბიტრი ვიყავი და ჩემი ხელმძღვანელები უკმაყოფილონი არ დარჩენილან.

– ლუბლიანის ჯგუფში მსაჯობდით. რომელ მატჩებს მოემსახურეთ?

– გახსნის დღეს დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის გუნდების დაპირისპირება განვსაჯე. შეჯიბრება თავიდანვე საინტერესოდ დაიწყო – შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა და ოთხი ქულის სხვაობით ბრიტანეთმა მოიგო. მომდევნო დღეს უკრაინა-ისრაელზე ვიყავი, შემდეგ – საფრანგეთი-ბელგიაზე.

– ფრანგ ვარსკვლავ ტონი პარკერს რამდენი შენიშვნა მიეცით?

– პარკერს არა, მაგრამ ორი წლის წინ ლიტვის ევრობასკეტზე დირკ ნოვიცკის მივეცი ტექნიკური შენიშვნა. უნდა გენახათ, რაოდენ მშვიდად შეხვდა სპორტსმენი ჩემს მოქმედებას. საქართველოში მსაჯობა სხვაა, ევროპაში – სხვა. იქ ნერვიულობის საფუძველი არ არსებობს. პირიქით, თამაშში იმდენად ერთვები, იმდენად სასიამოვნოა, რომ გინდა, 40-ის ნაცვლად 80 წუთი გაგრძელდეს.

– ფიბა-ევროპის წარმომადგენლებისგან რა შეფასება მიიღეთ?

– დადებითი. სხვათა შორის, ხშირად გვიჩვენებდნენ ეპიზოდს, რომელიც 2011 წლის ევრობასკეტზე შემემთხვა: თამაშში ისე ვიყავი ჩართული, რომ ანგარიშმიუცემლად მოედნის მიღმა გადავედი და ბანერებს გადავაფრინდი.

ხსნიდნენ – მსაჯი ასე უნდა ემსახუროს თამაშს და სასტვენი არ უნდა გააგდოსო. ამ ეპიზოდის შემდეგ სლოვენიაში **“ჯორჯიან აირლაინსს”** მეძახდნენ.

იყო უარყოფითი მაგალითიც: ერთ მსაჯს თასმა გაეხსნა, დაიხარა და შეკვრა დაიწყო. ამ დროს თამაში უნდა გააჩეროს და ისე მიხედოს ფეხსაცმელს.

– საქართველოს ნაკრების შესახებ რას ამბობდნენ?

– ევრობასკეტისთვის მსაჯები შეჯიბრების დაწყებამდე ოთხი დღით ადრე ჩავედით და ქალაქ კრანსკა გორაში დავბინავდით. იქ ინსტრუქტაჟს გავდიოდით. ერთ-ერთი განხილვისას გვიჩვენეს საქართველოს, ფინეთისა და მაკედონიის ნაკრებთა მატჩები და გვითხრეს: ეს პატარა ქვეყნები კარგ კალათბურთს თამაშობენ და ყურადღება მიაქციეთ, ისე იმსაჯეთ, რომ არავინ დაიჩაგროსო.

ჩემთან ერთად ხორვატი და სლოვენიელი არბიტრები მუშაობდნენ. ყველას საქართველოს ნაკრების შიში ჰქონდა, უკვირდათ, 5 კალათბურთელით ასე კარგად როგორ თამაშობთო.

ჩემი აზრით, გუნდში ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია რომ ყოფილიყვნენ, ევრობასკეტზე კვარტეტში მოვხვდებოდით.

– სლოვენიასთან მატჩში, ბევრის აზრით, არბიტრებმა უხეში შეცდომები დაუშვეს. შეიძლება არაკორექტულად ჩანდეს, მაგრამ მაინც გკითხავთ იმ შეხვედრაში არბიტრების მოქმედებაზე.

– ალბათ, მცირე სიმპათია ჰქონდათ სლოვენიის ნაკრების მიმართ. მეტს ვერაფერს ვიტყვი სამწუხაროდ, სპორტში ასეთი რამეებიც ხდება და უარესიც!.

– გიწევდათ ევროლიგის დონის არბიტრებთან მუშაობა. მომავალში თუ უნდა ველოდეთ თქვენს, ასე ვთქვათ, დაწინაურებას?

– სადღეისოდ მსაჯობა დაფასებული საქმეა. ყველას ვურჩევ ამ პროფესიით დაინტერესებას.

ახლა დიდი ყურადღება უნდა მივაქციო ინგლისური ენის შესწავლას. ზოგადად ვიცი, მაგრამ სამომავლო წინსვლისთვის ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნაა აუცილებელი. მაგალითად, ინგლისური ენის ცოდნით გამოირჩევა მაკა კუპატაძე, რომელიც ქალთა ევროლიგასაც მსაჯობს და უკვე მეორედ მოუწია მუშაობა ევროპის ჩემპიონატზე. წლეულს მაკამ ქალთა ევრობასკეტის მესამე ადგილისთვის მატჩი იმსაჯა. ეს მის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს!

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



ღვაწლმოსილი ქორეოგრაფი 85 წლისა

ამა წლის 14 სექტემბერს ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ღვაწლმოსილი ზუგდიდელი ქორეოგრაფის რეზო ჩხეიძის 85 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს ორგანიზატორები იყვნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა და მუნიციპალიტეტის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრი “ოდიში”.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” ულოცავენ ცნობილ ქორეოგრაფს ბატონ რეზო ჩხეიძეს 85 წლის იუბილეს და უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

ქართველები და რუსები ყოველთვის მეგობრები იყვნენ!“

Radisson Blu Iveria Hotel–ის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა მხატვრული ფილმი **„ხატის“** პრეზენტაცია.

კინოფილმი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე, სიყვარულზე, საერთო რწმენასა და ფასეულობებზე გადაღებულია რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების კურთხევით. მას საფუძვლად დაედო ორი ნოველა: **„მოსკოვი–თბილისი“** და **„წმინდა გიორგის ძიება“.**

„ხატი“ ქართველი და რუსი ხელოვნების ერთობლივი შრომის ნაყოფია. ფილმის კურატორია გამოჩენილი ქართველი რეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელმაც ფილმი ყველასთან ერთად ნახა. მხატვრული ხელმძღვანელია ცნობილი სცენარისტი და რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე, რეჟისორები – ზაზა მერაბიშვილი და ჯაბა რუაძე, დამდგმელი ოპერატორი – ნუგზარ ნოზაძე, კომპოზიტორი – ენრი ლოლაშვილი. მთავარ როლებს ასრულებენ რუსი და ქართველი მსახიობები: ეკატერინა რედნიკოვა, ბორის შჩერბაკოვი, ნატო გაგნიძე, ანატოლი პაშინინი, ლევან ხურცია, ნიკა ჩხიკვაძე და სხვები. ფილმში მონაწილეობდა აგრეთვე ანდრეი პანინი – ეს მისი უკანასკნელი მსახიობური ნამუშევარი იყო.

მანამდე ფილმი **„ხატი“** რუსეთში OPT–ს ეთერში გავიდა და კინოკრიტიკოსებისა და მაყურებლის დიდი გამოხმაურება მიიღო.

ფილმის იდეა რეზო ჩხეიძეს ეკუთვნოდა. შემდეგ იგი შესთავაზეს ვლადიმერ პუტინს, რომელმაც ჩანაფიქრი მოიწონა, ნორმალური მსახიობები შეარჩიეს და უნდოდათ ეჩვენებინათ ხალხისთვის, ახალგაზრდა თაობისთვის, დაერწმუნებინათ ისინი, რომ ქართველები და რუსები ყოველთვის მეგობრები იყვნენ. მიზანი კი ნამდვილად მიღწეულია.

იუმორი

თვითმფრინავის სალონში შემოდის მამაკაცი პისტოლეტით:

– ქალბატონებო და ბატონებო, თვითმფრინავი მე გავიტაცე. თავისუფლად იგრძენით თავი, სალონში შეგიძლიათ, მოსწიოთ კიდეც...

* * *

გურული ავიდა ხეზე ვაშლის დასაკრეფად. მოუტყდა ტოტი და ჩამოვარდა. უგონოდ დარჩენილი ექიმთან წაიყვანეს. ექიმმა თქვა:

– სამწუხაროდ, დაგვიანებულია!

– რავა, ძამა! სანამ ხეზე ვვიდოდა, მანამდე ხომ არ მევიყვანდით?

* * *

მთვრალმა ბიჭებმა ტაქსისტის გაშაყირება გადაწყვიტეს:

– ძმაკაც, შენი მანქანა სანაგვეს ჰგავს და ნაგავს ხომ არ წაიღებ?

– კი, ბიჭებო, დასხედით!

* * *

კაცი სახეზე მაზუთს ისვამს.

– რას შვრები, რატომ ითხუპნები? – ჰკითხა მეგობარმა.

– რა ვიცი, განცხადებაში წერია, შავი მუშები გვჭირდებაო და...

* * *

ახლომხედველს სოფლის გზაზე ქარმა შლაპა მოსტაცა. კაცი დაედევნა და დაიჭირა.

– რას შობი, კაცო, შენე?! – ეკითხება სოფლელი.

– აგერ, ჩემი შლაპა გამექცა და დავიჭირე.

– დასვი ძირს ჩემი ინდაური, თუ კაცი ხარ...

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ძობალია, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge